


619  
1989



გამთიწერეთ!

# ბროშა

ნომბერი  
№ 11 1989









№ 11 ნოემბერი. (395), 1989

უფრანალი გამოდის 1928 წლიდან

ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიტერატურო-სამხატვრო ჟურნალი

ნომერი 11:

- ოთარ ქინძლამე. ინფორმაცია როგორც მებრელიზვილი. საქმიანი კონტაქტები.
- იკოლიტა გამსახურდია. ბენათი იგივე ჭუბურხინჯია.
- კ. სვეტიცკი, ს. სოკოლოვი. უძრავობის დროის გაკვეთილები.
- მირიამ ბათ-მოშა. მღერის იცხაბატანელოვი.
- მერაბ მიქელამე. ინგილო და მგლის ტომები.
- კოეტიერი იაღბარი.
- გიორგი გორდელამე. პირველი ქართული ნაგებდი წიგნი.
- მალხაზ ბაზარაშვილი. სეზდა.
- რემ დავიდოვი. რაფიელ ივანიცკი — ქართველი.
- რამაზ სურმანიძე. სტუდენტური სათვისტომო.
- ჯიგურა მუჯირი. უენი არ მიკვირს? გოდერძი ტალახამე. ქალი დავიანახე...
- ვ. გორხერტი. პური.
- თამაზ კორძახია. ალაშინანი.

საქართველოს კვ. ც.ის გამომცემლობა

© „დროშა“, 1989 წ.

მთავარი რედაქტორი

ოთარ ქინძლამე

სარედაქციო კოლეგია: გულნარა ბახტაძე (პ/მ. მღვიანო), ოთარ ბერიშვილი, ვასილ გვახაძე, ნათელა გიორგოზიანი, ოთარ ლემბრაშვილი, ვახტანგ მსხვერჯია, ჯამალ მხერიშვილი, დინარა ნოღია (მხატვარ-რედაქტორი), თენგიზ სამსონაძე.

19038

„თოვლის ჯიქი“ — მთამსვლელებისათვის ყველაზე პრესტიჟული წოდება ერთდროულად მიენიჭა ხუთ ქართველ ალპინისტს: რომან გიუტაშვილს, თამაზ ბაქანიძეს, გივი გიგაურს, ალი გიგანს და ამირან დოლიძეს.

ქართველმა ალპინისტებმა პირველი ნაბიჯები ამ მაღალი ტიტულისაკენ გასულ წელს გადადგეს, როდესაც ჩვენი რესპუბლიკის ნაკრებმა მოაწყო რთული ასვლები პამირის მთის ორ მწვერვალზე.

ექსპედიციამ, რომელსაც მიუძღოდნენ გამოცდილი ალპინისტები, საბჭოთა კავშირის არაერთგზის ჩემპიონები რომან გიუტაშვილი, თამაზ ბაქანიძე და გივი ქართველიშვილი (კონსულტანტი), აგრეთვე მონაწილეობდა ახალგაზრდა მწვერთელი გიორგი თორთლაძე, თექვსმეტწლიანი შესვენების შემდეგ პირველად დაიპყრო კორუენესკის (7105 მ) და კომუნისმის (7495 მ) პიკები. ეს უთუოდ დიდი წარმატება იყო.

ამ ზაფხულს კი რესპუბლიკის ნაკრებმა პამირი და ტიანშანიც დალაშქრა.

საკლიმატიზაციო ასვლების შემდეგ დაიწყო ლენინის პიკის (7184 მ) შტურმი. უამინდობის გამო ზოგიერთმა გუნდმა უარი განაცხადა ამ მწვერვალის დაპყრობაზე. ქართველი ალპინისტების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ შეძლეს დაბრკოლებების გადალახვა და ლენინის პიკის დაპყრობა.

21 ივლისს პიკზე ავიდა ჩვენი რესპუბლიკის მთამსვლელთა რეკორდული რიცხვი — თხუთმეტკაციანი ჯგუფი. გამარჯვება იზეიმეს ექსპედიციის ხელმძღვანელმა რომან გიუტაშვილმა, საქართველოს ალპინისტთა ფედერაციის მწვერთელთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ გივი ქართველიშვილმა, მწვერთელმა გიორგი თორთლაძემ, გუნდის წევრებმა თამაზ ბაქანიძემ და დავით ჩანტლაძემ (თბილისი), აგრეთვე ალი გიგანმა და ამირან დოლიძემ (ქუთაისი), ბენო ქაშაყაშვილმა, ეროსი კიწმარაშვილმა (რუსთავი) და თამაზ წიკლაურმა (ყაზბეგი).

აღსანიშნავია, რომ რ. გიუტაშვილმა, გ. ქართველიშვილმა და თ. ბაქანიძემ გადააბიჯეს ორმოცდაათ წელს. მსგავსი წარმატება ამ ასაკში ასევე უნიკალური ფაქტია.

შემდეგ ექსპედიცია დაბანაკდა ცენტრალურ ტიანშანზე, მწვერვალ ხან-თენგრის (7010 მ) რაიონში. ეს სახელწოდება ითარგმნება, როგორც „ზეცის მბრძანებელი“ და ერთ-ერთი ულამაზესია მსოფლიოში. თავისი ურთულესი სტრუქტურით ის მრავალი ქვეყნის ცნობილ მთამსვლელთა ყურადღებას იპყრობს.

ხან-თენგრის დაპყრობა და „თოვლის ჯიქების“ დაბადება ქართული ალპინიზმის ისტორიაში შევა, როგორც ღირსშესანიშნავი მოვლენა.



საქ. სსრ კ. მარქსის სახ. ...



# ი ნ ფ ო რ მ ა ც ი ა

მართალი უნდა გითხრათ და, ესოდენ ხანდაზმული, გავრცელებული, ამასთან თავისი დანიშნულებით სადღეისოდაც თითქმის უცვლელად დარჩენილი, თანაც კიდევ უფრო აუცილებელი, უბრალოდ საჭირო სხვა სიტყვა მე არც კი მეგულება.

ისიც სათქმელია, რომ ინფორმაცია დღეს მეცნიერების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დარგია და ისეთი, რომლის გარეშეც მეცნიერებათა სხვა დარგების განვითარება უბრალოდ შეუძლებელია.

ინფორმაცია, ანუ ლათინურიდან ქართული „ვაცნობება“, ესე იგი ცნობა, შეტყობინება ვინმესთვის რაიმე მომხდარი ამბის, ვინიმე მოღვაწეობისა და სხვათა შესახებ. ხოლო ინფორმირება — ინფორმაციის მიცემა რაიმეს შესახებ საქმის ვითარების გაცნობა. ასე და ამგვარად, ინფორმირებული აღმოჩნდება ის, ვისაც ინფორმაცია აქვს მიღებული და, ამდენად, შეუძლია თქვას, რომ საქმის კურსში ვარო.

ასეთია ინფორმაციის უაღრესად საჭირო, აუცილებელი და სასარგებლო. მისია, რომელიც, ცხადია, უტყუარ ცნობებს და სავსებით ობიექტური ხასიათის, სრული სამართლის შემცველ ფაქტებს შეიცავს. ეს ანბანური ჭეშმარიტებაა და ამიტომ თითქოს არც კი უნდა საჭიროებდეს ყურადღების გამახვილებას, მაგრამ ვაი, რომ ეს ყოველთვის ასე არ ყოფილა და საუბედუროდ არც დღეს არის ყოველთვის ასე.

კი მაგრამ, აბა რაღა აზრი აქვსო, იკითხავთ, საერთოდ რაიმე ინფორმაციას, თუ შეტყობინებაში ყველაფერი და თავიდან ბოლომდე სწორი არ იქნება?

განა, მაგალითად, მწვერავის ინფორმაცია საომარი მდგომარეობის ან თუნდაც სხვა ვითარებაში დასაშვებია არასწორი, დაუზუსტებელი იყოს და დამახინჯებულ ცნობებს შეიცავდეს?

ეს ხომ სამშობლოს დასაცემის ტოლფასი ქმედება იქნებოდა და დამნაშავეც მკაცრად დაისჯებოდა...

იმიტომ, რომ მავანისა და მავანის ამა თუ იმ მოქმედების, მოღვაწეობის ან მით უფრო საზოგადოებრივი ან სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის რაიმე მოვლენის დამახინჯებულ აღწერას, რასაც ყოველთვის მცდარი შეფასება და, მაშასადამე, ასეთივე მცდარი დასკვნის გამოტანა მოჰყვება თან, შეიძლება სრულიად გაუთვალისწინებელი შედეგები მოჰყვეს...

თუ, რა თქმა უნდა, ინფორმაციის გაყალბება წინასწარ არ არის გათვალისწინებული.

ასეც ხდება ხოლმე.

მომხდარა კიდევ.

და შედეგებიც ცნობილია.

საქმე ის არის, რომ სხვადასხვა მიზეზისა და გარემოების გამო, ინფორმაცია ზოგჯერ დამახინჯებულ ხასიათს ღებულობს, როცა მიზნად მოწინააღმდეგის შეცდომაში შეყვანას ისახავს და იგი წინასწარგანზრახული, შეგნებულ, დაინტერესებული მოქმედების შედეგია.

ამ შემთხვევაში საქმე დეზინფორმაციასთან გვაქვს, რაც ინფორმაციის გაყალბებას, ყალბი ცნობების გავრცელებას ნიშნავს. ეს უმთავრესად სამხედრო დაზვერვისა და კონტრდაზვერვის სფეროებს განეკუთვნება და აქ ყველაფერი ნათელია.

მაგრამ ახლა, საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების სხვა სფეროებიდანაც ბევრი ისეთი ფაქტი განდა ცნობილი, როცა დეზინფორმაცია საბედისწერო და ტრაგიკულ შედეგებს იწვევდა.

გლობალური ხასიათის დეზინფორმაციის კლასიკური ნიმუშია მითი იმის თაობაზე, რომ თურმე საქართველომ დამოუკიდებლობა დაკარგა აჯანყებული ქართველი მშრომელების მიზეზით, რომლებსაც დახმარების ხელი მათივე თხოვნით მოსულმა წითელი არმიის ნაწილებმა გაუწოდეს. ასეთი იყო ოფიციალური „ინფორმაცია“, რომელიც საფუძვლად დაედო ისტორიოგრაფიაში შეცნიერულ კვლევასაც, სწავლა-განათლების საქმესაც და პროპაგანდისტულ მუშაობასაც. ახლა ჭეშმარიტება დადგინდა, დეზინფორმაცია ობიექტურმა ინფორმაციამ შეცვალა და აღმოჩნდა, რომ 1921 წლის თებერვალში არავითარი საერთო-სახალხო აჯანყება არ ყოფილა, ხოლო დამოუკიდებელი საქართველოს მა-

შინდელი კანონიერი მთავრობა მეთერთმეტე წითელმა არმიამ დაამხო და საქართველოს ოკუპაცია მოახდინა.

არც ის ინფორმაცია აღმოჩნდა მართალი, რომ ქართველი მშრომელები პურ-მარილითა და აღფრთოვანებით ხვდებოდნენ იმათ, ვინც ძალმომრეობით წაართვა დამოუკიდებლობა.

ამ კოლოსალური დეზინფორმაციის ავტორია სერგო ორგონიკიძე, რომელიც 17 თებერვალს პირდაპირი მავთულით ი. ბ. სტალინს სიტყვასიტყვით მოახსენებდა შემდეგს: „ჩაგრულთა დამცველი წითელი არმიის გამოჩენამ საქართველოს ტერიტორიაზე აუწერელი აღტაცება და ზეიმი გამოიწვია განთავისუფლებულ ქართველ გლეხთა შორის, გლეხები თავიანთ მხსნელებს პურ-მარილით ხვდებოდნენ, ბევრი სიხარულისაგან ტიროდა“.

არც მეტი, არც ნაკლები.

ეს არის აშკარა და დაუფარავი დეზინფორმაცია, ესე იგი ინფორმაციის გაყალბება და ყალბი ცნობების გავრცელება საზოგადოებრივი აზრის შეცდომაში შეყვანის დანაშაულებრივი მიზნით.

და საზოგადოებრივი აზრი მართლაც დეზინფორმირებული აღმოჩნდა.

ახლა კი დოკუმენტური მასალებით დამოწმებული ინფორმაცია:

არც პურ-მარილი გაუშლია ვინმეს, არც სიხარულის ცრემლები უღვრია, არც აღტაცება ყოფილა და არც ზეიმი.

თუნდაც იმიტომ, რომ არაფერი მსგავსი არც შეიძლებოდა ყოფილიყო.

იყო 1921 წლის 25 თებერვლის № 15/29 ბრძანება, რომელსაც ხელს აწერენ თბილისის მიმართულების ჯარის ჯგუფის უფროსი და შემდგომში თბილისის გარნიზონის უფროსი მ. ველიკანოვი და სამხედრო კომისარი კ. რატნევი: „წითელი არმიელების, კომანდირების და კომისარების გამირული მოქმედება მძიმე და უთანასწორო ბრძოლაში გამარჯვებით დაგვირგვინდა, ქალაქი ტფილისი — ბურჟუაზიის უკანასკნელი სიმაგრე დეცა და საქართველო გამოცხადდა საბჭოთა რესპუბლიკად. საუკუნო ხსენება დასოცილ მეომრებს და დიდება ცოცხალ მეომრებს, რომლებმაც გამირული შეტევით თებერვლის 24-ს მძიმე და უთანასწორო ბრძოლაში სძლიეს მტრის წინააღმდეგობას და აიღეს ქალაქი ტფილისი“.

ესე იგი არ ყოფილა თურმე პურ-მარილი და ზეიმი.

სისხლისმღვრელი ბრძოლა გაუმართავთ ქართველებს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის დასაცავად.

ტყუილს მოკლე ფეხი აქვსო, ნათქვამია.

მართალია ეს.

ისიც მართალია, რომ გაუკუღმართებული სახის ინფორმაცია მასობრივი რეპრესიების შედეგი და ამ შემთხვევაში, ინფორმაცია ცილისწამებლური დასმენის ხასიათს ღებულობს.

ასე იყო 20-იანი წლების დასაწყისში, უფრო ადრეც, უფრო გვიან, 30-იან და 40-იან წლებში, დიდი სამამულო ომის წლებშიც და კიდევ უფრო გვიანაც — 50-იან წლებში. და უფრო გვიანაც, მაშინაც კი, როცა იერიში მიგვიქონდა სოციალისტური კანონიერების ყოველგვარი დარღვევის წინააღმდეგ.

იყო მემარჯვენე, მემარცხენე, ცენტრისტთა და ათასგვარი სხვა „საქმე“. იყო გახმაურებული მოსკოველი „ექიმების საქმე“.

და დაიღუპა ქართველი ერის ნაღები.

მერე ისინიც, ვინც „უდანაშაულო დამნაშავეებზე“ ცილისწამებლური „ინფორმაცია“ შეთხზა.

კეუა კი მაინც ვერ ვისწავლეთ.

ჩასაფრება და მუხანათური ინფორმაციების დამლუბველი პრაქტიკა კვლავაც გავრძელდა.

გავრძელდა და სხვა ასპექტებითაც იჩინა თავი.

თუნდაც გვეგების შესრულებისა და მიწერების სტატისტიკურ მაჩვენებლებში.

ან პარტიული და საბჭოთა თავყრილობების ტრიბუნიდან გა-



კეთებულ მოხსენებებში „ჩასმულ“ ფაქტებში, მოტანილ მაგალითებსა და ციფრობრივ მაჩვენებლებში და ა. შ.

და კამათის მონაწილე ორატორის გამოსვლაში, ფიქსირებულ შეფასებაში, რაც მიზნად მავანთან და მავანთან ანგარიშსწორებას ემსახურება.

ამ ფორმისა და ხასიათის ყალბი ინფორმაცია მერე პრესაშიც ქვეყნდება და საზოგადოებრივი აზრი შეცდომაშია შეყვანილი.

წადი მერე შენ და იმართლე თავი, ამტკიცე, რომ ეს ასე არ არის, არ ყოფილა და რაც ითქვა, ტყუილია.

რა მერე?

არც არაფერი.

უკეთეს შემთხვევაში ვინმემ იქნებ მოახერხოს კიდევ რაიმე სახით პასუხის გაცემა და ისიც ყოველთვის არა. არც ყველამ.

დღესაც ასეა.

საკუთარ თავზე გამოვცადე.

გადაწლი ვაზეთს და კითხულობ:

— თქვენი ვაზეთის ამა და ამ ნომერში გამოქვეყნებულ წერილში მოტანილი ფაქტები სინამდვილეს არ შეესაბამება... ან ავტორმა მკითხველი შეცდომაში შეიყვანა, ხოლო სიმართლე კი ასეთია... და კიდევ ის, რომ ვკითხულობთ ხოლმე ჯერ პასუხს, მერე პასუხის პასუხს და ასე გაუთავებლად.

ვის სჭირდება ეს, ან რატომ ხდება ასე?

იმიტომ, რომ ფულის ზრ იყოს, ინფორმაციისა და ინფორმირების საოცარი დევალვაცია მოხდა.

საბოლოო ჯამში კი, ყოველივე ეს ზნეობის დევალვაციის შედეგია.

სწორი და დროული ინფორმაციის ასეთი დევალვაცია კი ხშირად ჭორის გავრცელების წყარო ხდება. და ჩვენც ვიკლავთ წყურვილს ამ წყაროდან მომდინარე ნაკადიდან.

ეს ნაკადი ზოგჯერ მღვრიეცაა, მაგრამ ობიექტურსა და დროულ ინფორმაციას მოკლებული კაცი მაინც ცდილობს წყურვილის მოკვლას.

საქმე იქამდე მივიდა, რომ ჭორის გავრცელების საწინააღმდეგო რაღაც „პრეს-ცენტრის“ მსგავსი ორგანიზაცია კი შექმნილა. არადა, მოსახლეობის სწორი, დროული, სისტემატური და დამაჯერებელი ინფორმირების პირობებში აღარც ჭორი გავრცელდება. და არც მასთან ბრძოლაში დაიხარჯება დრო, ფული და ენერჯია.

საოცარია, პირდაპირ.

რაღაცას არ ვაკეთებთ წესიერად და მერე ჩვენივე ხელით გაფუჭებული საქმის გამო შექმნილი სიძნელების გადალახვის დროს ვიტყბთ კისერს, მაგრამ სასურველ შედეგს უკვე ვეღარ ვაღწევთ.

ვერც მივალწევთ.

მით უფრო. ბოლოდროინდელი მოვლენებით გადატვირთულ დღევანდელობაში, როცა ასე იმძლავრა ბუნების, ტექნიკისა და საზოგადოებრივი მოვლენების სტიქიამ.

თუნდაც ჩვენთან, საქართველოში.

9 აპრილის „სისხლიანი კვირა“.

ინფორმაცია, რომელმაც მოიხმო შეიარაღებული ძალები და მსხვერპლი გამოიწვია.

დანაშაულებრივი ინფორმაცია.

ახლა ჩვენ უკვე ბევრი რამ ვიცით.

ვიცით, რომ რესპუბლიკის მაშინდელი პოლიტიკური ხელმძღვანელობის მიერ „ცენტრში“ ვაგზავნილი ინფორმაცია იმდროინდელ რეალურ სინამდვილეს და ვითარებას არ ასახავდა.

არ ასახავდა, მაგალითად, სინამდვილეს თბილისიდან — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტიდან, მოსკოვში — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტში ვაგზავნილი ინფორმაცია იმის თაობაზე, თითქოს არაფორმალურ გაერთიანებათა ლიდერებს ხელისუფლების ხელში ჩაგდებას გეგმები გამოეცხადებინათ.

კაცმა მართალი სიტყვა უნდა თქვა და ინფორმაციის დანიშნულებაც მართალი სიტყვის თქმას. სხვა აზრი და დანიშნულება მას არა აქვს და არც უნდა ჰქონდეს.

საოცარია, მაგრამ თავდაპირველად საცხებით სწორი და დამაჯერებელი ინფორმაცია მოსახლეობამ ვერც მომდევნო, კვლავ დაძაბული და რთული სიტუაციების დროს მიიღო. კერძოდ, აფხაზეთში მომხდარ ტრაგიკულ ამბებთან დაკავშირებით.

მაგალითად.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოს პირველსავე ოფიციალურ ცნობაში აღნიშნულია, რომ ამა წლის 15 ივლისსა და 16 ივლისის დამდეგს ქალაქ სოხუმში მო-

სახლეობის აფხაზ და ქართველ ნაწილს შორის მოხდა შეტაკებები, რის შედეგადაც არის მსხვერპლი, დაშავებულები.

როგორ თუ შეტაკებები?

და ისიც მოსახლეობის აფხაზ და ქართველ ნაწილს შორის არა.

ასეთი ინფორმაცია სინამდვილეს არ შეეფერება.

თავდაპირველმა არაობიექტურმა ინფორმაციამ ათასგვარი მითქმა-მოთქმა გამოიწვია, ხოლო შემდგომ მთელი რიგი სიძნელებე და სირთულეები წარმოშვა. ისინი ზოგან და ზოგჯერ დავძლიეთ, მაგრამ ცილისწამება ქართველებზე გრძელდება.

სინამდვილეში კი აი, რა მომხდარა.

გაზეთი „იზვესტია“, 1989 წელი, 20 ივლისი, № 201: „ორას მეტრში აფხაზეთის ასრ შინაგან საქმეთა სამინისტროს შენობიდან, რომელიც ახლა საფრონტო შტაბს მოგვავაგონებს — ისე ბევრია აქ ავტომატებითა და პისტოლეტებით შეიარაღებული მილიციისა და შინაგანი ჯარების თანამშრომლები, — მდებარეობს ქართული საშულო სკოლა № 1. 13 ივლისს მისი მისადგომები გადაკეტეს მომიტინგე აფხაზებმა, რომლებსაც არ სურდათ აქ თბილისის უნივერსიტეტის ფილიალის მიმღები კომისიის ფუნქციონირება. 15 ივლისის საღამოსაკენ, თითქოსდა ახლო და ავტონომიური რესპუბლიკის მილიციის მთავარი ძალების მრისხანე მეზობლობის მიუხედავად, სკოლა დაარბიეს“.

და ა. შ.

ეს არის ნაღდი ინფორმაცია.

მარტივი, ნაღდი და დამაჯერებელი იმიტომ, რომ მართალია და კეშმარტი.

უკვე მერე და მოგვიანებით ყველაფერი ცნობილი ხდება, მაგრამ მანამდე...

როცა ინფორმაცია თავის დანიშნულებას ვერ ამართლებს და მიზანს ვერ აღწევს, იგი მოსახლეობაში შედეგიანი პოლიტიკური მუშაობის სერიოზული ხელისშემშლელი ფაქტორი ხდება.

მე რატომღაც მეჩვენება და გგონებ არცთუ სულ უსაფუძვლოდ, რომ ამ ფრიად საგულისხმო გარემოებას, სამწუხაროდ, ყოველთვის არ ითვალისწინებენ პარტიული, საბჭოთა, საზოგადოებრივი ორგანიზაციები, აგრეთვე ადმინისტრაციული ორგანოები და მასობრივი ინფორმაციის საშუალებები. ჩვენი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების გარდაქმნის პროცესში წარმოქმნილი ზოგიერთი დაბრკოლებაც ნაწილობრივ მაინც ამის შედეგი უნდა იყოს. ასე მგონია მე და იმიტომ ვამბობ ჩემს სათქმელს. და კიდევ იმიტომ, რომ ვამგონმა გაიგონოს და გამგებმა გაიგოს.

ამავე დროს და ამასთან ერთად, ამას იმიტომაც ვამბობ, რომ სწორი და დროული ინფორმაციის იმათგან მიუღებლობა, ვისაც ასეთი ინფორმაციის მიწოდება თუნდაც სამსახურებრივად ევალება, ხშირად საბედისწერო შედეგებს იძლევა.

ასე მოხდა ამჯერადაც, როცა აფხაზეთში ტრაგედია დატრიალდა.

ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა, აგრეთვე სახელმწიფო უშიშროებისა და შინაგან საქმეთა ორგანოები ნებსით თუ უნებლიეთ მოკლებულნი აღმოჩნდნენ სრულიად აუცილებელსა და საგანგებო დანიშნულების ისეთ ინფორმაციას, რომელსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს.

ეს ამ ორგანოების თანამშრომელთა დანაშაულია და თითოეულმა მათგანმა ჯეროვანი პასუხი უნდა აგოს.

ხოლო, თუ სხვა რამ მიზეზია — ეს მდგომარეობას კიდევ უფრო ართულებს და პასუხისმგებლობასაც ზრდის.

ან იქნებ იყო საჭირო ინფორმაცია და იგი სათანადო რეაგირების გარეშე დარჩა?

ეს კი საკითხის უკვე მეორე და ამასთან არანაკლები მნიშვნელობის მხარეა.

ასეა თუ ისე, მე მაინც მგონია, რომ ჩვენი საინფორმაციო სამსახური არსებით გარდაქმნას, სერიოზულ სრულყოფასა და შემდგომ ყოველმხრივ გაუმჯობესებას საჭიროებს.

და კიდევ იმის თქმა მინდოდა, რომ ასეთი სრულყოფის გარეშე, იმის გარეშე, რომ ვგლობდეთ მეცნიერულ-ტექნიკური ხასიათის სრულყოფილ ინფორმაციას, საცხებით წარმოუდგენელია ჩვენი ეროვნული ეკონომიკის დამოუკიდებელი გზით განვითარება, მომწიფებული სოციალური პრობლემების დროულად გადაჭრა და მეცნიერების პერსპექტიულ დარგებში მუშაობის ეფექტიანობის ამაღლება.

ღირს დავფიქრდეთ ყოველივე ამის გამო და სიტყვას საქმე შევაშველოთ.

ოთარ ჭინჭაძე.





ართოვლება კოოპერაციული კავშირთაგან ერთობა ბულგარეთის ასოციაციასა („ყველაფერი ადამიანისათვის“) და საქართველოს მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს საწარმოებს შორის. ქართველ სპეციალისტთა ჯგუფი არაერთხელ შეხვდა სამეურნეო ორგანიზაციების „რილას“, „ვალენტინას“, „ნოვოტექსის“, ინსტიტუტ „პრომპროექტის“ ხელმძღვანელებს და ეწვია ბულგარეთის მსუბუქი მრეწველობის რამდენიმე საწარმოს. ორივე მხარეს განზრახული აქვს, ერთმანეთს შესთავაზოს ერთობლივი მუშაობა საქართველოში დამზადებული ნატურალური აბრეშუმისაგან განსაკუთრებით მოდური ნაწარმის შემუშავებისათვის, რომლის რეალიზაცია მოხდება ბულგარეთში, ჩვენს რესპუბლიკასა და სხვა ქვეყნებში.

გადაწყვეტილია, მაგალითად, რომ დაჩქარდეს კომბინატ „ბილიანისა“ (ქალაქი პეტრიჩი) და ბათუმის სამკერვალო საწარმოო გაერთიანების ბაზაზე სამკერვალო ნაწარმის დამამზადებელი ერთობლივი საწარმოს შექმნა. პირველ ეტაპზე მოეწყობა ორი საწარმოო უბანი — ერთი ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკაში და მეორე საქართველოში.

მიღებულია გადაწყვეტილება, დამყარდეს პირდაპირი კავშირი მამაკაცისა და ბავშვის პერანგების გამოშვებზე სამკერვალო ქარხანა „მირსა“ (ქალაქი ხასკოვო) და ქუთაისის სამკერვალო საწარმოო გაერთიანება „გელათს“ შორის, რომელიც ანალოგიური ასორტიმენტის წარმოებაზე სპეციალიზირებულია. ბულგარეთის მხარე თხოულობს ნახევარშალის ქსოვილის შემუშავების საკითხის განხილვას წარმოდგენილი ნიმუშის მიხედვით მამაკაცის პერანგების გამოსაშვებად, რომელთა შემდგომი რეალიზაცია მოხდება კაპიტალისტურ ქვეყნებში.

რესპუბლიკის მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს წარმომადგენლები დაინტერესდნენ პლოდღივის საფეიქრო კომბინატ „მარიცასთან“ თანამშრომლობით, რათა

# საქმიანი კონსულტაციები

ეროვნული ტექნიკური

საქართველოს სსრ საფეიქრო მრეწველობის საწარმოებმა გადმოიღონ შერეული ქსოვილებისა და სხვადასხვა დანიშნულების წმინდა პოლიეთინური ქსოვილების წარმოების გამოცდილება. ბულგარეთის მხარე თანახმაა, გაგვიწიოს ტექნიკური დახმარება ამ ქსოვილების გამოშვებაში. განიხილეს აგრეთვე გორის ბამბეულის გაერთიანებისა და კომბინატ „მარიცას“ შორის გაცვლითი ოპერაციების განხორციელების შესაძლებლობის საკითხი. ლაპარაკია იმაზე, რომ საცხვირსახოცე ზამბის მზა ქსოვილების ან სხვადასხვა დანიშნულების ნარევი ქსოვილების სანაცვლოდ ქართველი კოლეგები ბულგარეთს მიაწვდიან ნართს, ბამბას.

ჯერ კიდევ შარშან გორის გაერთიანებამ პირდაპირი კოოპერაციული კავშირი დამყარა სამეურნეო გაერთიანება „პომუკოტექსტთან“. ნავარაუდევია, შეიქმნას ერთობლივი საწარმო „პრედიმას“ და „პრა-

ნომიტის“ ტიპის ნართის გამოშვებისათვის ბულგარული ტექნოლოგიისა და მოწყობილობის საფუძველზე, რისთვისაც გამოყენებული იქნება ჩვენი საწარმოო ფართობები და მუშახელი.

ორივე მხარემ მიზანშეწონილად მიიჩნია, რომ საქართველოს მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს მოდისა და ტანსაცმლის კულტურის რესპუბლიკურმა ცენტრმა და ასოციაციის „ყველაფერი ადამიანისათვის“ შემადგენლობაში შემავალმა ახალი საქონლისა და მოდის ცენტრმა ერთმანეთს გაუცვალონ სამკერვალო და ტრიკოტაჟის ნაწარმის დიზაინური ნიმუშებები.

ასოციაციის „ყველაფერი ადამიანისათვის“ განზრახული აქვს, ჩვენი რესპუბლიკის მსუბუქი მრეწველობის საწარმოებს გამოუგზავნოს სასარჩულო ქსოვილები, რომლებიც გამოიყენება მამაკაცის პერანგების შესაქერად.

## გენათი იბიკვა ჭუბურხინჯია

ჩემი კვლევის საგანი ენგურის ხეობის ტოპონიმია. ამჯერად მკითხველს ვთავაზობ იმ მასალათა ერთ მცირე ნაწილს, რომელიც უკანასკნელი 15-20 წლის მანძილზე შევადგარევი.

ახლოგაზრდობაში ასეთი ლეგენდა მსმენია: ქუთაისიდან ბიჭვინთას მიმავალმა დავით აღმაშენებელმა მოინახულა მარტვილის სანახები, სადაც ბავშვობისა და სიჭაბუკის წლები გაუტარებია. მეფე და გიორგი ჭყონდიდელი თავიანთი ამალითურთ ენგურს მისდგომიან და ცხენები შეუგდიათ აზვირთებულ მდინარეში.

— მეფე მოდისო, მეფე! — გადასძახეს ერთმანეთს მდინარის პირას დასახლებულმა ეგრისელებმა, მერე შეშა და პურ-მარილი გააჩინეს საგანგებოდ გაშლილ კარავებთან.

მოეწონა დავით მეფეს მკვიდრი მკვერმეტყველი. „ხოლო როდესაც გაძლიერდა მითრიდატე ევპატორი, ის გახდა კოლხეთისა და ყველა ამათი ბატონი, რომლებიც დაუთმო მას ანტიპატრისმა, სისილეს ძემ. ისე ზრუნავდა ამ ადგილისათვის, რომ იქ 75 ციხე-სიმაგრე ააგო, რომლებშიაც მოათავსა მრტი ნაწილი განძისა“. — ჩუმად, თითქოს თავისთვის ამბობსო, თქვა დავითმა სტრატონის სიტყვები და ჭყონდიდელს გადახედა.

ეს იყო დრო, როდესაც თავად დავითის თაოსნობით 1106 წელს ქუთაისიდან ახლოს გახსნილ აკადემიაში ახლოგაზრდობას ცოდნას აძლევენ იოანე პეტრიწი, არსენ იუალითოელი და სხვა ცნობილი ადამიანები.

ადგილობრივი მოსახლეობის სწავლის საკითხით დაინტერესდა მეფე.

— გელათში, ზოგჯერ ბიზანტიაში აგზავნიანო აქაურ ემაწილებს მშო-

ბლები. — პასუხი არ დაუყოვნა ჭყონდიდელმა.

— გელათს დაქვემდებარებული სასწავლო კერა უნდა გავხსნათ ამ ადგილას! — ბრძანა მეფემ.

ასე დაარსდა ყრმათათვის სასწავლებელი ენგურისპირეთში.

ენგურისპირული ლეგენდა იმასაც ამბობს, რომ დავით მეფემ რამდენიმე ცალი წიგნიც დატოვაო მეორე გენათში მცირე ბიბლიოთეკისთვის ბალავრის ჩაყრის მიზნით.

ვახუშტი ბატონიშვილი გადმოგვცემს: „წყალწითელას აღმოსავლეთით, გორის კალთას, არს ეკლესია ყოვლად წმინდის ღვთისმშობლისა, დიდშუენიერი, დიდნაგები და ქმული შიგნით სოფის კენჭითა, გუმბათიანი, კეთილშუენიერს ადგილსა. აღაშენა აღმაშენებელმა დავით მეფემან და უწოდა სასუფეველს ბენაბატი, და აწ უწოდებენ ბელაბის“.

როგორც ჩანს, აკადემიის თავდაპირველი სახელწოდება ყოფილა „ბენაბატი“, რაც მეგრულად ნიშნავს განათლი, განათლი, გონება გაიშუქე.

1986 წელს „მეცნიერებაში“ გამოსცა ილია ტაბაღუას „საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში“-ს მეორე წიგნი, რომელსაც ორენოვანი წარწერით დაურთო ქრისტეფორე დე კასტელის მიერ შედგენილი რუკა. აღნიშნულ რუკაზე მონიშნულია სიპია ანუ წიფურია (დღევანდელი თავილონი, გალის რაიონი), სათანჯო და სხვ. სათანჯოსა და სიპიას შორის რუკის შემდგენელს აღუნიშნავს დასახლებული პუნქტი „გენათი“, რომელიც უსუსტად დღევანდელი ჭუბურხინჯის ტერიტორიას ემთხვევა.

კასტელის ილუსტრირებულ წიგნში საუბარია გენათის შესახებაც. „გენათი ისეთი სოფელთაგანია, სადაც ძალიან ზევრ ღვინოს აყენებენ... ჩვენი რეზიდენციის — სიპიასგან ოთხ მილზე მეტადაა დაცილებული, ზშირად მივდივართ ამ მხარეში სამკურნალოდ და ბავშვების მოსანათლად“-ო, წერს კასტელი.

რა მკურნალობაზეა ლაპარაკი? კასტელის წიგნს გენათის ილუსტრაცი-





ბულგარეთის ფირმა „ვიხრენ“, რომელიც შედის ასოციაციაში „ყველაფერი ადამიანისათვის“ და თბილისის სავაჭრო-საწარმოო ფირმა „ახალგაზრდულს“ შორის დაიდო ხელშეკრულება ერთობლივი თანამშრომლობის შესახებ. ხელშეკრულების თანახმად, ბულგარელები მოაწვდიან დამუშავებულ ტყავს, საქურქე მასალას,

თბილისელი მოდელიორები და კონსტრუქტორები კი შექმნიან თანამედროვე მოდელის ტანსაცმელს. ავსტრიის ფირმასთან „ანდრეას ბაუერი და მისი ვაჟი“ მოლაპარაკების დროს აღინიშნა, რომ არსებობს რეალური შესაძლებლობა, შეიქმნას ბათუმის ფეხსაცმლის ფაბრიკასთან ერთობლივი საწარმო.

საბერძნეთის ფირმა „ბელუა“ დაისტერესეზულია, შეიქმნას ერთობლივი საწარმო ბათუმის ტრიკოტაჟის ფაბრიკის ბათუმის მიმდინარეობს მოლაპარაკება თბილისის ბრიტანეთის ფირმა „კრიმპფილდს“ ელთან“, რათა შეიქმნას ერთობლივი საწარმო, რომელიც გამოუშვებს მამაკაცის, ქალის და ბავშვთა წინდების ნაწარმს. ინგლისის ფირმას გადაწყვეტილი აქვს, ყოველწლიურად მიაწოდოს 100 ტონა უმაღლესი ხარისხის ნეილონის ნართი, რომელიც გამოუშვებს კონკურენტუნარიან ნაწარმს. იგი იღებს ვალდებულებას, მოაწყოს ამ პროდუქციის გაყიდვა მესამე ბაზარში.

თბილსამოდლო ფეხსაცმლის ფაბრიკის ბაზაზე ესპანეთის ფირმა „სესამსა“ თავის თავზე იღებს მოწყობილობის დამონტაჟებას და ტექნიკური პერსონალის სწავლებას, საკუთარი ტექნოლოგიის დანერგვას, მაღალხარისხიანი ნედლეულის, ფურნიტურის, საძირის მოწოდებას. ფეხსაცმლის საერთო ექსპორტისაგან მიღებული მოგების 60 პროცენტი რესპუბლიკის მხარისა იქნება, 40 — ესპანეთისა.

დაწყებულია მოლაპარაკება ერთობლივი საწარმოს შექმნის თაობაზე იტალიის ფირმა „რიოდსთან“, რომელიც სპეციალდება მამაკაცის, ქალისა და ბავშვის შარვლების გამოშვებაზე. შარვლების გარდა ფირმა კერავს ქურთუკებს, სპორტულ ტანსაცმელს. თანამშრომლობის ფორმებს იტალიელები გვთავაზობენ ურთიერთკოოპერაციის საფუძველზე.

მიმდინარეობს მოლაპარაკება დასავლეთ გერმანიის ფირმა „ნინოსთან“ თბილისის შაუდ-კამვოლის კომბინატ „საბჰოთა საქართველოს“ ხელახალი ტექნიკური აღჭურვილობის შესახებ.

კიდევ ერთი დამახასიათებელი ნიშანი: 1986 წელთან შედარებით ხუთჯერ და მეტად გაიზარდა რესპუბლიკის მსუბუქი მრეწველობის საქონლის საქეპსპორტო მიწოდება.

**როზარტ მებრელიშვილი.**

აც ახლავს. ამ ილუსტრაციაში კარგად ჩანს ფერდობები და პატარა მდინარე, რომელზეც ქვიტიკის თაღოვანი ხილია აგებული, ისეთი ხილი, როგორიც შემონახულია დღემდე ბესლეთში თამარის ხიდის სახელწოდებით. აღნიშნული მდინარე და ფერდობები დღესაც არის ჭუბურხინჯში, ჩაის ფაბრიკის უკან, ეგ არის ოღონდ, ქვიტიკის ხილი წაუშლია დროს. სწორედ ამ მდინარიდან 30-40 მეტრის დაშორებით მოედინება სამკურნალო გოგირდოვანი წყალი, რომელსაც ეტყობა დიდი ხნის წინანდელი მოხმარების კვალი და სადაც დღესაც დადიან სამკურნალოდ რევმატიზმით, ბუასილით, კუჭის ავადმყოფობით დასნეულებული ადამიანები. ეჭვს გარეშეა, კასტელი ამ წყალზე დადიოდა სამკურნალოდ და ზუსტად მის შესახებაა წიგნში ლაპარაკი. სოფელში შემონახულია შენობათა ნანგრევებიც, სადაც, უნდა ვივარაუდოთ, ეკლესიები იქნებოდა აღმართული.

ამრიგად, ზუსტად დღევანდელი ჭუბურხინჯის ტერიტორიაზე მდებარეობდა ის საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც, მეღვინედეს თქმით, დავით აღმაშენებლის ბრძანებით აშენდა ენგურისპირეთში.

ახლა ვიკითხოთ, როდის წაიშალა სახელწოდება „გენათი“ და როდის დაერქვა მას „ჭუბურხინჯი“.

ჭუბურხინჯს მოგვიანებით — 1888 წელს გამოცემულ ფრანგი ფილოლოგის უიურ მიგრიეს წიგნში წავაწყდებით. წიგნში, რომლის სათაურია „სამეგრელო“ და ფრანგულ ენაზეა დასტამბული ოდესაში, ვკითხულობთ, რომ ჭუბურხინჯში მშვენიერი ტყეები არისო.

სოფელში დღესაცაა წაბლისა და მუხის ტყეები. როგორც ჩანს, სოფელში პატარა მდინარეებზე აგებდნენ წაბლის მორების ხიდებს, საიდანაც მივიღეთ სახელწოდება — ჭუბურხინჯი (წაბლის ხიდი).

ახე და ამრიგად, ამ სოფელს მე-12 საუკუნიდან მე-19 საუკუნის მიწურულამდე ეწოდება გენათი, ხოლო მე-19 საუკუნის მიწურულიდან — ჭუბურხინჯი.

**იკოლიტე გამსახურდია.**





# უკრაინის დროის ბაკვათი- ლუბი

## დილოგი ვლადიმერ სემიჩასტნიტან

ვ. ე. სემიჩასტნი (დაბად. 1924) — საბჭოთა სახელმწიფო, პარტიული მოღვაწე. სკკ წევრი 1944 წლიდან. 1946-50 — უკრაინის ალკც ცენტრალური კომიტეტის მდივანი, პირველი მდივანი. 1958-59 — საკავშირო ალკც პირველი მდივანი, 1961-67 წლებში — სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე, შემდგომ სსრ კავშირისა და უკრაინის სსრ მინისტრთა საბჭოებშია. სკკ ცენტრალური კომიტეტის წევრია 1964-71 წლებში (კანდიდატია 1956 წლიდან), სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი 1958-60 წლებში (საბჭოთა ენციკლოპედიური ლექსიკონი, 1988 წ.).

განდიდებას. პოლიტიურის წევრიც არ უნდა გავხადოთ იმიტომ, რომ მაშინ ის კრიტიკის გარეშე ზონაში ხვდება. მთელი უბედურება ის არის, რომ თუ აქ არაკეთილსინდისიერია, უნამუსო ადამიანი მოხვდა, მისი გადამოწმებაც კი უკვე შეუძლებელია. მას შეუძლია, რაც უნდა, ისა თქვას. ვინ გადამოწმებს ჩემი აგენტურის და ყველა სხვა საქმეს? საჭირო განდებდა ახალი აგენტურის შექმნა. მაშასადამე, კიდევ ერთი ორგანო წარმოიქმნება ზემოთ?

სუკის ორგანოები ანგარიშვალდებულნი და დაქვემდებარებულნი უნდა იყვნენ საზოგადოების, ხალხის მიმართ — როგორც ყველა დანარჩენი. ვიმედოვნებ, მოვესწრებით იმ დროს, როდესაც ჩვენი პრესა დაწერს მათ შესახებ, გაკრიტიკებასაც არ მოერიდება. ის დროც დიდგება, როცა სუკის ყველა საქმიანობა მხოლოდ პროკურორის სანქციით ჩატარდება.

არსებითად უმაღლეს საბჭოშიც უნდა იყოს უშიშროებისა და თავდაცვის კომისია — როგორც სხვა ქვეყნებშია. არ შეიქლება ჩვენი ორგანოები კონტროლის გარეშე ვიყოლიოთ. რა თქმა უნდა, პარტია აკონტროლებს, მაგრამ საზოგადოებამაც უნდა გააკონტროლოს ისინი. მერწმუნეთ, მე ვიცი, რას ნიშნავს ეს.

— სამწუხაროდ, ჩვენს საზოგადოებას, საზოგადოებრიობას დიდხანს არ ეცალა კონტროლისათვის: სულ ცოტა ხნის წინათ, ორმოცდათექვსმეტში, ჩვენ „გაგვალხვეს“...

— იცით, დღეს ცოტა აგვერია აქცენტები. ეს შეცდომაა, როცა ამბობენ, რომ ვიღაც გამოვიდა „დათბობის“ წინააღმდეგ, სტალინიზმის დაბრუნებისათვის. ყველაფერი თავისთავად დაიწყო, როდესაც ბრეჟნევი მოვიდა.

— მაგრამ მან ხომ რეფორმებით დაიწყო...

— რეფორმები მხოლოდ გა-

უნდა გააკეთოს აქ სუკმა? რა თქმა უნდა, არა-ფე-რი. ვკითხვ: „დაამთავრეთ?“ „დავამთავრეო“. მივუბრუნდი სამდივნოს უფროსს, ის ხომ ჩემი თანაშემწეა, და ვუთხარი: „ვბრძანებ, აპარატი შემციოდეს სანახევროდ და გამოგზავნოთ ისინი ჩემს რეზერვში“. საოლქო კომიტეტის მდივანი: „ეს როგორ იქნება, თქვენ გესმით...“ „მე ვეუბნები: „რამდენი კომუნისტი გყავს — ორმოცი ათასი? და შენ ამ ყავარჯნების გარეშე იოლად ვერ მიდიხარ? მათ ქალაქ მაგნიტოგორსკში არა-ფერი აქვთ გასაკეთებელი. ეს შენი პარტიული საქმეა“.

— მაშ, როგორ — ისინი იგონებდნენ საქმეს?

— იგონებდნენ, იგონებდნენ.

— აქედან ხომ არ მომდინარეობს მრავალრიცხოვანი „საქმე“, რომლებიც უკავშირდება სტუდენტურ ხელნაწერ ქურნალებს, „ანტისაბჭოურ“ გამოჩაქვამებს?..

— რა თქმა უნდა. რაღაცას ხომ უნდა ჩაებლაუჭო. იცით, ჩეკისტებს ასეთი ანეკდოტიც კი აქვთ: „მამა პენსიაზე გავიდა, შვილმა კი მისი საქმეები წარმოებაში მიიღო და უთხრა მას: „მამილო, ეს რა საქმეებია, თხუთმეტი წელია ჩააკირკიტებ და ვერ დაგიმთავრებია? მე კი გავეცანი და დავხურე კიდევ“. „ეეეე ასე, ახალგაზრდობას მეტი რა მოეთხოვება, — მაგ საქმეებით ავერ თხუთმეტი წელია პურსა ვჭამ, შენ კი გავეცანი და დახურე კიდევ“. ეს ანეკდოტი ერთხელ აქტივის კრებაზე ვუამბე ჩემს ჩეკისტებს და ხარხარი აუტყდათ. იმიტომ, რომ ეს მართლაც ასეა. ნამდვილად. არ ვიცი, ახლა როგორ არის საქმე. მაგრამ მე და შელუბინმა რწმუნებულთა აპარატი ყველა შინაგან რაიონში შევამცირეთ. საჭირო არ არის, გესმით, ფუჭია. ორგანოებმა თავიანთი ფუნქციები უნდა შეასრულონ.

— კონსტიტუციის მიღებულ შესწორებებში ნათქვამია, რომ სახალხო დეპუტატები ყრილობაზე დაამტკიცებენ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს, მთავარ სახელმწიფო არბიტრს, უმაღლეს სასამართლოს... მაგრამ რატომ არ არის ამ სიაში სუკის თავმჯდომარე?


— არ შეიძლება. არ შეიძლება მისი დაყენება ყველაზე მაღლა. გესმით, თუ ყრილობაზე დაამტკიცებენ, მაშინ გამოდის, რომ ჩვენ მას განსაკუთრებულ როლსა და მდგომარეობას ვანიჭებთ სახელმწიფოში. მე თქვენ გეტყვით, რაც უფრო დავამცირებთ მას, მით უკეთესი იქნება. ის თვითონ მოძებნის თავის თავში ძალასა და გზას. აზრი არა აქვს მის

— ამჟამად გავრცელებულია აზრი, რომ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტი (სუკი) უძრაობის დროს გახდა ისეთი სისტემა — სახელმწიფო სახელმწიფოში, რომელიც ხშირად იმ საქმეებს როდი აკეთებს, რასაც უნდა აკეთებდეს.

— იცით, სუკი შექმნის პირველი დღიდანვე მართლ თავის პირდაპირ საქმეს როდი აკეთებდა, თვით ძერჟინსკის დროსაც კი. უპატრონონი, მაგალითად. რაც შეეხება იმას, ეყოვისა და ბერიას დროს რომ იყო, გადმონაშთები კი — ჩემს დროსაც, ხშირ შემთხვევაში სუკი ნამდვილად მისთვის შეუფერებელ საქმეებს აკეთებდა. ჯერ შელუბინმა, შემდეგ კი მეც ბევრი რამ ჩამოვაცილეთ. ავიღოთ თუნდაც საკითხები, რომლებიც ითვალისწინებენ ყურის გდებას, დამსვენობას, ენატანობას... პარტიის ცენტრალურ კომიტეტში, ბრეჟნევის წინაშე არაერთხელ გამომითქვამს ჩემი აზრი: ძვირფასო ამხანაგებო, პარტიული ორგანიზაციების ასე ფართო ქსელის პირობებში ჩვენგან რომ მოითხოვთ ინფორმაციას იმის შესახებ, თუ ქვეყანაში ვინ როგორ რეაგირებას ახდენს ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებებზე, — ეს, სულ მცირე, უსაფუძვლოა, ულამაზოა. არის ცენტრალური კომიტეტის აპარატი, პარტიული აპარატი, ჩეკისტებმა კი ინფორმაცია უნდა აგროვონ?

რა საჭიროა, მაგალითად, სამი შენობა ძერჟინსკის მოედანზე? ვერაფრით ამიხსნია. ჩემს დროს ორი შენობა იყო. ეს იმას ნიშნავს, რომ — კი არ ვმცირდებით, არამედ ვმატულობთ? მე, მაგალითად, მაშინაც მებედებოდა აზრი, რომ ბევრ შინაგან დარგში არ უნდა ვიყოლიოთ ორგანოები, საჭიროა ამ ორგანოების რამდენიმე ნაწილად გაყოფა. მათ იქ არაფერი ესაქმებათ. ოდესღაც მაგნიტოგორსკში ჩავედი: თათბირს ვატარებდი. აპარატის ოციოდე მუშაკი შეგროვდა. სათავეში პოლკოვნიკი უდგათ. მეც ამაღლა მახლავს — გენერლები, პარტიის საქალაქო კომიტეტის მდივანი, საოლქო კომიტეტის მდივანი... „მოგვახსენეთ ვითარება, რაზე მუშაობს აპარატი?“ მე კი ამ დროისათვის უკვე ვიყავი ქარხნებში, მოვიარე ქალაქი. ის, ალბათ, ოცდაათი წუთია ლაპარაკობს. მე ვლუმვარ. სიტყვას არ ვაწყვეტინებ, მას კი არაფერი აქვს სალაპარაკო. ამხანაგებო, მაგნიტოგორსკი დახურული ქალაქია, უტხოვლებს იქ შესვლა ეკრძალებათ. რა





მოაცხადეს, სინამდვილეში ისინი არც დაწყებულა. როგორც ამბობენ, ჰაერში გამოკიდებულ დარჩა. დაგვირდნენ ცვლილებებს, შემდეგ კი მთელი საქმე ჩაახშვეს ფინანსთა სამინისტროს, შრომის სახელმწიფო კომიტეტის ინსტრუქციებით, სხვა ყველანაირი შემზღვევლი და მაკონტროლებელი ორგანოებით. და რეფორმა დაილუპა.

თავდაპირველად თითქოს ყველაფერი გვარიადად მიდიოდა — ჩვენ ხომ იმით მოგვხსენით ხრუშჩოვი და დავინშენით ბრეჟნევი, რომ ქვეყნად კოლექტიური ხელმძღვანელობა ყოფილიყო. პირველ პლენუმებზე, მახსოვს, გულახდილი ლაპარაკი მიდიოდა. იყო გამოსვლები უქალაქოდ, ცოცხალი გამოსვლები. საინტერესო აზრებიც წარმოითქმებოდა. შემდეგ კი ყველაფერი წავიდა უარესად, უარესად, უარესად...

ბრეჟნევი ხელისუფლების უმალეს ეშელონს ჩამოაცილა ყველა ახალგაზრდა — შელეპინი, პოლიანსკი, ვორონოვი. მან შემოიკრიბა გამკონფიდენციალურად, რომელთაც შეეძლოთ მლიქვნელობა, მისი ყველა მოთხოვნისა და მოთხოვნების დაკმაყოფილება.

1967 წელს მე უკვე უკრაინაში გამგზავნის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მესამე პირველ მოადგილედ. შელეპინი ბრეჟნევიმ ცენტრალური კომიტეტიდან პროფკავშირებში გადასვა, ფეხებში რომ არ აბლანდებოდა.

— ფორმალური საბაბი მაინც თუ იყო?

— არავითარი.

— ამგვარი საკითხები პოლიტიკურს სხდომებზე წყდებოდა?

— დიან, პოლიტიკურზე. ამასთან, ჩვეულებრივ, „მოსახსენებებს“ ამ სხდომებზე არ იწვევდნენ. მე, მაგალითად, პლენუმს მოვასხენე სუკის მოქმედებაზე იმასთან დაკავშირებით, რომ სვეტლანა ალილუევამ უარი განაცხადა საბჭოთა კავშირში დაბრუნებაზე — საზღვარგარეთულ სპეცოპერაციებს ხომ შეეძლოთ ამ სიტუაციის გამოყენება. სხდომის ბოლოს მთხოვეს, დარჩი, კიდევ ერთი საკითხიაო. ყველაფერი რომ დამთავრდა, ბრეჟნევიმ თქვა „მე, პოდგორნის და კოსიგინს, ჩვენ სუსლოვიც შემოგვიერთდა, წინადადება შემოგვაქვს, გავათავისუფლოთ სემიჩასტნი იმასთან დაკავშირებით, რომ ის უკვე დიდხანს მუშაობს (ექვსი წელი) და გავგზავნოთ უკრაინის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილედ. იმისათვის კი, რომ სუკი დაუუახლოვოთ ცენტრალურ კომიტეტს, რეკომენდაციას ვაძლევთ ანდროპოვის“.

მე ავფეთქდი: „როგორ თუ დაუახლოვოთ? მე რა, შორს ვიყავი? მე ცენტრალური კომიტეტის წევრი ვარ, მე... ცვირფასო ამხანაგებო...“ ის კი მაინც მოუწოდებდა პოლიტიკურს წევრებს: „განხილვა საჭირო არ არის, ამხანაგებო, განხილვა საჭირო არ არის“. ერთი სიტყვით, განხილვა არ მომხდარა. მხოლოდ რეპლიკები გავცვალეთ. მომთათბირებოდნენ მაინც ჩემი მომავალი მუშაობის თაობაზე. მერედა, ისიც მესამე პირველ მოადგილედ ჩემთვის სპეციალურად შექმნეს თანამდებობა. იმ დროს ყველგან ორ-ორი პირველი მოადგილე იყო. აი, ასე გავემგზავრე შერბიციისთან. თხუთმეტი წელიწადს ვიმორიგევე იქ. პირველ წლებში „მესამე პირველად“, შემდეგ კი უბრალოდ მოადგილედ.

შელეპინი მან პროფკავშირებში გადაიყვანა იმით, რომ ის და მე ყველაზე მეტად ვუშლიდით ხელს. ბრეჟნევიც არაერთხელ ვუთხარი, რომ ჩვენ კატეგორიულად ვეწინააღმდეგებოდით შრომობრუნების მინისტრის თანამდებობაზე. ვუამბე, თუ რას წარმოადგენდა შრომობრუნება. დაახლოებით ნახევარი წლის შემდეგ მივედი მასთან და მოვასხენე შრომობრუნების საკითხზე, აქ, მოსკოვში, და მისი ჩვილის, მაშინ ჯერ კიდევ ჩვილი იყო, შვილიშვილი წლის ბიჭის საქციელსა და ყველა სხვა თავგადასავალზე. ეს დაუყოვნებლივ გაიგო შრომობრუნება. მას ეს, რა თქმა უნდა, არ მოეწონებოდა. ის ჩვენში ხედავდა ადამიანებს, რომლებიც მას ყველა პირად და საკადრო საქმეში მხარს არ უჭერენ და წინააღმდეგ გამოდიან. და ბრეჟნევიმაც, გესმით, ყველა ნელ-ნელა ჩამოიშორა. პირველ ხანებში ის სარგებლობდა პოდგორნის, შელესტის — ყველას მხარდაჭერით. შემდეგ კი მან ისინიც...

ახლა, რაც შეეხება ანდროპოვის... ანდროპოვიც კომკავშირიდან მოვიდა. ის იყო კარელია-ფინეთის კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის მდივანი. რესპუბლიკა მაშინ მოკავშირე იყო, შემდეგ ის ავტონომიურად გადააქციეს, ჩამოაცალეს „ფინეთის“, გახდა კარელიისა. „ლენინგრადის საქმის“ შემდეგ — სხვათა შორის, როდესაც ყველა ლენინგრადელი დააპატიმრეს (მათ შორის ის ლენინგრადელიც, რომლებიც კარელიაში მუშაობდნენ) — ანდროპოვი აქ მეორე მდივნის ადგილზე მოვიდა. და, სხვათა შორის, ლენინგრადელებს, რომლებიც დააპატიმრებულნი იყვნენ და უკან დაბრუნდნენ, ძალიან დიდი პრეტენზიები ჰქონდათ ანდროპოვის მიმართ კარელია-ფინეთში დაა-

ტიმრებებში მისი მონაწილეობის გამო. ყველაფერი ეს საღლაც არქივებში ინახება. აი, სხვა საკითხიც: თხუთმეტი წელიწადი გაატარო ბრეჟნევის გვერდით და ხედავდ, თუ რა ხდება უზბეკეთში... მე ვიცი და ამას საქმის ცოდნით ვამბობ: შეუძლებელია, რომ სუკის თავმჯდომარე არ სცოდნოდა, თუ რა ხდებოდა შინაგან საქმეთა სამინისტროში, — ესეც ანდროპოვის სინდისზეა. თუ სუკის თავმჯდომარე გამბედაობა ვერ მოიკრიბა, რათა მისულიყო ვენერალურ მდივანთან ან პოლიტიკურში შექმნილი ვითარების მოსახსენებლად, მაშინ, ვის სჯირდება ასეთი სუკის თავმჯდომარე?

— იქნებ მოახსენა კიდევაც პოლიტიკურს?

— აბა, რომ მოეხსენებინა, არც დაიმალოდა. ასე რომ, არსად არაფერია ცნობილი. ახლა ხმები დადის, რომ მას ცვიგუნის გაუგზავნია სუსლოვთან მოსახსენებლად ბრეჟნევის ქალიშვილის გალიას თავგადასავლებზე, იმ ბოშაზეც, მისი ოჯახის გარშემო მთელი ამ ისტორიის შესახებაც. რატომ ცვიგუნის გაგზავნა და თვითონ არ წავიდა? ცვიგუნის ხომ პოლიტიკურს წევრი არ იყო. დიან, ანდროპოვი კულტურულად ადამიანიო და ასე შემდეგ. თუკი შენ სუკის თავმჯდომარე ხარ, უფრო შეუთხოვარი და თამამი უნდა იყო. კარგი პოლიტიკა კი წამოაყენა, ვიდრე ვენერალური მდივანი ვახდებოდა, — აქ ყველაფერი სწორია. მაგრამ თხუთმეტი წელიწადს ხომ ითმენდა ყველასთან ერთად. რაო, არ უნდოდა ადგილი დაეკარგა პოლიტიკურში? მე, მაგალითად, ახლა ვამბობ და მაშინაც ვამბობდი: საჭირო არ არის, რომ სუკის თავმჯდომარე პოლიტიკურს წევრი იყოს. იქნებ ეს რამდენადმე მინც შეაკავებდა ანდროპოვის. მე არა ვყოფილვარ პოლიტიკურს წევრი, მოხსენებას ვაკეთებდი — ეს იყო და ეს. აი, როდესაც საქართველოში „ლენინის საქმე“ გამოვაშკარავეთ და თითქმის რამდენიმე ასეული ადამიანი დავაპატიმრეთ, მათ შორის მინისტრი, ყველაფერი ეს კეთდებოდა ჩვეულებრივად... მოვასხენებდი ცენტრალურ კომიტეტს იმის შესახებ, თუ როგორ მიმდინარეობს გამოძიება, ვინ არის იქ ჩარეული, იმას, ვინც ჩავარდა, რა კავშირი აქვს დანაშაულთან — ეს იყო და ეს. მაგრამ, როცა სუკის თავმჯდომარე პოლიტიკურშია, მაშინ უკვე ადგილი აქვს ამ რევერანსებსა და სიფრთხილეს. ეს კი სრულებით არ არის საჭირო.

— თუმცა, თითქოსდა კოლექტიურობის თანახმად, პოლიტი-

ბიუროში ყველაფერი პირობით უნდა იყოს.

— დიან, მაგრამ ზომ უნდა მოხსენდეს! მოიკრიბე განხილვა და სხდომის დროს უნდა ხელთა მაქვს მონაცემები, რომ უზბეკეთი მოიცვა ერთიანმა მათიამ — ან კორუფციამ, გესმით, მოიცვა ყველა კადრი. ამას ხომ თქმა უნდა! და მე არ მჯერა, რომ სუკის თავმჯდომარე არ იცოდა, თუ რა ხდებოდა შინაგან საქმეთა სამინისტროში. მაშასადამე, ბრეჟნევიან ურთიერთობის გაფუჭება არ უნდოდა, რაკი იცოდა მისი და შრომობრუნების მეგობრული ურთიერთობის შესახებ. ასე არ შეიძლება. ამიტომაც მე სრულიად საწინააღმდეგო აზრი მაქვს იმაზე, რასაც ანდროპოვის შესახებ ამბობენ... არ ვიცი... ანდროპოვი თავისებურად უნდა აგოს პასუხი იმისათვის, რაც ხდებოდა.

— შეიძლებოდა უძრაობის დროის თავიდან აცილება?

— შეიძლებოდა, რა თქმა უნდა. საჭირო იყო მხოლოდ საკითხის გადაწყვეტა. ჩვენი უბედურება რა იყო: ყველა საქმეში — სტალინთანაც, ხრუშჩოვთანაც, ბრეჟნევიანაც — ჩვენ არ ვასრულებდით იმას, რასაც წესდება მოითხოვდა, არ ვიცავდით იმ მოთხოვნებს, რომელთაც წესდება აკისრებდა ცენტრალური კომიტეტს და პოლიტიკურს. ცენტრალური კომიტეტიც და პოლიტიკურს ხომ ყველა შემთხვევაში იმის უბრალო მოწმისა და გულგრილი მეთვალყურის როლში აღმოჩნდებოდნენ ხოლმე, რაც ხდებოდა. პარტიის კოლექტიური ორგანოები რომ ისე მუშაობდნენ, როგორც ჯერ არს, მაშინ შესაძლებელი იქნებოდა თვით ჩანასახშივე ამის...

— რამდენად მოახდინა გავლენა ქვეყნად ვითარების შეცვლაზე თანამდებობიდან ხრუშჩოვის გადაყენება?

— გეტყვით — ყველგან ამბობენ და წერენ: შეთქმულება ხრუშჩოვის წინააღმდეგ! მე ხრუშჩოვის უდიდესი პატივისცემით ვეპყრობი. მასთან, უკრაინაში, ითხ წელიწადს ვმუშაობდი, მოსკოვამდე. შემდგომ აქ, კომკავშირში. მან დამაწინაურა. ის, რასაც ხრუშჩოვი პირველ წლებში აკეთებდა, — აბა, ამხანაგებო, ძვირფასებო, ეს უბრალოდ უდიდესი დამსახურება იყო ხრუშჩოვისა, პარტიისა, პლენუმისა, ცენტრალური კომიტეტისა. აალორძინეს სოფლის მეურნეობა და ბინათმშენებლობა, გავიდნენ საერთაშორისო სარბიელზე, ფესტივალი ჩაატარეს. რაც 5-7 წელიწადში მოხდა ის, რაზეც ათეული წლების მანძილზე კრისტის დაძვრაც არ შეგვეძლო. ეს მისი დამსახურებაა. მისი დამსახურებაა, მე მი-



მაჩნია, ისიც, რომ მან შექმნა პარტიაში და ქვეყნად ისეთი ვითარება, როდესაც შეთქმულებას ან ჯარს კი არ მიმართეს, არამედ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი მოიწვიეს თანამდებობიდან მისი გათავისუფლებისათვის.

— ის ხომ ბიჭვინთაში ისვენებდა, როდესაც მოულოდნელად მოსკოვში გამოიძახეს. თუ ყველაფერი შემთხვევით მოხდა?

— მისთვის ეს შემთხვევით მოხდა, რა თქმა უნდა. დანარჩენებისათვის კი, ვინც ამისათვის ემზადებოდა, — არა. სხვა გამოსავალი არც კი იყო... მისი თანდასწრებით ამის ვაკეთება, ალბათ, უფრო გართულდებოდა. მაგრამ როცა პოლიტიკურში უკვე ნახეს საერთო ენა, ბრეჟნევი იქიდან დაურეკა (თუმცა ყველგან წერენ, რომ სუსლოვმაო, — ბრეჟნევი დაურეკა! მე ხომ მოწვე ვიყავი). ბრეჟნევი დაურეკა და მიიწვია იგი პოლიტიკურის სხდომაზე. ის გაჩურჩულდა — შემდეგ მოვალ, რას ჩქარობთ! — ბრეჟნევი კი უთხრა, რომ პოლიტიკურში შეუთანხმებლობა სოფლის მეურნეობისა და შვიდწლიანი გეგმის საკითხში. ახლა ამბობენ, რომ ის დაეთანხმა, არ დასთანხმებია!.. მან ნაწყენობითა და გაღიზიანებით უთხრა: „კეთილი, მოვიფიქრებ“. ბრეჟნევი მეც ყოველ საათში მირეკავდა: „როგორაა საქმე, რამეს იტყობინება თუ არა?“ თვითმფრინავებსაც ხომ ჩემი საშუალებით უკვეთავდნენ და სადღაც დამის 12 საათზე დამირეკეს დაცვის სამმართველოდან და მითხრეს, რომ მან შეუკვეთა თვითმფრინავი დილის 6 საათისათვის. დაუყოვნებლივ დაურეკე ბრეჟნევის სულ ეს იყო, დამშვიდდნენ.

მევედი აეროდრომზე, მეგონა, ის მთელ დაცვას — ორმოცდაათამდე კაცს მოიყვანდა. ვფიქრობ, ეშმაკმა დალაზეროს, უცებ მოხუც თავში რალაც აუვარდეს და მოიყვანოს... ის ხომ სხვა დანარჩენთან ერთად მთავარსარდალიც არის! ეს უბრალო საქმე როდია... მაგრამ მას, როგორც ყოველთვის, ხუთი კაცი ახლდა. თავისი დაცვა. ახლა მრავალი ვარაუდით კეთდება, ვთქვათ, რა მოხდებოდა, რომ ის კიევში დაშვებულიყო? მაშინ ჩვენ ამაზე არც კი გვიფიქრია. სიტყვამ მოიტანა და მას რომ კიევში დაჯდომა ეთხოვა, როგორც ბურლაცკისთან წავიკითხე, დასვამდნენ კიდეც. მაგრამ რას ვაკეთებდა. ის შემდეგ? რა მოხდებოდა კიევში? როდესაც შელესტმა უკვე იცოდა, როდესაც კიევში ცენტრალური კომიტეტის წევრებმა უკვე იცოდნენ, რომ მოწვეულია პლენუმი. ჯარი გამოეყვანათ კიევში?

ეს მას არ შეეძლო, რადგანაც თავდაცვის მინისტრი მოსკოვში იყო. ის კი უკვე დაეთანხმა იმას, რომ პლენუმი ჩატარებულიყო ხრუშჩოვისებურად. ამჟამად ბევრ ტყუილს წერენ. ჩვენ მას ახლაც ვქმნით და, დიდად სამწუხაროდ, ის დარჩება არქივებსა და ისტორიაში. შემდგომ, 20-30 წლის ვასკლის შემდეგ, გამოჩნდებიან შატროვები... უბრალოდ თავს ვიტყუებთ, კიდეც მეტიც, ჩვენ ეჭვქვეშ ვაყენებთ ბევრ მართალ საქმეს იმიტომ, რომ როდესაც კითხულობ და გრძობ, რომ ეს თითებიდან არის გამოწერილი, მაშინ სხვა დანარჩენის მიმართაც ასეთი დამოკიდებულება გიჩნდება: იყო კი ყველაფერი ასე?

— როგორ მოვიქცეთ? ჯერ ხომ სსრ კავშირის უახლესი ისტორია ჩვენთვის თეთრი ლაქაა. იმ წლების არქივები დახსულია...

— დიახ, დახსულია. მაგრამ მარტო არქივები როდი არსებობენ. ნახეთ, პოლიტიკურის რამდენი ყოფილი წევრია ცოცხალი: შელეპინი, შელესტი, ვორონოვი, კირილენკო, მასუროვი. აბა, ვინმე მივიდეს და ჰკითხოს რამე. თუნდაც იგივე ბურლაცკიმ, იგივე „ოგონიოკმა“. უჩვენეთ მათ მასალა არა სარეცენზიოდ, არამედ უბრალოდ უტყუარობის დასადგენად. ხომ არიან ცოცხალი ადამიანები. აქ არც კი არის საჭირო არქივებში ქექვა. ის რაც მათ იციან, ბევრი რამ არქივებშიც არ არის. საიდან იქნება არქივებში იმაზე, თუ ვინ შეხვდა მას აეროდრომზე და რამდენი ადამიანი ახლდა? ეს მე ვიცი. მისი დაცვაც არის. შემოიძლია დაცვის უფროსისა და მისი მოადგილის მონახვა. სერგეი ხრუშჩოვი წერს, რომ იქ იყო დაცვის უფროსი. დაცვის უფროსი კი მე წინადადებულად გავუშვი შვებულებაში. დაცვითვე უფროსის მოადგილე. და მასთან სწორედ უფროსის მოადგილე ჩაფრინდა. ეს ისეთი წვრილმანია, რომლის შესახებაც, თუ არ იცი, არ უნდა იკისრო რამის წერა.

მე ხომ ვამბობ, რომ ხრუშჩოვი მშვიდად გაათავისუფლეს პლენუმზე. მანამდე დღენახეურის განმავლობაში მიმდინარეობდა პოლიტიკურის სხდომა. ამან ძალიან შეაშფოთა პლენუმზე ჩამოსული ცენტრალური კომიტეტის წევრები. ისინი ყველანი სხდომას ატარებენ, მე კი მირეკავენ: „მისმინე, რას უხიხარ, იქ ხრუშჩოვის ხსენაწი საჭიროა დასახმარებლად წასვლა!“ „ძვირფასო მეგობრებო, იქ მიმდინარეობს პოლიტიკურის სხდომა. არ ვიცი, რაზე მსჯელობენ იქ. ჩემთვის არ შეუტყობინებიათ. საჭირო არაა სადმე წასვლა და რამის გაე-

თება“. ახლა სხვა მირეკავს: „მისმინე, იქ ხრუშჩოვმა უკვე გაიმარჯვა! ახლა საჭიროა პოლიტიკურის გადაჩენა!“ შემდგომ კი, უკვე მეორე დღეს, ბრეჟნევის დაურეკე და ვეუბნები: „ძვირფასო მეგობრებო, თუ თქვენ კვლავ განაგრძობთ სხდომას, ის თქვენ არ გაგიკრიტიკებიათ რამდენიმე წელია, ახლა კი დრო იხელეთ, მაშინ უკვე ვეღარ შევძლებ ცენტრალური კომიტეტის წევრების შეჩერებას მეორე დამეს იმიტომ, რომ ისინი უკვე ბობოქრობენ და შეიძლება წამოვიდნენ თქვენთან — ან თქვენი, ან ხრუშჩოვის გადასარჩენად“, ბრეჟნევი: „არავითარ შემთხვევაში არ დაუშვა ეს!“ ვეუბნები: „მე არ შემიძლია ცენტრალური კომიტეტის წევრების შეჩერება, ეს ჩემს ძალას აღემატება. როგორც შემოიძლია, ისე ვიყოლებ. მაგრამ თუ ისინი შეგაუფლებიან და თქვენთან, პოლიტიკურის მისაღებში აღმოჩნდებიან, მაშინ ვერაფერს გავხდები“. ნახევარი საათის შემდეგ მან დამირეკა და მითხრა, რომ შეთანხმდნენ: ისინი, რომლებიც სიტყვით არ გამოსულან, ცენტრალური კომიტეტის მდივანთაგან და პოლიტიკურის წევრობის კანდიდატთაგან (ამასობაში უკვე პოლიტიკურის ყველა წევრი გამოვიდა), სამ-ხუთ წუთში გამოთქვამენ მხოლოდ თავის დამოკიდებულებას ამ საკითხისადმი და ექვს საათზე პლენუმს მოგიწვევთო. ეს მე ხელს მაძლევდა.

ექვს საათზე გაიხსნა ცენტრალური კომიტეტის პლენუმი, მოხსენება უსლოვმა გააკეთა. ერთადერთი, რამაც გამოაცხადა ის იყო, რომ პლენუმზე კამათი არ გაშლილა. განცვიფრებული, გაკვირვებული ვიყავი და, პირდაპირ ვიტყვი, ეს ჩემთვის გაუგებარიც კი იყო. ვფიქრობ, პოლიტიკურის ზოგიერთი წევრი შეუშინდა კამათს იმიტომ, რომ ხრუშჩოვთან ერთად მოხვდებოდა პოლგორისაც, პოლიანსკისაც, სუსლოვსაც და ზოგიერთ სხვასაც. ხრუშჩოვი ყველას დაეთანხმა, მან ითხოვა, რომ არ დაეძალეებინათ პლენუმზე გამოსვლა, თორემ აფორიაქდებოდა და ატირდებოდა. კენჭისყრა რომ დაიწყეს, უკანა რიგებში ახმაურდნენ: „გაირიცხოს, პასუხისგებაში მიეცეს!“ ესენი ყველაზე თავგამოდებული მოქმედებები იყვნენ. დარბაზში ვიჯექი და ვაკვირდებოდი, ვინც ყველაზე მეტი მოქმედებდა იყო, ის უფრო ხმამაღლა გაიძახოდა: „გაირიცხოს!“ და „პასუხისგებაში მიეცეს!“ მაგრამ თვით პროცესი ნორმალურად მიმდინარეობდა. როგორც წესი, ყველამ უყარა კენჭი. ერთხმად.

— ხომ არ ყოფილა უთანხ-

მოება პოლიტიკურში ხრუშჩოვის შემდეგდროინდელი პოლიტიკის, ქვეყნის შემდგომში განვითარების პროგრამის გამო? იყო ხომ წინადადებებთან ერთიანობა?

— სრული ერთიანობა სუფევდა. ჩაფიქრებული იყო მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის შესანიშნავი პროგრამა. ყველაფერი ეს რომ შეესრულებინათ, მაშინ გარდაქმნას ახლაც ნაკლები ჯაფა და ადგებოდა იმისათვის, რომ ქვეყნის ეკონომიკა ნორმალურ მდგომარეობაში მოეყვანა. სამწუხაროდ, ყველაფერი, ყველაფერი შეფერხდა, მიწვდნა და ჩაკვდა... უკვე უკრაინაში რომ ვიყავი მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, თვითონ ვგრძობდი, თუ როგორ გაძნელდა ცხოვრება. არსებობდა, მთელი რეფორმა გვერდზე დარჩა. ის, რაც კოსიგინმა მოხსენებაში გადმოგვცა, და პლენუმის გადაწყვეტილებებიც — ფუჭსიტყვებად დარჩა.

...საქმე ის არის, რომ ბრეჟნევი ძალიან სუსტი ხელმძღვანელი გამოდდა. ისევე როგორც დიდიერიც. ის უფრო მეტად პირად საქმეებს იგვარებდა, გენიალობისა და დიდების შარავანდელს იქმნიდა თავის ირგვლივ: „ლენინელი!“ — ეს მას იმდენად ხიბლავდა, ისე იყო ვატაცებული ამით... კაცი დაავადებული იყო ორდენებით, ამ ზოილო-პიპილებით, ჟღარუნებით, საჩუქრებით... როგორ აძლევდა ამის ნებას თავის თავს გენერალური მდივანი?


დარწმუნებული ვარ: კოლევითურ ორგანოებს — ცენტრალურ კომიტეტსა და პოლიტიკურის დიდი ბრალი უდევთ იმაში, რომ სტალინი ის გახდა, რაც იყო, ბოლოს და ბოლოს, ხრუშჩოვიც ვაათამამეს. გაიხსენეთ როგორ დაყო საოლქო კომიტეტები ხრუშჩოვმა სასოფლოდ და საქალაქოდ. არავინ შეჰპასუხებია! მხოლოდ სუკის ორგანოები არ გაყოფილან. რამდენიმეჯერ მკითხა: „რატომ არ იყოფით?“ ვეუბნები: „არ შემიძლია, ნიკიტა სერგის ძე! როგორ უნდა გყავდეს ერთი აგენტი ქალაქად, მეორე კი სოფლადა? რომელიმე უცხოელს, ქალაქიდან რომ ვავა, სხვა აგენტს ხომ არ გადავცემ?“ მე, პირიქით, ვაერთიანებდი.

აი, ასე გაყო პარტია ხრუშჩოვმა პოლიტიკურის თანხმობით, ცენტრალური კომიტეტის თანხმობით. ეს უბედურება! ბრეჟნევიც უკვე რალა უნდა თქვა — თვითონ იცოდა, რომ პოლიტიკურის და ცენტრალური კომიტეტის მონაწილეობით ის შარავანდელით შეამკეს. თუ სტალინი შეიძლება ვთქვათ, რომ მან თვითონ შე-

(გაზრძალვა 80-16 83პრლზი)



# სილი



ისრაელში გამომცემლობა „საქართველოდან გამოსულთა ცენტრმა“ ცალკე ბროშურად დაგეგმა მირიამ ბათ-მროს მონოგრაფია ქართველ ებრაელთა საამაყო შვი-ლზე — იცხაკ აბანელზე, რომელსაც ამ დღეებში დაბადებიდან ორმოცდაათი წელი შეუსრულდა. ჰვა-მოდ ვაგეშვილი ამ მონოგრაფიას მცირეოდენი შემო-კლავით.

**1** ართველ ებრაელთა საამაყო შვილს, ხელოვნებათმცოდნეო-ბის დოქტორს, ვოკალის შესა-ნიშნავ პედაგოგს, მუსიკის და-რგში მრავალი ნარკვევის, რე-ცენზიისა და სქელტანინი წიგნების ავ-ტორს, ისრაელის ეროვნული საოპერო თეატრის სოლისტს იცხაკ აბანელს და-ბადებიდან 50 წელი შეუსრულდა.

იცხაკ აბანელი დაიბადა 1932 წლის 3 სექტემბერს საქართველოში, ქალაქ გო-რში, მრავალშვილიან ოჯახში, სადაც ყვე-ლა მღეროდა. იცხაკის მშობლები არაფერს ზოგავდნენ იმისათვის, რომ შვილებისათ-ვის მიეცათ მრავალმხრივი განათლება. პი-რველდაწყებითი განათლება ქალაქ გორ-ში მიიღო. შეიძწელების დამთავრების შე-მდეგ სწავლა გააგრძელა თბილისის ნიჭი-ერთა მუსიკალურ სასწავლებელში, სადაც მისი მასწავლებლები იყვნენ პროფესორე-ბი ვალერიან ქაშაყავილი და გიორგი გოგინაძე. მეთერთმეტე კლასში იყო, სა-ბჭოთა არმიის რიგებში რომ გაიწვიეს. ჯა-რში ყოფნის დროს მას კავშირი არ გაუ-წყვეტია ხელოვნებასთან. მოკლე ხანში უფრადღება მიიპყრო თავისი ვოკალური მონაცემებით და საკონცერტო პროგრამე-ბის სული და გული გახდა.

თავისი ხავერდოვანი ბარიტონითა და აქტიორული ნიჭის წყალობით, მან არა ერთი ჯილდო დაიმსახურა და ბელორუ-სიის ვოკალისტთა რესპუბლიკურ კონკურს-ში ლაურეატის წოდებაც კი მოიპოვა. სა-ბჭოთა არმიის რიგებიდან დაბრუნებულმა კვლავ სწავლა გააგრძელა აღნიშნულ მუ-სიკალურ სასწავლებელში (პროფესორ ნი-კოლოზ ბოკუჩავას კლასი).

მუსიკალური სასწავლებლის დამთავრე-ბის შემდეგ შევიდა თბილისის ვანო სარა-ჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერ-ვატორიის სოლო-სიმღერის ფაკულტეტ-ზე, რომელიც წარჩინებით დაამთავრა 1963 წელს და განაწილებულ იქნა თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის საოპე-რო თეატრში სოლისტად.

კონსერვატორიაში სწავლის პერიოდში, როგორც ნიჭიერი სტუდენტი მუშაობდა ლაბორანტად საშემსრულებლო პრაქტიკა-ში, ხოლო ისრაელში ამოსვლამდე, რო-გორც ამ კათედრის დოცენტი, ეწეოდა ფა-რთო და ნაყოფიერ მეცნიერულ მუშაობას. კონსერვატორიის სოლო-სიმღერის კათე-დრის წამყვან პროფესორ-მასწავლებელ-თა პრაქტიკულ მუშაობაში გამოყენებული სავარჯიშოების თეორიული მეთოდური დამუშავების საფუძველზე მან შექმნა ხმის სავარჯიშოები, რომელიც 1975 წელს კრე-ბულის სახით გამოსცა გამომცემლობა „განათლებამ“. ასეთი ტიპის სახელმძღვა-ნელო პირველი იყო არა მარტო საქარ-თველოში, არამედ საბჭოთა კავშირშიც.

1977 წელს ლენინგრადში, კონსერვატო-რიის სამეცნიერო საბჭოზე, დიდი წარმა-ტებით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „დავით ანდლულაძის საშემსრუ-ლებლო მოღვაწეობა და ვოკალურ-პედა-გოგიური პრინციპები“, რომელიც 1978 წელს მონოგრაფიის სახით დასტამბა გა-მომცემლობა „ხელოვნებამ“. აღნიშნულ შრომაზე ქართულ პრესაში არა ერთი აღ-ფრთოვანებული რეცენზია თუ წერილი დაიბეჭდა, აქვე დავძენთ, რომ ისრაელში ამოსვლის ერთი თვის შემდეგ, იერუსალ-იმის სამეცნიერო საატესტაციო კომისიამ იცხაკ აბანელს ვოკალის დარგში გამო-ქვეყნებული მრავალრიცხოვანი თეორიუ-ლი და პრაქტიკული შრომებისათვის მი-ანიჭა ხელოვნებათმცოდნეობის დოქტო-რის ხარისხი.

პედაგოგიურ-მეცნიერული მუშაობის პა-რალელურად ეწეოდა ფართო საშემსრუ-ლებლო მოღვაწეობას.

იცხაკ აბანელი არ შემოფარგლულა მხოლოდ საოპერო არიებისა და დუეტების შესრულებით. მომღერლის საკონცერტო რეპერტუარში ფართოდ დამკვიდრდა ბე-თოვების, მოცარტის, შუბერტის, შუმან-ის, ბრამსის, ჩაიკოვსკის, რახმანინოვის, ბორდინის, შოსტაკოვიჩის, არაყიშვილის, ბალანჩივაძის, ოთარ თაქთაქიშვილის, შა-ლვა თაქთაქიშვილის, რევაზ ლალიძის, ალ-ექსი მაჭავარიანის, სულხან ნასიძისა და სხვა კომპოზიტორთა რომანსები, სიმღერე-ბი და ციკლები.

იცხაკ აბანელი უანგაროდ იყო შეყ-ვარებული საქართველოზე, მაგრამ ვადა-წყვიტა ისრაელში დამკვიდრება, რათა თავისი წვლილი შეეტანა აღორძინებული ებ-რაული სახელმწიფოს მშენებლობასა და მისი მუსიკალური ხელოვნების განვითა-რება-გამდიდრებაში.

და აი, ოჯახთან ერთად, იცხაკ აბანელი-ვი ისრაელშია. სამშობლოში ორი თვის ყოფნის შემდეგ, მას მოუსმინეს ტელ-ავი-ვის ეროვნულ საოპერო თეატრში. მოსმე-ნაზე აბანელი შეასრულა პროლოგი ლეონკავალოს „ჯამბაზებიდან“ და ფიგა-როს სკვატინა როსინის ოპერა „სევილი-ელი დალაქიდან“. მომღერლის იშვიათი ბარიტონითა და სცენური მონაცემებით მოხიბლულმა თეატრის დირექტორმა შეს-თავაზა ეფრონის პარტია ვერდის ოპერა „ტრავიატაში“ და ამ პარტიის შესასწავლ-ად რეკომენდაცია მისცა ისრაელის ცნო-ბილ მუსიკოს დოქტორ პინკუსთან. სამი წლის განმავლობაში ამუშავებდა საოპერო პარტიებს ამ დიდ „მესტროსთან“.

ასე დაიწყო აბანელის, როგორც სა-ოპერო მომღერლის კარიერა ისრაელში. პინკუსის დახმარებით, დროის მცირე მო-ნაკვეთში იტალიურ ენაზე მოამზადა ეფ-რონის პარტია ოპერა „ტრავიატაში“ და

1979 წლის 21 ოქტომბერს წარსდა ევრ-ოპის საოპერო ხელოვნების ტრადიციებზე აღზრდილი ისრაელის მომთხოვნი მსმენე-ლის წინაშე.

მომღერლის ეს დებიუტი ტელ-ავივის სა-ოპერო თეატრში დიდი წარმატებით ჩატა-რდა. აბანელის ბარიტონითა და სცენუ-რი მონაცემებით მოხიბლული მაყურებელი მომღერალს ფეხზე ამდგარი უკრავდა ტაშს. ეფრონის პარტიის შესრულებამ სა-თანადო გამოხმაურება პოვა ისრაელის პრესაშიც. გაზეთი „ფაკა“ წერდა: „იცხაკ აბანელს აქვს შესანიშნავი ხმა, ლამაზი ტემბრის ბარიტონი, რომელიც ბრწყინვა-ლედ აუღერდა ეფრონის პარტიაში“ ვრცელი რეცენზია მიუძღვნა ქართულენო-ვანმა ჟურნალმა „დროშამ“: „სცენაზე შე-მოღის მაღალი, წარმოსადგეი ბარონი ეფ-რონის — აბანელი. გესმით მისი იშვი-ათი ხავერდოვანი ბარიტონი იმ ლამაზი ტემბრით, რომელიც დამახასიათებელია კა-კასიური და, კერძოდ, საქართველოს მდი-დარი ხმებისათვის.

როდესაც აბანელი უსმენთ, თქვენთ-ვის აღარ არცხობს ვენის ბარიერი“.

ეფრონის პარტიის წარმატებამ ფრთები შეასხა მომღერალს და იგი ჩვეული მონ-დომებითა და ენერგიით შეუდგა სხვა პა-რტიების შესწავლა-განსახიერებას.

ტელ-ავივის ეროვნული საოპერო თეატ-რის პრემიერი — ესთერ ბაუმოლი იცხაკ აბანელის საშემსრულებლო და საპარ-ტნიორო თვისებებს ასეთ შეფასებას აძ-ლევს;

— იცხაკ აბანელი ფლობს ლამაზ ბა-რიტონს და როგორც პროფესიონალი მო-მღერალი, უპასუხებს ვოკალისტიკისათვის აუცილებელ ყველა კრიტერიუმს. ამასთან, კარგი მსახიობია და ღრმად სწვდება საშე-მსრულებლო პარტიის სულიერ სამყაროს.

საოპერო თეატრში მუშაობის გარდა იც-ხაკ აბანელის შემოქმედებაში დიდი აღ-გილი უკავია საკონცერტო გამოსვლებს. დასავლეთ ევროპის, რუს, ებრაელ კომპო-ზიტორთა ნაწარმოებებთან ერთად, იცხაკ აბანელი ასრულებს ქართველი კომპო-ზიტორების რომანსებს, სიმღერებსა და არიებს ოპერებიდან, ისრაელი მსმენელი განსაკუთრებული ინტერესით ხვდება ზა-ქარია ფალიაშვილის უკვდავი ოპერებიდან მისეული აბესალომისა და მურმანის დუ-ეტს, კიაზოს არიასა და ცანგალას კუპლე-ტებს.

იცხაკ აბანელი თავისი შემოქმედების ზენიტში იმყოფება. ეს შესანიშნავი მომ-ღერალი, მეცნიერი და ვოკალის პედაგო-გი, სათანადო წვლილს შეიტანს ებრაული მუსიკალური კულტურის ისტორიაში.

მირიამ ბათ-მოფი.



# საქართველოს კულტურის მემკვიდრეობის დაცვა

● მგლის ტოტემური კულტის არსებობა კავკასიაში ისტორიულად დადასტურებული ფაქტია (მ. ამირანაშვილი, ვ. ბარდაველიძე, ბ. კუფტინი). მართლაც, თითქმის ყველა ქართული სატომო სახელი რაღაც სახით დაკავშირებულია „მგელთან“. მტკიცება, ბუნებრივია, დავიწყოთ მსჯელობით „გელების“ შესახებ, თუნდაც იმ მსგავსების გამო, რასაც ეს სატომო სახელი ამჟღავნებს სიტყვასთან „მგელი“.

როგორც ივ. ჯავახიშვილი შენიშნავს, „ეს გელები, ეხლანდელი გილანელების წინაპარნი, ძველადვე არიელ სპარსელებისაგან განსხვავებულ, არა-არიელ ტომად იყვნენ მიჩნეულნი“. ამრიგად, ირკვევა, რომ გელები არა ყოფილან ირანელები, როგორც ამას გვიქადაგებს ზოგიერთი აზერბაიჯანელი მეცნიერი.

მგლის ტოტემური კულტის პირობებში, „გელების“ სახით, ბუნებრივია, ვიგულისხმობ „მგლის“ ტომი, ტომები ან სულაც ქვეყანა. ასე გვაფიქრებინებს კასპიის ზღვის სპარსული სახელწოდებაც, „გურგანის ზღვა“, რაც ქართულად „მგლის ზღვა“ ნიშნავს. ამასთანავე, „ლუბონეს ტომი“ (რაც, ალბათ, „ლუბუს“-ის ანუ „მგლის“ ტომზე ლაპარაკს მოასწავებს) „რომალურ რუკაზე... მტკვრის მიმდინარეობის ქვემო ნაწილის სამხრეთითა და კასპიის ზღვის დასავლეთით“ ყოფილა მინიშნებული (ივ. ჯავახიშვილი).

აქვე მინდა გავიხსენო იტალიელი მოგზაური მარკო პოლო, რომელიც საქართველოს აღწერის დროს შენიშნავს: „...აქედან შემოდის ის აბრეშუმის, რომელსაც ჰქვია უელ“. წიგნის რუსული გამოცემის რედაქტორს მიაჩნია, რომ ძველი ფრანგული ენიდან არასწორადაა თარგმნილი აბრეშუმის სახელწოდება „უელ“, რადგანაც ინგლისური თარგმანის ტექსტში გვაქვს „გელ“.

სინამდვილეში, „უელიცა“ და „გელიც“ ერთნაირად მისაღება და შესაძლებელი. მართლაც, შუა საუკუნეების საქართველოში მებარეშუმეობის მაღალი დონით გამოირჩეოდა ჰერეთ-კახეთი (საინგილოს ჩათვლით). „უელი“ ინგილოურად ნიშნავს ძაღლს. ცხადია, რომ „უელიც“ და „გელიც“ მგლის თუ ძაღლის აღმნიშვნელი სიტყვის დიალექტური ფორმებია. ამიტომაც, კანონზომიერია და ბუნებრივია, რომ, ტოტემური ტრადიციების შესაბამისად, აბრეშუმის საუკეთესო ქსოვილისთვის ინგილოებს ეწოდებინათ „უელ“ ან „გელ“.

ამრიგად, საინგილო იგივე გელ-ეთია და „სამგელოს“ ნიშნავს. ნათქვამთან დაკავშირებით,

რედაქციაში წერილი მოვიდა. მისი ავტორი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი მერაბ მიქელაძე გვწერს: „გასული წლის 5 ნოემბერს „ახალგაზრდა კომუნისტის“ ფურცლებზე გამოქვეყნდა სტატია იქნაში მცხოვრებ ქართველთა წერილი სათაურით: „მენდილაძე ქართულიოვი“. წერილის ავტორები გულისწერომაზს გამოთქვამდნენ იმის გამო, რომ ბაქოში შექმნილმა სპეციალურმა კომისიამ „აზერბაიჯანის ტერიტორიაზე მცხოვრები დღევანდელი ქართული მოსახლეობა ირანული მოდგმის, გელების ჩამომავლებად“ გამოაცხადა. წერილმა მეც ამაღლვა. ისტორიკოსი არა ვარ, მაგრამ საკითხთან დაკავშირებით საკუთარი აზრი გამაჩნია. თუ რა მოხდა და როგორ აღმოჩნდა საინგილო საქართველოსაგან გარიყული, ყველამ კარგად ვიცით. საინტერესოა, რა იყო მანამდე, რა იყო, თუნდაც „გელების“ დროს, რომლებიც ჩვენმა მეზობლებმა ასე ხელაღებით ირანელებად გამოაცხადეს. ამაზე პასუხს გვაძლევს ფაქტები, რომელთა სწორად ახსნა და გაგება უძველესი ტოტემური ტრადიციების გათვალისწინებით ხერხდება. სწორედ ამგვარი მიდგომის წყალობით მომეცა შესაძლებლობა, ძველი ქართული ტექნიკური ტერმინები ახლებურად გამაზრებინა და სათანადო ადგილი მიმეჩინა მათთვის მექანიკის განვითარების ისტორიაში. ამგვარი მიდგომის საფუძველზე ჩამოყალიბდა ჩემი შეხედულებაც ინგილოებისა და გელების წარმომავლობის შესახებ, რომელიც საჭიროდ მიმაჩნია გავაცნო მკითხველს.“

ვაქვეყნებთ პროფესორ მერაბ მიქელაძის წერილს.

განსაკუთრებით საყურადღებოა ცნობა იმის შესახებ, რომ ტიგლათფილესერ I-ის დროს (1115-1077 ძვ. წ. ა.) „შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში მდებარე ტერიტორია... ცნობილი იყო „გილხი“ („გელხი“-ს სახელწოდებით“ (გ. მელიქიშვილი). სატომო სახელებისთვის დამახასიათებელი „ხი“. ბოლოსათვის ჩამოცილების შემდეგ გვრჩება ის ფუძისეული „გილ“ და „გელ“, რამაც კასპიისპირეთში „გილანი“ მოგვცა, კავკასიაში კი „გელები“ (და „კოლხები“). წმინდა ფონეტიკური თვალსაზრისით „გელხი“, „კოლხი“ და „კულხა“ ერთდროულად ეთნონიმის ისეთივე ვარიანტებია, როგორცაა, მაგალითად, „მესხი“, „მოსხი“ და „მუსხი“. ამრიგად, შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდე ბინადრობდნენ „გელ“-ური მოდგმის ტომები, რომელთა სატომო სახელი ტოტემური ტრადიციების შესაბამისად „მგლისგან“ იყო წარმომდგარი.


ტიგლათფილესერისდროინდელი ცნობა სხვა მხრივაც არის საყურადღებო. იგი ეწინააღმდეგება ჰრ. აჭარიანის, ილ. აბულაძისა და ზოგიერთი სხვა მეცნიერის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ სიტყვა „მგელ“-ი შეიძლება ქართულში შეთვისებული იყოს სომხურიდან. მართლაც, როგორც ცნობილია, ქართველებისა და სომხების წინაპართა დამეზობლება მოხდა ხუთი საუკუნით მაინც უფრო გვიან ტიგლათფილესერის მეფობის შემდეგ. ეს ის დროა, როდესაც ურარტუს სახელმწიფოს ნანგრევებზე აღმოცენება იწყეს ახალმა ეთნიკურ-პოლიტიკურმა ერთეულებმა. ამიტომაც ძველი დასაჩერებელია, რომ „მგელი“ არის სომხურიდან შეთვისებული სიტყვა.

მგლის ტოტემური კულტის გამოძახილს წარმოადგენს მამაკაცის საკუთარი სახელები: ბერა, ბერი, მგელიკა, გელა, ძაღლიკა, ჯოლორია და სხვ. „ბერა“ — „ბერის“ თაობაზე ქვემოთ ვისაუბრებთ. ახლა კი

გავიხსენოთ ვ. აბაევის მოსაზრება იმის შესახებ, რომ ქართული საკუთარი სახელი „ვახტანგ“ შეიძლება (სპარსულის გავლენით) წარმოდგებოდეს სიტყვიდან: „ვარხტანგ—ვარკატანუ“, რაც „მგლის ტანის მქონესა“ ნიშნავს. თუ ამ აზრს გავიზიარებთ, მაშინ ლეგენდარული მუზარადის ტარება გორგასლის მიერ ფორმალური ნიშნითაც გამართლებული ჩანს. „მგლის ტანს“ უკვე „თავიც მგლისა“ შეჰფერის.

ტოტემური ტრადიციების მახილებელია ვახტანგის დედისა და მისი პირველი ცოლის სახელები: „ბალენდუხტი“-ი და „ბალენდუხტი“. ორივე სახელს აქვს ერთნაირი დაბოლოება: „დუხტი“, რაც „ასულის“ მნიშვნელობითაა ნახშირი და, როგორც ინდოევროპულ ნიადაგზე აღმოცენებული სიტყვა, წარმოადგენს სპარსული „დუხტიარ“-ისა და გერმანული „ტოხტიერ“-ის სახესხვაობას (ვ. აბაევი). შესაბამისად, „ბალენდუხტი“ ნიშნავს ბალენ-ფალენეს, ანუ ვეშაპის ასულს. რაც შეეხება ვახტანგის დედის სახელს, მასში, ერთი მეხედვით, თითქოს შეინიშნება სკვითური მოძალების ანარეკლი. ასე გვაფიქრებინებს ანტიკური იბერიისა და ალბანეთის ტერიტორიაზე სოლივიტ შეჭრილი „საკაშენე“-ს სახელწოდებაც, რომელიც ალბათ წარმოადგა სკვითების ტოტემის სახელისგან: „საკა“-ირემი. ამრიგად, „საგდუხტი“ შეიძლება ნიშნავდეს „ირმის ასულს“. მეორე მხრით, უფრო გამართლებულია „საგ“-ში დავინახოთ „ძაღლის“ სპარსული სახელწოდება. შესაბამისად, „საგდუხტი“-ის სახით „მგლის ასული“ უნდა ვივარაუდოთ. სწორედ „მგლის ასულს“ შეეძლო დაერქმია ვაქისთვის „ვარკატანუ“. რაც შეეხება პრაქართული და, კერძოდ, სპარსული „ტერმინებით“ სარგებლობას, იგი, ალბათ, იმითაც იყო გამოწვეული, რომ ტოტემური ცხოველის სახელწოდება ხშირად არის ხოლმე ტაბუდადებული (აკრძალული).





ასევე ტოტემური ხასიათისაა ვახტანგის დის სახელი „გურა-ნდუხტ“. იგი წარმოადგენს ცხენის ტოტემის გამოძახილს და ამჟღავნებს კავშირს შუმერულთან. მართლაც, ივ. ჯავახიშვილის აზრით, „ცხენის სუმერული სახელი ქურ უდრის ქართულად კვიციის სახელს ქურსა და ქურანს“. ივ. ჯავახიშვილის ვარაუდის სასარგებლოდ მეტყველებს ისეთი ქართული გვარებისა და სახელების არსებობა, როგორცაა, გურასპაშვილი, გურასპაული და ასფაგურ, სადაც ქართულ-შუმერული „გურ“ და სპარსული „ასპა“ (ცხენი) თითქოს ერთმანეთს განმარტავენ „გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით“. ცხენის (და არა მარტო ცხენის) ტოტემური კულტის არსებობის თვალსაზრისით ძალზე საინტერესოა სვანური გვარი: ქურასბედიანი. ქართული სიტყვა „ქურ“ ამჟღავნებს სპარსულთან კი აღარაა დაწყვილებული, არამედ ლიკურთან. ფრანგი ენათმეცნიერის ლარომის მიხედვით „ესბე“ ლიკურად ნიშნავს ცხენს, „ესბედი“ კი მხედარს. აღნიშნული ფაქტი მოწმობს სვანთა წინაპრების უშუალო კონტაქტების შესაძლებლობას მცირე აზიის უძველეს ინდოევროპულ მოსახლეობასთან.

ამრიგად, საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ სატომო სახელი „სვანი“ წარმოდგება სიტყვისაგან „სუვანა“, რაც ლუვიურად ნიშნავს ძალს (გნობიანი).

სვანთა მიგრაციის შესახებ მოწმობს სომხეთის ტერიტორიაზე ჩატოვებული ჰიდრონიმიც, „ს(ე)ვანის ტბა“.

ნათქვამთან დაკავშირებით ყურადღებას იპყრობს სევანის ტბის ძველი ქართული სახელწოდება: „გელარქუნი“. რამდენადაც „...ჩაჩხურში არღუნ“ მდინარეთა ზოგადი აღმნიშვნელი სიტყვაა“ (ივ. ჯავახიშვილი), რასაც, ალბათ, ქართული „წარღუნა“ — „წარღვნა“ ესადაგება, ამდენად, „გელარქუნის“ მიღმა ბუნებრივია დავინახოთ „მგლის (ან ძაღლის) წყალი“.

„მგლის“ სახელთან არის დაკავშირებული სატომო სახელი „იბერი“-ც.

ასე გვაფიქრებინებს ის გარემოება, რომ სიტყვა: „ბერი“ ძველად ვააზრებული იყო როგორც „მგლის“ (ან „ძაღლის“) სინონიმი. მართლაც, თუ დავეთანხმებით მოსე ჯანაშვილს, რომ „ჩაჩხან-ლიღვთ ქართველთაგან... შეუთვისებიათ... ძაღლ... — ქალი...“, მაშინ ნათქვამის დასამტკიცებლად საკმარისია გავიხსენოთ ვახუშტის სიტყვები: „იორის პირზედ არს... ქალეთი... რომელსა

პირველ ბერ ერქუა“. იგივე მიმართებით უთუოდ საყურადღებოა, რომ „...სვანური (ქვემოხალური) რელიგიური გადმონაშთების მეოხებით გამოიკვეთა მგელთა მბრძანებლის ფიგურა... მამბერი...“ (გ. ბარდაველიძე). სიტყვა „მამბერი“ შედგება ორი ნაწილისაგან. ამათგან — „მამ“ გამოხატავს უფროსობისა და მამობის აზრს. მართლაც, როგორც ამას შენიშნავს ივ. ჯავახიშვილი, სიტყვა „მამა“ „...ზოგართულ სიტყვებში მამ-ის სახით გვევლინება. მაგ. მამ-ფალი, (მამა+უფალი)...“ რამდენადაც „მამბერის“ სახელს ატარებს მგელთა მბრძანებელი, ამდენად ცხადია, რომ „ბერი“-ი უნდა ნიშნავდეს „მგელს“. „სუვანა“ — „ბერის“ იდენტურობა „მგელთან“, ეტყობა, სწორად ჰქონდათ გააზრებული საქართველოს საჭეთმპყრობლებსაც, რაკი ვააუქმეს სვანეთის საერისთავო და აღმინისტრაციული ფუნქციების შესრულება „გელოვებს“ დააკისრეს. ვახუშტის თქმით, სვანებს „...უვისთ გელოვანი, ვითარცა პატრონი მათი...“ ეს კი გვაფიქრებინებს, რომ „გელოვრობა“, ისევე როგორც თავდაპირველად „დადიანობა არა არს გუარი, გარნა წესი ხელობისა“... და ეს ხელობა „მგელთა“ („გელ“-თა) წინამძღოლობაში მდგომარეობს.

ნათქვამთან დაკავშირებით, უთუოდ ბევრისმთქმელია იბერიის ძველი სპარსული სახელწოდება: „გურკან“, რაც ქართულად ნიშნავს „მგელს“ და რაზედაც პირველად ყურადღება გ. წერეთელმა გაამახვილა.

„იბერი“-„ბერის“ თაობაზე მსჯელობის დროს, ალბათ, ბუნებრივია, გავიხსენოთ „მგლის“ აღმნიშვნელი შუმერული სიტყვა: „ბარ“. „ბერის“ გაიგივება „ბართან“ („ე“ და „ა“ ბგერების მონაცვლეობის საფუძველზე) არაა ლოგიკას მოკლებული. ასე გვაფიქრებინებს ქართულ-მეგრული შესატყვისები: ერთი-ართი, ლეკვი-ლაკვი, მესერი-მასარი, ციხე-ჯიხა, მეგრული-მარგალი და სხვ.

ქართველებისა და, საერთოდ, კავკასიელთა წინაპრების წარმოდგენაში მგელი იყო შეუპოვრობის, ძლიერებისა და სიმკვირცხლის სინონიმი. ამას მოწმობს ამირანის „მგლის მუხლიც“. ამიტომაც უნდა იყოს ახლებურად ვააზრებული ისეთი სიტყვები, როგორცაა, მაგალითად, „ბერიცხე“, „ბერი-მუნა“, „ბერიკვიცი“ და სხვ. „ბერიკვიცი“ შევჩერდები. „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ მიხედვით იგი „ბებერი ცხენია“ და მეტი არაფერი.

სინამდვილეში „ბერიკვიცი“

ნიშნავს მგელივით ფეხმარდა და ძლიერ ცხენს. ტყუილად კი არ იტყვიან „ცხენს მოაგელვებს“-ო. აქვე გვმართებს იმისი გახსენებაც, რომ ჩაჩხურში სიტყვა „ბერი“ იხმარება „მამაცი, ჯიგიტი, ცხენოსანი ვაჟაკი“...ს მნიშვნელობით (თ. გონიაშვილი). რაღა თქმა უნდა, მსჯელობიდან არც „ლაფ-ლა ცხენია“ გამოსარიცხი, რამდენადაც აფხაზურად „ალაფს“ ნიშნავს (ძუქან) ძალს. აფხაზური და ქართული „ტოტემური ტერმინოლოგიის“ მჭიდრო კავშირზე მიუთითებს ისეთი სინონიმების არსებობა ქართულში, როგორცაა, „ბერაში“ ან „ალაიაში“ ვატარება და რომელთაგანაც მეორეის საფუძველად უდევს აფხაზური სიტყვა: „ალა“ (ხვადი ძაღლი). ტერმინის სამხედრო ხასიათი გვაფიქრებინებს, რომ ქართველთა ისტორიის გარკვეულ ეტაპზე მგელი წარმოადგენდა ომის ღმერთის ატრიბუტს. იგივეს გვაფიქრებინებს ძველი რომაელების მაგალითიც, რომლებიც პატივს მიაგებდნენ მარსს მგლის სახით. ამასთანავე, ნიშანდობლივია, რომ „მგლებს სვანები წმინდა გიორგის ძაღლებს ეძახიან...“ (ეგნ. ვაბლიანი).

ქრისტიანობის მიღების შემდეგ წარმართული დროის ომის ღმერთის ადგილი დაიკავა წმინდა გიორგის კულტმა. ნათქვამთან დაკავშირებით გვმართებს, გავიხსენოთ ივ. ჯავახიშვილის სიტყვები იმის შესახებ, რომ „წმინდა გიორგისთვის შეთქმულ ბავშვებს მთელ საქართველოში „ბერს“ ეძახიან; წმინდა გიორგის ხატის მთავარ მსახურსაც ხომ „ხევისბერი“ ერქვა; მაშასადამე, ყველა, ვისაც კი წმინდა გიორგის — მთვარის სამსახურისა და მონობის აღქმა ჰქონდა დადებული, ბერად იწოდებოდა“.

ახლა უკვე „ბერი მინდიაც“ წარმოგვიდგება როგორც ტომის ბელადი, რომელიც ტოტემური ტრადიციების შესაბამისად ატარებს ტომის ტოტემის სახელს. ამასთანავე, ფრაგმენტულად შემორჩენილი ლექსის სიტყვები: „გავგიძელ, ბერო მინდია, მუხლი მაიბი მგლისაო“, ეტყობა, წარმოითქმებოდა ხოლმე დღემდე უცნობი საბრძოლო თუ სახეიმო რიტუალის შესრულების წინ. ამგვარი რიტუალებიდან იღებს სათავეს ქართული თეატრალური ხელოვნება თავისი „ბერიკებიო“ და „ბერიკაობით“. „მგლური“ ცეკვების შესრულების დროს, ცხადია, ცეკვავენდენ „ლეკურსაც“, რომელიც შემდგომში სრულიად უსაფუძვლოდ და არასწორად ვააზრებული იყო როგორ „ლეკური“.

გრიგოლ რობაქიძე მაგონდება ამასთან დაკავშირებით... „ცეკვავენ „ლეკურს“, ეს სახელი შეიძლება იყოს „გელისგან“ წარმომდგარი მეტათეზისის გზით. ბუნებრივია, ვეითხოვოთ, თუ რა შეიცვალა ტოტემური ტრადიციების თვალსაზრისით კოლხთა „გაგლეხების“ შემდეგ? შეიძლება ითქვას, რომ დიდად არაფერი. კოლხების „ტოტემური იდეოლოგია“ უცვლელი დარჩა. ასე გვაფიქრებინებს სატომო „სახელი: „მეგრი“. ივ. ჯავახიშვილის მიერ გამოთქმული საენათმეცნიერო ხასიათის მოსაზრება, რომ „პიბერი“, „პბერი“, ანუ „პივიერ“ „პვიერ“-მა მოგვცა „გვერ“, რომლისგანაც „არის ნაწარმოები მეგრულების სახელი „ეგვერ“, „ავერ“ დასტურდება ტოტემიზმის თვალსაზრისითაც, რაკი „გერ“ მეგრულად ნიშნავს მგელს. ამასთანავე, „გერი“ როგორც მეგრულების სატომო სახელი, „ეგერის“ ფორმით გვხვდება მოვსეს ხორენაცის „სომხეთის ისტორიაში“, რომელიც V საუკუნეშია დაწერილი.

ფრიად საყურადღებოა ივ. ჯავახიშვილის მეორე გამონათქვამიც: „...ტომი..., რომელსაც ძველ ქართულ საისტორიო წყაროებში „პერნი“ ეწოდებოდა... ბერძნულ მწერლობაში „გერო“-ს სახელით იყო ცნობილი“. რამდენადაც „ოი“ წარმოადგენს მრავლობითი რიცხვის სახელობითი ბრუნვის დაბოლოებას, ამდენად, უნდა ვიფიქროთ, რომ „გერო“-ს ფუძეს შეადგენს „გერ“, რაც მეგრულად ნიშნავს მგელს. ახლა უკვე „პერ“-თა და „გერო“-ს იდენტურობის საკითხს ლინგვისტური თვალსაზრისითაც არაფერი ელოდება წინ, რამდენადაც „გ“-ანი „პ“-აედ მეგრულში ეხლაც იცვლება“. (ივ. ჯავახიშვილი). ამრიგად, „ინგილოცა“ და „პერიც“ ტოტემური შინაარსის მიხედვით არის ერთი და იგივე, რადგან ორივე უკავშირდება „მგლის“ სახელს. ასევე მგლის სახელთან აღმოჩნდა დაკავშირებული „იბერიც“, „კოლხიც“, „მეგრიც“ და „სვანიც“... ამ ძველი ტოტემური ტრადიციის გამომხატველია დიდებული ქართული ხალხური ლექსი: „კიდევაც დაიბრუნებინა ალგეთს ლეკვები მგლისანი“...





# ნაწყვეტი პოეზიდან „შედარება გაზაფხულისა და შემოდგომისა“

ეროვნული ბიბლიოთეკა

შპლმბა სარგის ცანიშვილი

## თეიმურაზ პირველი

### თამარის სახე ღვთის ბარძვას

მეფენი მოვლენ სურვილით, შენსა სახესა ჰმონებენ, შეურაცხყოფენ მნათობთა, ნათლად არ მოიგონებენ, სხივ-მოსიერად გიმზერენ, უკვდავ-მყოფელად გგონებენ, იშვებენ, მათთა პატიჟთა მათ ღვინთა შეუწონებენ.

შენ სამებაო, ერთ-არსებაო, სამ-გვამოვნებით ერთო, განუწვალებელიო, ერთ ბუნებაო, უშობელიო და ძეო შობილო, სულო მამისაგან გამომავლო, მოსავსა შენსა მეფესა, პატრონს თეიმურაზს, მეფე მეუავ-ოდეს მოხვიდე განიოხვად, ქრისტე, და გამოჩნდეს მადლი, დიდება შენი და დასჯდე ცხოველთა და მკვდართა მსაჭულად, და განარჩევდე ცხვართა თიკანთაგან,

ნუ წარმავლენ მარცხენით კერძო, შეცოდებულსა ამას მონასა შენსა, არამედ მომეც შენდობა ბრალეულსა. დედო უსხეულოსა ნათლისაო და შობილო სიტყვისა ღვთისაო, საყდარო, ეტლო, ღრუბელიო ნათლისაო, ჭე დაბნელებულსა ამას ცოდვთაგან, მითხოვე ძისა შენისაგან შენდობა ბრალთაგან. რომელნი მიემთხვივნეთ ჩემსა ამას მცირესა ნაღვასა — აღსარებასა წმიდისა სამებისასა, გაფუცებთ ცხოველსა მას ღმერთსა ყოველთაგან, შენდობას ჰყოფდეთ ჩემ ცოდვილსა ამის მეფისა თეიმურაზისათვის, რათა ქრისტემან თქვენცა მოკცეს მისისა სასუფეველის მკვიდრობა და კურთხევისა ხმისა მისისა სმენა. ამინ!

პარტული პოეტური სიტყვის ახალი გამოდევნება მე-15, მე-17 საუკუნიდან უნდა ვივარაუდოთ. აქ ისევ და ისევ „ვეფხისტყაოსნის“ ძალმოხილება გახდა პირველი ბიძგის მიმცემი. „ვეფხისტყაოსნის“ შესწავლითა და მისი მიბაძვით კვლავ ფეხს იდგამს ქართული პოეზია. გარკვეულად დადებითი როლი ითავაშა სპარსულ პოეტურ კულტურასთან შემოქმედებითა ურთიერთობამ, ახალი პოეტური თარგმანების შესრულებამ და ა. შ. საქმარისა ითქვას, რომ სწორედ ამ ხანებში დაიწყო ფირდოუსის სახელგანთქმული „შაჰ-ნამეს“ თარგმნა, რომელიც ჩვენში ქართული „როსტომიანის“ სახელითა ცნობილი. და მაინც ახალგამოდვიებული ორიგინალური ქართული პოეტური სიტყვის ყველაზე მნიშვნელოვან ფიგურას თეიმურაზ პირველი (1588-1668) წარმოადგენს. აქ ისიცაა აღსანიშნავი, რომ მან ორიგინალურ შემოქმედებასთან ერთად დიდი წვლილი შეიტანა ქართული მწერლობის სპარსული ნიმუშებით გამდიდრების საქმეში. ლირიკულ შედევრებთან ერთად მანვე პირველი ხნული გაავლო ახალი ტიპის ისტორიული პოემის დაქვიდრებაშიც („ქეთევან დედოფლის წამება“). წინამდებარე „პოეტურ იაღარში“ მკითხველი გაეცნობა ფრაგმენტს თეიმურაზის რამდენიმე ლირიკული აღსარებიდან, რომლებიც, ვფიქრობთ, სათანადო წარმოდგენას შეგვიქმნის ამ მძიმე ეპოქის ადამიანთა სულიერ წყობასა და მათი ავტორის აშკარად გამოკვეთილ ინდივიდუალურ ხელწერაზე. ცალკეული ფრაგმენტების დასაწყისში მითითებულია, თუ ავტორის რომელი პოეტური თხზულებებიდანაა ისინი გამოკრებილი. რაც შეეხება თეიმურაზის ჰიმნოგრაფიული ტიპის თხზულებებს „თამარის სახე ღვთის ბარძვას“, აქ იგი მთლიანად წარმოდგენილია ფორმალური თვალსაზრისით იგი სცილდება ჰიმნოგრაფიული პოეზიისათვის დამახასიათებელ სტრუქტურულ თა-

ვისებურებებს, მაგრამ თავისი შინაარსობრივი წყობით ახლოსაა ამ ტიპის სასულიერო ჰიმნებთან. „თამარის სახე ღვთის ბარძვას“ ფაქტიურად ეძღვნება თამარ მეფის და აგრძელებს კლასიკური ხანის ტრადიციას, რომლითაც ხაზგასმულია თამარ მეფის ღვთაებრიობა და იგი შერაცხულია „მეოთხე ჰიპოსტაზად“ (განდმერთობის, ანუ იოანოვ-ისის თემა). ამასთან მთელი ჰიმნი გამსჭვალულია ჰიმნოგრაფიული პოეზიისათვის დამახასიათებელი განცდით, რომელიც მიმართულია უშუალოდ მისაკენ. დააკვირდით თვით ფრაგმენტს: სამება, ერთ-არსება, სამ-გვამოვნება, უშობელი და ძე შობილი, მამისაგან გამომავალი სული და ა. შ. ასევე ჰიმნოგრაფიული პოეზიისათვის ნაცნობია აქ წარმოდგენილი სიმბოლიკა ღვთისმშობლისა: დედა უსხეულო ნათლისა, შობილი ღვთის სიტყვისა (ანუ ქრისტის), საყდარი, ეტლი, ნათლის ღრუბელი და ა. შ. მაგრამ დამახასიათებელი თვით თეიმურაზის პოეტური მეტყველებისათვის აქ ის არის, რომ ეს რთული სახეობრივი სიტყვა ძალზე სადა და უბრალო მკითხველისათვის გასაგები ფორმითაა წარმოდგენილი. ამიტომაც სარგებლობდა თეიმურაზის ეს ჰიმნი იმთავითვე პოპულარობით. საქმარისა ითქვას, რომ მიუხედავად სხვაგვარი იდეოლოგიური დატვირთვისა (ამ შემთხვევაში სასულიერო თემის ეროვნული განცდა ერთვის), თეიმურაზის ამ ლექსით აშკარად შთაგონებულია გრიგოლ ორბელიანის „თამარის სახე ღვთის ბარძვასი“.

დასასრულად, როგორც ითქვა, გარდა ამ თხზულებისა, აქ წარმოდგენილია ფრაგმენტები თეიმურაზის ლირიკული პოემებიდან, რომლებშიც ავტორის პირადი განცდები მალდდება საკაცობრიო და ეროვნული ტკივილების გამოხატვის მაღალპოეტურ დონემდე.

**შენიშვნა-პოემებრივი:** ქართული სულიერი კულტურით დაინტერესებულ მკითხველს კარგად მოეხსენება, თუ რა კატასტროფა მოჰყვა სიბრძნითა და გონიერებით გაბრწყინებულ დავითს, თამარისა და რუსთაველის ეპოქას. ჩვენთვის ბოლომდე არცაა გარკვეული, ასეთი რა მომოქმედეს მონღოლთა ურდოებმა, რომ თითქმის იაგარ-ყვის სახელმწიფოებრივი ცხოვრებისა და კულტურის ეგზომ სიმალეებს დაუფლებული ქვეყანა. არაფერი, ან უკეთ თითქმის არაფერი შემოგვრჩენია ამ ეპოქიდან ისეთი, რომელიც რუსთაველის ეპოქის შემოქმედებითი ძარღვის ოდინდელ ძლიერებაზე მიგვანიშნებდეს. ეს დიდი საიდუმლოა, რომელსაც ალბათ გამოავლენს და ახსნის მომავალი კვლევა-ძიება, ახალი ფაქტების აღმოჩენა... მაგრამ უკაცრიელ სასულიერო სავანეებში, გამოქვეყნებულში თუ სახიზრებში, როგორც ჩანს, მაინც ენთო მაღალი შთაგონების ნაღვერდო, რომლის გასაღვივებლად არაფერს იშურებდნენ ქართველი მოღვაწეები. ამის დასტურია ამ ხანებიდან შემორჩენილი თითო-ორთა სასულიერო ძეგლი, სამართლებრივი ტრაქტატები და, რაც მთავარია, ქართული ისტორიული აზროვნების ისეთი უნიკალური ძეგლი, როგორცაა ეპოქის შემოქმედის სახელით ცნობილი ისტორია. არც პოეტური სიტყვისადმი ტრფილი არ გამოქალაქდა ამ ძნელბედობის ყამს. ამაზე მიუთითებს აქაიქ შემორჩენილი ცალკეული ფრაგმენტი, ხალხური პოეზიის ნიმუში თუ მინაწერები. საქმარისა აქ გავიხსენოთ მე-15 საუკუნის მიწურულის რამდენიმე ფრაგმენტი სამხრეთ საქართველოდან, კერძოდ, ვანის ქვაბებიდან, სადაც „ვეფხისტყაოსნისა“ და სხვა ძეგლთა მცირე ნაწყვეტთა გვერდით ორიგინალური ლექსებისა და მათი ავტორების მთელი წყება აღმოჩენილი (ამ თვალსაზრისით საგულსხნობა მკვლევარ შერამდინ ონიანის მიერ მოპოვებული შედეგები).





თამარ მეფე  
მხატვარი შარგარიტა მეტრეველი





დავით აღმაშენებელი

ჩოხი. 1098 წ. ირუხაქიმე — ჩილიკაპედი და ზეტანი აიღონ.



მისკოპო. 1708 წ. სანდას სტამბა, მეფე აჩილ II



თამარ მეფე ახალი ვარძაპი



გიორგი შირვანაძე

გიორგი სააკაძე (სურამის ბრძოლა)



სულხან საბა ორბელიანი დიდმოციქულისადმი








მეფე ერეკლე II

800 არაგველები, კრწანისი







მე-XV-XVI საუკუნეებში გერმანიაში, იტალიაში, შვეიცარიაში და ინგლისში იწყება ფეოდალური წყობილების რღვევა და მის წიაღში ისახება კაპიტალისტური საზოგადოებრივი ურთიერთობა. ეკლესია, რომელსაც საუკუნეთა მანძილზე ხელთ-ეპყრა სახალხო განათლების სადავეები, ბრძოლას უცხადებს საერო სკოლების გაჩენას და სულ ახლახან დაარსებულ უნივერსიტეტებს: მაგრამ ამ ახალმა საზოგადოებრივმა ძვრებმა თავისი გაიტანა და, დაისვა საკითხი, თუ რა გზით დაეკმაყოფილებინათ წიგნზე გაზრდილი მოთხოვნილება. ცხადია, ამ დიდი მოთხოვნების დაკმაყოფილება არ შეეძლო ბერების მიერ მონასტრებში შესრულებულ თითო-ოროლა ხელნაწერ წიგნს და არც ქსილო-გრაფიული წესით დაბეჭდილ წიგნებს.

დაიწყო ლიტერატურული და მეცნიერული ნაშრომების მექანიკური გამრავლების — ტირაჟირების საშუალების ძებნა და ამ ძებნამ გამოიღო სასურველი ნაყოფი: XV საუკუნის ორმოციან წლებში გერმანული ქალაქის მაინცის მცხოვრებმა, ბერმა იოჰან გუტენბერგმა შექმნა მოძრავი ასონიშნები, რითაც გააიოლა ტექსტების წყობა და, რაღა თქმა უნდა, ბეჭდვა.

შეებით ამოისუნთქა ცივილიზებულმა კაცობრიობამ და მათ შორის რომის პაპმაც, რომელსაც გადაეწყვიტა, ქართველების გაკათოლიკების გზით ხელი შეეშალა საქართველოში რუსეთის დამკვიდრებისათვის. მან კარგად იცოდა, რომ ამ საქმის განხორციელებაში ერთ წიგნს უფრო მეტის ვაკეთება შეეძლო, ვიდრე ქართული ენის სუსტად მცოდნე 100 კათოლიკე ბერ-მისიონერს. რომის პაპს არც ის გამოჩენია მხედველობიდან, რომ სწორედ ამ პერიოდისათვის წარმოებდა აგრეთვე ოსმალეთსა და სპარსეთს შუა ბრძოლა საქართველოს დასაკუთრებისათვის. აღნიშნულმა ვითარებამ და წიგნის ბეჭდვის გამოგონებამ მოკლე დროში კათოლიკე მისიონერები, ესე იგი იტალიელი ბერები, რომლებიც მოღვაწეობდნენ საქართველოში, შეაიარაღა ქართულ-იტალიური ლექსიკონებით.

ამ დროს ქართულ სამონასტრო სკოლებში ასწავლიდნენ უცხო ენებს, ფილოლოგიას, ისტორიას, გეოგრაფია-ასტრონომიას, მედიცინას და სხვა საგნებს. ამ საგნების შესწავლას კი სჭირდებოდა ნაბეჭდი წიგნები და ერთი მხრივ, კათოლიკე მისიონერების მიერ ქართული ენის დაუფლების საჭიროებამ ვატიკანისათვის და, მეორე მხრივ, ქართული ნაბეჭდი წიგნის გაჩენის აუცილებლობამ, განაპირობა ქართველი მწიგნობრისა და პოლიტიკური მოღვაწის ნიკიფორე ირუბაჭიძე-ჩოლოყაშვილის (შემდეგში იტალიელების მიერ ნიჩეფორე ირბახად წოდებულის) თავგადაღებული მონღომება, დაესტამბა ქართული წიგნი რომში 1629 წელს.

პირველი ქართული ნაბეჭდი წიგნი — „ქართულ-იტალიური ლექსიკონი“ გამოიცა რომში. წიგნის ავტორები იყვნენ იტალიელი სტეფანო პაოლინი და ნიკიფორე ირბახი (ჩოლოყაშვილი), წიგნში ქართული ტექსტი მხედრულითაა აწყობილი, რომლის გარეგნობა რამდენადმე შეგუებულია ლათინური შრიფტის მოხაზულობასთან და ამიტომაცაა, რომ ქართულ-ლათინური ასოებით აწყობილი გვერდები საკმაოდ კარგ შთაბეჭდილებას ტოვებენ.

მეორე ქართული წიგნი მ. მაჯიოს „ქა-

# პირველი ქართული ნაბეჭდი წიგნი

რთული ენის გრამატიკა“ დაიბეჭდა აქვე, რომში, 1643 წელს.

ამ დროისათვისაც ისევ არ ხერხდება საქართველოში სტამბის დაარსება მტრების განუწყვეტელი შემოსევების გამო: ქართველი დიდებულები არ იშურებენ ძალასა და ღონეს, ეს დანაკლისი აუნაზღაურონ დედა სამშობლოს იმით, რომ ისევ უცხოეთში დაბეჭდონ ქართული წიგნები. ეს ის დროა, როდესაც რუსეთში იკრიბებიან სამშობლოდან გადახვეწილი რუსეთის ორიენტაციის მქონე ქართველი დიდებულები.

არჩილ მეფე ქ. ამსტერდამში ასხამს ქართულ სასტამბო შრიფტს და 1705 წელს მოსკოვის სინოდის სტამბაში ბეჭდავს პირველ ქართულ წიგნს „დავითნის“. ამის შემდეგ მოსკოვში დაიბეჭდა არაერთი და ორი ქართული წიგნი.

1709 წელს თბილისში დაარსდა პირველი ქართული სტამბა.

ქართული სტამბის დაარსების ხელისშემწყობთა შორის, პირველ ყოვლისა უნდა მოვიხსენიოთ რუმინეთის განმანათლებელი უნგრო-ვლახეთის მიტროპოლიტი ანთიმოზ ივერიელი. ანთიმოზი იყო ქართველი, 16 წლის ასაკში მოტაცებული და გაყიდული სტამბოლის ბაზარზე, სადაც ქართველი ტყვე ქალიშვილები და ჰაბუკები ყველაზე ძვირად ფასობდნენ. იგი იყიდა იერუსალიმის პატრიარქმა დოსითეოსმა და მას აქვე, სპატრიარქო კარზე მიაღებინა სწავლა-განათლება. უნგრო-ვლახეთის მთავარს კონსტანტინე ბრანკოვიანუს დოსითეოსის თანხმობით ანთიმოზი მიჰყავს რუმინეთში სასტამბო საქმის დასამკვიდრებლად. ანთიმოზი ყოფილა შესანიშნავი მხატვარი, მოქანდაკე, მშენებელი, სტამბის საქმის საუცხოო მცოდნე, დიდი საეკლესიო მოღვაწე.

XVII საუკუნეში იერუსალიმის ოთხი პატრიარქიდან საქართველოში ჩამოდის სამი: თეოფანე, პაისოსი და დოსითეოსი. როგორც ჩანს, მეფე ვახტანგ მეექვსეს დოსითეოსისათვის მიუშართავს თხოვნით, რომ აღმოეჩინა დანმარება თბილისში სტამბის გამართვის საქმეში.

ანთიმოზმა არ დააყოვნა და რუმინელიდან გამოგზავნა საქართველოში სტამბის საჭირო აღჭურვილობა — დაზგა-მარაქები და საბეჭდი ქაღალდი კი. აღნიშნულ ვენტარს გამოაყოლა თავის მიერ გამოზრდილ-გამოწვრთნილი უნგრო-ვლახელი მიხაილ სტეფანოვიჩი.

პირველი წიგნი, რომელიც თბილისში დაიბეჭდა, იყო ქართული საღვთო სახარება, რომელსაც თავფურცელზე წამძღვრებული აქვს შემდეგი ტექსტი: „აწ ახალი და პირველი დაბეჭდილი ქართულს ენაზედა. ხელითა შესტამბე მიხაილ სტეფანიშვილისა უნგრო-ვლახელისა. ქალაქსა თბილისსა. ქორონიკონსა ქრისტეს აქეთ ათასშვიდას და ცხრასა“.

ვახტანგისეულ სტამბაში გამოიცა ოცი დასახელების წიგნი. განსაკუთრებითაა აღსანიშნავი ვახტანგის რედაქციითა და ხელმძღვანელობით 1712 წელს დასტამბული შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“.

მტერთა გახშირებულ შემოსევებს ვერც ვახტანგის სტამბა გადაურჩა. მხოლოდ ერეკლე მეორემ შექმლო სტამბის აღდგენა და ქართული წიგნების ბეჭდვა-გამოცემა.

XIX საუკუნეში რამდენიმეჯერ გამოიცა „ვეფხისტყაოსანი“. ამ გამოცემათა შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია 1888 წლის ქართველიშვილისეული გამოცემა. ეს გამოცემა, 1881 წელს საქართველოში ჩამოსულმა უნგრელმა მხატვარმა მიხაი ზიჩიმ, მოხიბლულმა ქართველი ხალხითა და შოთა რუსთაველის უკვდავი ქმნილებით, უსასყიდლოდ დაასურათა. ეს სურათები დაიბეჭდა ვენასა და პეტერბურგში. წიგნი მხატვრულ-დეკორაციულად გააფორმა მხატვარმა და შესანიშნავმა კალიგრაფმა გრიგოლ ტატიშვილმა.

1888 წელსავე თბილისში ჩამოვიდა იმპერატორი ალექსანდრე III მეუღლითურთ. დედოფალს მიაჩნოდა ეს გამოცემა იონა მეუნარგას მიერ რუსულ ენაზე დაწერილი პოემის ვრცელი შინაარსით. დედოფალი ალტაცებაში მოვიდა პოემით გ. ქართველიშვილისა და ი. მეუნარგას უბოძა იაგუნდითა და ბრილიანტით შემკული ბეჭდები. შემდეგ ეს გამოცემა მიერთა სტოკჰოლმში ორიენტალისტთა კონგრესზე მეფე ოსკარ მეორეს. გაიგზავნა ქ. მაინცში იოჰან გუტენბერგის საუბილეო გამოფენაზე. აი, რა პასუხი მიიღო მაინცის ქალაქისთავისაგან, დოქტორ გასნერისაგან წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ: „მიიღეთ უმხურვალესი მადლობა თქვენი მშვენიერი საჩუქრისათვის... ეს მშვენიერი ნაწარმოები ჯერ ჩვენს დიდ გამოფენას დაამშვენებს, შემდეგ კი იგი შეიქმნება მშვენიერად გუტენბერგის მუზეუმისა“.

1900 წელს ეს „ვეფხისტყაოსანი“ გაიგზავნა პარიზში საერთაშორისო გამოფენაზე, 1914 წელს კი ლათინურში. წიგნმა ყველგან დიდი შთაბეჭდილება დატოვა. ქართველიშვილისეულმა „ვეფხისტყაოსანმა“ დიდი სამსახური გაუწია საქართველოში საგამომცემლო საქმის განვითარებას. ამ წიგნზე ქართველ გამოცემელთა და მესტამბეთა მთელი თაობები აღიზარდნენ.

**გიორგი გორდელაძე,**  
თბილისის სახელმწიფო საშობარო აკადემიის სამეცნიერო ბრაფიკის კათედრის პროფესორი, საპარტბელო დასახარებელი მხატვარი.





თანში სიმყუდროვეს დაევა-  
ბინა. ქუჩის ხმაური სუსტად  
აღწევდა, თითქოს ძალზე შო-  
რიდან ყოფილიყო. ნანა ფეხ-  
მორთხმით იჯდა ტახტზე, შა-  
ლი წაფარებინა და ზურგით კედელს ეყ-  
რდობოდა, რომელზედაც ნონი იყო გაკ-  
რული. მე კი, მის წინ, სავარძელში მოკა-  
ლათებული, სარკმელს ვაკეურებდი. დრო  
და დრო სიმაფორის ფერები იცვლებოდა.  
სულ ეს-ესაა დააძინა ბავშვი, სინათლე გა-  
მორთო. ფანჯრიდან შემოსული შუქი ძა-  
ლუმად კროვდა და რალაც მომთენთავი  
დუმბილი ჩამოწვა. ალბათ გააგრძელებდა  
იმ ამბის მოყოლას, რომლის გაგებამაც  
ასე იმოქმედა ჩემზე და მოლოდინში გა-  
ჩუმებული ვიჯექი.

— მაშ, ასე იყო... — შალი შეისწორა.  
— სიცოცხლე იმ გოგოს ღირსებას შეს-  
წირა, ვინც არა ჰყვარებია. არც შეიძლე-  
ბოდა ჰყვარებოდა, გულში სულ სხვა ჰყა-  
ვდა. სხვა, რომელმაც დღესაც არ იცის,  
რომ იმისთვის ერთადერთი ქალი იყო და  
ალბათ ვერც ვერასდროს გაიგებს, არავინ  
ეტყვის, შენ უყვარდიო.

ნელა წამოდგა, ფრთხილად მივიდა ბა-  
ვშვის საწოლთან, ჩუმად მიეფერა მძინა-  
რეს, მერე კი მომიბოდიშა და სამზარეუ-  
ლოს კარი შეაღო.

ისევ სავარძელში ვიჯექი, ფანჯრის შუ-  
შები მთლად დაორთქილიყო. ვერიდებ-  
ბოდი წამოდგომას, ხმაურზე ბავშვს არ  
გაღვიძებოდა. წიგნების თაროს დავუწყე  
თვალიერება. სამი თვე იყო, რაც ამ ოთა-  
ხში არ ვყოფილიყავი. არაფერი შეეცვა-  
ლათ, თუმცა ყველაფერი სხვანაირი მახს-  
ოვდა. კედლებიც, მაგიდაც, ფარდაც და  
საერთოდ, რაც კი მათ ოთახს ელფერს  
აძლევდა. ნანას მეუღლე, გურამი, ჩემს  
კურსზე იყო. კარგი ამხანაგობა გვქონ-  
და. სწორედ სამი თვის წინ ავიღე დიპლო-  
მი და რაიონში დავბრუნდი. სულ სხვა  
ცხოვრებამ, რომელიც იქ დამხვდა, მთლი-  
ანად გამაწყვეტინა კავშირი ქალაქთან და  
ახლა, ამ ახალი წლის წინა დღეებში ჩამო-  
სულმა, შემოვუარე.

ამ სახლში გავიცანი ის ბიჭიც ორიოდე  
წლის წინ, ვისი დაღუპვის ამბავიც კარში  
შემოსვლისთანავე, მცირედი მოკითხვის  
შემდეგ მამცნო ნანამ და მას აქეთ მასზე  
მიყვებოდა. სხვა ინსტიტუტის სტუდენტი  
იყო მაშინ. ძალზე კარგი შესახედაობა  
ჰქონდა. ჩემი შორეული ნათესავიც აღმო-  
ჩნდა. მართალია, ჩვენი დაახლოება არ მო-  
ხერხდა. მაინც ვთვლიდი, რომ კარგად ვი-  
ცნობდი. მგონი სამი წლით იყო უმცროს-  
ი, თუმცა ეს არავითარ ზღვარს არ აჩენ-  
და ჩვენ შორის და როცა კი შევხვედრი-  
ვართ თბილი. ახლობლური მოკითხვა  
გვქონია. ის, რომ უყვარდათ და პატივსა  
სცემდნენ, ღირსებას მატებდა.

სიჭაბუკეში ვისიმე სიკვდილის გაგება  
ისე ძლიერად არ ჰაღვლეებდა. რაც წლები  
მემატებოდნენ, უფრო გულისყურით  
ვეკიდებოდი სხვისი უბედურების ამბავს  
და ვხვდებოდი, რომ სიბერეში მთლად გა-  
ვითავისებდი ახლობლის ან ჩემი ტოლის  
სიკვდილს, რადგან ის ჩემთვისაც ანგარ-  
იშვასაწვევი გახდებოდა. ალბათ ამიტომ  
დამანაოვლიანა ამ ამბავმაც ასე ძალიან.  
საშინელ სინანულს განვიციდიდი, მით უფ-  
რო, იმიტომ, რომ მხეცურად იყო მოკლუ-  
ლი ქუჩაში. როგორ მოხდა ეს ზუსტად არ  
ვიციდი და სამზარეულოდან ნანას გამოს-  
ვლას ველოდი.

კარში გამოსვლისას კიდეც დახედა  
ბავშვს და ისე დაქდა.

— შენ როგორ ხარ? — ჩუმი ხმით  
მკითხა. სახით მეუბნებოდა მომიყვებო.  
მხრები ავიჩიჩე.

— როგორ მოეწყვე სოფელში, — ხმა-  
დაბლა ლაპარაკობდა ბავშვის გამო.

— მშენებლობაზე ვარ, გამორჩენა არ  
არის, აბა, რა ვითხრა, — ღიმილით მივუ-  
გე.

— გურამის დაწინაურებასაც არ დაადგა  
საშველი. რამდენი ხანია ჰპირდებიან, მაგ-  
რამ... ეჰ, რა გვეშველება... ცოლის მოყვა-  
ნას არ აპირებ?

— აქერ არა.  
— რატომ, ბიჭო!

კვლავ მხრები ავიჩიჩე და სარკმელში  
გავიხედე. მინდოდა ბანზე ამეგლო ეს კი-  
თხვა. ამ თემაზე საუბარს ყოველთვის ვე-  
რიდებოდი, რადგან არაფერი მქონდა სა-  
თქმელი.

ცოტახანს ჩუმად ვისხედით. დაღონე-  
ბული ჩაჰყურებდა იატაკს და ფიქრები  
ებუჭებოდა. ვუთხარი, მომიყევი, როგორ  
მოხდა-მეთქი.

— იმ ამბიდან ორი დღით ადრე იყო აქ,  
— ნელა ასწია თავი და ძლივს მოსწყვიტა  
იატაკს მხერა. — დიდხანს დარჩა, ვლაპა-  
რაკობდით. ვიცოდი, იმ გოგოს ხვდებოდა  
და მაინტერესებდა. გაკვრით მიპასუხებდა,  
საერთოდ, არ უყვარდა გოგოებზე ლაპა-  
რაკი, ზოგმა რომ იცის!.. არ მახსოვს, ეთ-  
ქვას, ეს გავიცანი და ამასთან ეს მქონდაო.  
თუ ჰკითხავდი მოკლედ გიპასუხებდა. ერ-  
თი სიტყვით, შევატყვე, უკვე ახლოს იყ-  
ვენ.

— იმ გოგოს... უყვარდა?

ნანამ თავი გადააქნია ყოყმანის ნიშნად.

— რა ვიცი. გოგოს ყველა შეიძლება  
შეუყვარდეს, თუ მოსწონს და თუ დაუახ-  
ლოვდება, პირველი თუა, მითუმეტეს. ერ-  
თხელ, აქაც ჰყავდა მოყვანილი და ეტყო-  
ბოდა, გულით იყო. ჰო... და, ვერ გეტყვი  
აპირებდა თუ არა ცოლად შერთვას. მე  
მგონი თვითონაც არ იცოდა. მარტო იმ  
გოგოს ვტყობავს გაუწყვედა ანგარიშს-  
მეთქი, ვთქვა, არ იქნება მართალი. არც  
ისეთი გულჩვილი იყო, ეფიქრა, რომ დავ-  
ცილდე ინერვიულებსო.

ერთი სიტყვით, ზუსტად ვერაფერს ვი-  
ტყვი... ჩხუბი აქვე ახლოს მოუხდა, ბაღ-  
თან. შინ აცილებდა და ტაქსისთვის მდგა-  
რან. ამ დროს მანქანა გაჩერებულა ორი-  
ოდე ნაბიჯში. შიგ ორი გოგო იჯდა თურმე.  
სიგარეტი უთხოვიათ, ისე რომ არ გადმო-  
სულან, მანქანიდანვე. ამაყი იყო, რა მოხ-  
დებოდა, მაშინვე ეთქვა არა მაქვსო, ის  
კახპებიც თავისი გზით წაეთეროდნენ და  
ესეც ცოცხალი იქნებოდა. მოკლედ, არ მო-  
სწონებია იმათი არც ტონი, არც ქცევა.  
საერთოდ, ვერ იტანდა უპატივცემუ-  
ლობას, თავად რომ გულმოწყალე იყო.  
მძლოლის გვერდით მჯდარისთვის ღიმილით  
უთქვამს, თუ შეიძლება გადმოდიოთ და  
თან ჩიბეში ჩაუყვია ხელი, ვითომდა სი-  
გარეტის ამოსაღებად, რომ გადმოეტყუე-  
ბინა. ისიც გადმოსულა და ელოდა თურმე,  
როდის მიაწვდიდა. აი, ახლა მკითხეთო,  
უთქვამს. იმასაც გასცივებია და მეორედ  
უთხოვია. არა მაქვსო, უპასუხია და ხელ-  
ით, როგორც იცოდა, ხომ იცი, უნიშნებია,  
წასულიყვენ. იმასაც „დეგენერატი“, თუ  
რალაც ამის მსგავსი უწოდებია.

ეს ამ შეურაცხყოფას კი მშვილად შეხ-  
ვედრია და არაფერი უთქვამს, მაგრამ ამ  
დროს, ბეი, ხომ არ გინდა? მოპირდაპირე მხა-  
რეს, იქ, ხომ იცი, ვიწროა ქუჩა, მანქანა  
გაჩერებულა. შიგ სამი ბიჭი მსხდარა —  
იმ გოგოების ნაცნობები. უკვე წასვლას


აპირებდნენ თურმე, მაგრამ იმ ბიჭების  
დანახვაზე გული მისცემიათ. დაწვდნენ  
ერთ დღეს, გათახსირებულები, უპატრო-  
ნოდ დადიან ზევით-ქვევით. მთაქვენი სუ-  
წვევით ხმისთვის. იმ ბიჭებს — ვინაა?  
უფრო ხმაძალდა და ვითომ ნერვიულად  
კვიროდნენ. შეუგინებიათ კიდეც, გავიგო-  
ნია?!

თურმე გაშვებული იდგა ერთ ადგილას  
და არაფერს ამბობდა. ქუჩას გაჰყურებდა,  
საიდანაც ტაქსი შეიძლება გამოჩენილ-  
იყო. ალბათ ეგონა, უყურადღებობით  
უფრო მოვიცილებ თავიდანო. რომ დაუ-  
ხანიათ იმათი ნაცნობი გოგოები ამას ეჩ-  
ხუბებოდნენ, ის ბიჭებიც გადმოსულან.  
ერთი იმ მანქანასთან მისულა, რომელშიც  
გოგოები ისხდნენ, ორნი კი — ამასთან. ამ  
ყველაფერს ის გოგო ჰყვებოდა სასამარ-  
თლოზე. ისე ქედმაღლურად უკითხავთ,  
რამია საქმეო, თავიანთი თავის გარდა  
სხვას რომ არავის სცნობენ. თითქოს წინ  
ვილაც ლაწირაკი ეღვათ და რაც უნდა  
მართალი ყოფილიყო, გაატრიალებდნენ  
იქიდან, თან დარწმუნებულებიც იყვნენ  
ვითომ, რომ ისიც მიიღებდა მათგან შეუ-  
რაცხყოფას და ახირებას ვერ გაუბედავდა.

ეს კიდეც არაფერი, იქნებ აეტანა, რად-  
გან გვერდით ეღვა ის გოგო და მისთვის  
სამთან ჩხუბი რა მისწრება იყო. კი, აიტა-  
ნდა, თუკი ბოლოს მაინც მშვიდობიანად  
დასცილდებოდნენ და აი, მაშინ მოხდარა  
ის, რამაც ჯვარზე აცვა საცოდავი. იმ სა-  
მიდან ერთ-ერთს, ვინც ამასთან კი არ მი-  
სულა, იმ გოგოებს გაუჩერდა მანქანის სა-  
ლონთან, თავი აუწვიოდა და იმ გოგოსთვის  
უთქვამს, ვინც ამასთან იყო და იქვე იდგა  
ამ უმსგავსობით გაშვებული, თუ უნდოდა,  
დამჯდარიყო მათთან მანქანაში და გაჰყო-  
ლოდათო. ამასაც გაუგია ეს სიტყვები, თა-  
ვიდან ჰგონებია თავიანთ გოგოებს უთ-  
ხრაო და რომ შეუხედავს იმ გოგოს აწი-  
თლებული სახისთვის, მიმხედარა, მთქმე-  
ლისკენ გაწეულა და სახეში გაურტყამს.  
წარმოიღვინე, რა უბედური დღეში ჩავარ-  
დებოდა. ერთს, შენც კარგად იცი როგო-  
რი გამხდარი იყო, სამ ამოდენა ვირთან  
უნდა ეჩხუბა და უკან დახევა შუა ქუჩაში  
სამარცხვინო ცემის მეტს არაფერს მოუ-  
ტანდა.

აი, მე ხომ გოგო ვარ, ნეტა ერთი იქ  
ყოფილიყავი... დანა სულ მუდამ ელო  
ჩიბეში. როცა ის ორნიც სცემიან, პირვე-  
ლად მაინც ამას მოუხსწრია ერთ-ერთის-  
თვის დარტყმა. მეორეს დანა ამოუღია და  
ამის შემდეგ გაუხსნია თავისი. სასამარ-  
თლოზე ამბობდნენ პირიქით იყოო. თუნ-  
დაც ასე ყოფილიყო, რამე გაემტყუნება?  
გაკეცებლბული იმ ერთ დანიანს. სცემია  
პირდაპირი. ის გოგო ჰყვებოდა, რომ გენ-  
ხათ როგორ იყო ჭკუიდან გადასული, იო-  
ლად დაიჭრებთ, ერთმა რანაირად შეძლო  
სამი ადამიანის დაჭრაო. იმ ერთი დანი-  
ანისთვის, ვისაც სცემია, მაშინვე დაურ-  
ტყამს. ორს რომ დაუნახავთ იარაღი ეჭ-  
რია, მანქანისაკენ გაქცეულან. სხვა მანქა-  
ნებიც უცბად მოგროვილან, აქ ხშირი მო-  
ქრაობაა. ყველა მხრიდან ასიგნალებდნენ  
თურმე. მაგრამ არცერთი არ გადმოსულა  
ან გაემგვლებინათ, ან... ერთი სიტყვით,  
ის ერთი იქვე ჩაყვილა. და ახლა იმ ორ-  
ის მოლოდინში იდგა, თავიანთი მანქანის-  
კენ რომ გაიქცნენ დანების ასაღებად. წა-  
რმოიღვინე, რამხელა დანა ეჭირა ერთ-  
ერთს, რომ პირმა მკლავიდან ფერდერო და  
იქიდან ფილტვში გაიარა. ჟრუანტელი მი-  
ელის. მეორეს რკინა სჭერია. როცა ახლოს  
მისულან, პირველად სწორედ ეს რკინი-





დამისი თუ ნორმალური დარჩებოდა, ერთ ბიჭი ჰყავდათ და ისიც, აი...

— რამდენისა იყო?  
— ოცდახუთის.

ბავშვს ისევ ეძინა და ისე ბათ არც აპირებდა გამოღვიძებას. ოთახშიც უწინდებურად დაურღვეველი მყუდროება იდგა.

— ეჰ, აღარ არის, — სინანულით გადააქნია თავი, — ყველანი ჩვენს გზას გავაგრძელებთ, ის კი დაგვიცვლიდა. ის გოგოც თავისი გზით წავა, ვისაც უყვარდა და ვისთვისაც სამ დანიანს ვაქცავდით დაუდგა... ბედისწერა იყო. მართალია, რაც გიწერია, არ ავცდებია.

— ბედისწერაში შენივე ხასიათი ურევია, იმას კიდევ ვერ მოიცვალე.

— ჰო, ესეა. ამაყი იყო. რა იქნებოდა იმ გოგონებისთვის მაშინვე ეთქვა, არა მაქვს სივარტით. ხომ თავიანთი გზით წავიდოდნენ? წელან ვითხარი, იმ გოგოს ღირსებას-მეთქი, მაგრამ იქნებ საკუთარი დაიცვა და ის არაფერ შუაშია. ვინ იცის? ერთი კია, ყოველთვის ერთდებოდა ჩხუბსა და გაუგებრობას. მშობრობით კი არ მოსდიოდა, არ უნდოდა ტყუილბრალოდ ნერვების მოშლა. ეჰ, ალბათ ის იქნება შენი ბედისწერა, რასაც ყველაზე ძალიან გაუბრძნობს. არადა, რა ბიჭი იყო, ისეთი ხალისი შემოჰქონდა, — ხელი აიქნია კარისკენ, — მაშინვე ბავშვს აიყვანდა, ეთამაშებოდა... ვილაყამ თქვა დასაფლავებაზე, უცოდველები ახალგაზრდობაში კვდებიანო. მართალია. ახლა მთლად უცოდველი არ იქნებოდა, მაგრამ ისეთი სულგრძელი იყო, ბევრ რამეს ცოდვად არ ჩაუთვლიდა ღმერთი. სიცოცხლეში ხომ ესე უბრალო ჩანდა, არ გეგონოს უმაღლური მეგობრები ვიყავით, მაგრამ სიკვდილის შემდეგ უფრო დავინახეთ იმის კეთილშობილება. ისეთი, როგორც არავის არ ვგქონდა დარჩენილებში. ახლა მახსენდება იმისი სიტყვები, ქცევა, სულ სხვა სამყაროს სული ჰქონდა, — თქვა და თითქოს რაღაც გაახსენდაო, წამოიწია. — რძე მაქვს დადგმული, დავხედავ, არ გადმოვიდეს. — კაბა ჩამოისწორა და სწრაფად წავიდა სამზარეულოსაკენ, — აი, ის გოგო კი... — მალევე გამოვიდა იქიდან.

— აღუღდა?

— კი, გამოვრთე. დედა მოუკვდეს, ცოტა ვერ არის კარგად, რძის გარდა ვეღარაფერს ვასმევ, — თქვა და ისევ ისე დაჯდა, შალით ხელში.


— რა მოუვიდა?

მან ჯერ ბავშვს გადახედა ფრთხილად, ხომ არ გაეღვიძაო, მერე მომიბრუნდა:

— რა ვიცი, ბიჭო, ნეტა განახა, რა შეფუთული დამყავს. ვერ მომიგონია, სად უნდა გაციებულყო. სურდო აქვს.

რაღაცას ამბობდა-მეთქი, შევახსენე.

— ჰო, აი, ის გოგო, ვინც უყვარდა სინამდვილეში, იმაზე გეუბნები, ძმად სთვლიდა (ძმა არა ჰყავს). იმიტომ, რომ იცოდა ყველაფერს შეუტრულებდა. არ იფიქრო სცდებოდა და ეგონა ესე, რადგან ესეთი რამე ქალისათვის საამაყოც არის. მართლაც ასე იყო, შეუტრულებდა. იმის ერთი სიტყვაც საკმარისი იქნებოდა, გადაკარგულიყო, უყველაფროდ გადაგებულყო და მაინც ბედნიერად ეგრძნო თავი. ისე უყვარდა, ისე უყვებოდა გულს, მართლაც იმის ცქერაში დილაგებდა სიცოცხლეს. მართალია, მას საქმროც ჰყავდა, მაგრამ მაინც დაჰფოფინებდა. რადგან იმ გოგომ სიმათლეს არ იცოდა, ძმურ სიყვარულად



# საზღა

## პროზა

### მალხაზ გეზარაშვილი

ანი სცემია, მაგრამ აუცდენია, ან იქნებ მოხვდა კიდევ, ყოველ შემთხვევაში იმისთვისაც დაურტყამს და აი, მაშინ გაუყრია მეორეს გვერდიდან. რაღაც საზარლად დაუღრიალია და უკანასკნელი ძალით მოქნეული ხელი მაინც მიუწვდენია იმისთვისაც, მაგრამ აღვიღზე ჩაეცვია.

იქვე გარდაიცვალა. იმათგან სამივენი გადარჩნენ, ეტყობა მოკლეპირიანი დანა ეჭირა ამას. რა არის ოთხ-ოთხი წელი, სამართალია?! ვილაყ ბობოლას შვილები ჩანდნენ. მოსამართლე ისე უსინდისოდ ამტყუნებდა მკვდარს, თქმა არ უნდა, მოსყიდული იყო. ვტიროდით ყველანი, მაგრამ რას იზამ?!  
ვლელავდი და სხვა რომ ვერაფერი მოვახერხებ. მოუსვენრად შევიშმუშნე. ბოღმა მომწოლოდა. ხათლად წარმომიდგა მის ადგილზე ჩემი თავი და სიცოცხლეში პირველად შევიგრძენი რა საშინელება იყო დამცირებულად, უძლურად დგომა გარ-

დაუვალ სიკიოილთან. სიბრაულლისაგან თავს ვიქნევდი.

ხანამ ამოიოხრა და ისევ იატაკს ჩაამტერდა.

— საწყალი, — ვთქვი ხმადაბლა.

— დასაულავებაზე ქვაც ტიროდა. დედამისი რა დღეში იყო, რომ გენახა!... მაშამისი, მთლად ფერდაკარგული იდგა — გონზე ვერ მოსულიყო. სასწრაფოს სასწრაფოზე იძახებდნენ. თვე ვავიდა მას შემდეგ, ვახსენებამდე მოსვენებას ვკარგავ, წამხდარი მაქვს ხასიათი. რა თავისუფლად პაოპაშებენ ეს გათახსირებულები და მკვლევლები. ქუჩაში გავლის გეშინია ადამიანს. რა ცხოვრება მოვიდა, ვის დაემსგავსენ? რა იყო იმის სიცოცხლე, ჯერ ისე ვიდაც ორიოდე დღე გაქვს და ისიც მოგისწრაფონ... ის გოგოები გარეთ არიან. ალბათ ახალ-ახალ საყვარლებში ერთობიან, ვითომც არაფერი მომხდარიყოს. ვინ გაიკითხავს ამდენ ცოდვებს? არ მეგონა, დე-



## შპრობის დროის გაკვეთილება (დასასრული)

ქმნა თავისი თავი, მაშინ ბრე-  
ქნეს პოლიტიკური დაეხმარა.  
კოლექტიური ორგანო გარანტია  
უნდა იყოს, ჩვენ შევძლებთ  
ქვეყნად იმის შესრულებას, რა-  
საც დავისახავთ, როდესაც კო-  
ლექტიური ორგანოები ისე შე-  
ასრულებენ თავიანთ მოვალე-  
ობებს, როგორც ამას პარტიის  
წესდება ითვალისწინებს.

— თქვენ ამბობთ, რომ თქვე-  
ნდამი ბრეჟნევის დამოკიდებუ-  
ლება გარკვეულად ნეგატიური  
იყო. რატომღა შემორჩა ეს და-  
მოკიდებულება თქვენდამი ჩე-  
რნეკოსაც?

— იმიტომ, რომ შერჩეული  
იყო პოლიტიკურის ასეთი შე-  
მადგენლობა. ჩვენი უბედურე-  
ბა ხომ ის არის, რომ ხრუსჩო-  
ვის და ბრეჟნევის დროს „მე-  
ორე პოზიციაზე“ ტრიალებდ-  
ნენ ის პირები, რომლებიც ან  
ვერასოდეს ვახდებოდნენ პი-  
რველები. ან მათ ხშირად  
ცვლიდნენ და როგორმე მომა-  
გრების შესაძლებლობას არ  
აძლევდნენ. ნახეთ, რა ხდებო-  
და ხრუსჩოვის დროს! თავდა-  
პირველად მასთან „მეორე“ კი-  
რიჩენკო იყო. მაგრამ შემდეგ  
კორიჩენკოს დონეზე დააყენა  
სუსლოვი. შემდეგვე პოდგორ-  
ნი მიჰყავს. პოდგორნი უკვე  
თითქოს მეორე პირია. შემდეგ  
ბრეჟნევი... მის მერე — კოზ-  
ლოვი... და ყოველთვის ასეთი  
ოთხრმის თამაში გამოდიოდა...

მყარად არავინ რჩებოდა. ღმე-  
რთმა ნუ ქნას! ძალა რომ მო-  
გერიბოს ვინმეს... ამიტომაც,  
ბრეჟნევი რომ მოკვდა, მისი  
შეცვლა, უმეტესწილად ვაჭი-  
რდა. მაღლობა ღმერთს, ანდ-  
როპოვი აღმოჩნდა. მაგრამ ან-  
დროპოვი ისეთ მძიმე მდგო-  
მარეობაში იყო, რომ მას ამ  
საქმისათვის ხელი არ უნდა  
მოეკიდა. ამერიკელებს ხომ სა-  
მედიცინო ცნობას სთხოვეს,  
როდესაც პრეზიდენტის თანამ-  
დებობაზე ასახელებენ. ჩვენთ-  
ან კი, სამწუხაროდ, ქვეყნის  
მართვა სავსებით ავადმყოფ ად-  
ამიანსაც შეუძლია. ასეთ მდგო-  
მარეობაში მან ხელი მოჰკიდა  
და ვადის ნახევარი, სწორად  
რომ ვთქვათ, არ უმუშავია,  
საავადმყოფოში იწვა. და აი,  
როდესაც ანდროპოვი მოკვდა  
— ერთადერთი შესაფერისი კან-  
დიდატურა ჩერჩენკო აღმოჩ-  
ნდა. მომწიფდა. ეს საერთოდ  
შემთხვევითი პიროვნებაა. მე  
მაქვს ფოტოგრაფია — გიჩვენ-  
ებთ, როცა მე და მიქოიანი  
ჩეკისტებს ორდენებს ვაბარ-  
ებთ, თვითონ კი გვაწვდის მათ.  
გვაწვდის ის, უმაღლესი საბ-  
ჭოს პრეზიდენტში კანცელარ-  
იის უფროსი რომ იყო. უკვე  
მეტისმეტად ჩქარა — ათ წე-  
ლიწადში მოხდა აქედან გენე-  
რალურ მდივნადვე ამაღლება.  
ეს არათუ პარადოქსია, ეს უბ-  
რალოდ... საშინელებაა.

— როდესაც გენერალური  
მდივნის ჩერჩენკოს ფოტოგრა-  
ფია გაზეთებში გამოჩნდა, ბრე-

ქნევი გავახსენა ყველას. სამ-  
წუხაროც იყო და სასაცილოც...  
— ჩვენც ვიცინოდით! მაგ-  
რამ ასე გადაწყვიტეს პოლიტ-  
ბიურომ და ცენტრალური კო-  
მიტეტის პლენუმმა. განა ასე  
შეიძლება?

— როგორ მოვიქცეთ?  
— სტალინური შეგნება კი-  
დედ დიდხანს იქონიებს გავლე-  
ნას ჩვენზე. მხოლოდ საზოგა-  
დოების კულტურის ამაღლება  
მოსპობს მას. ჩვენი კულტურის  
დონე კი ჯერ კიდევ ძალიან და-  
ბალია. საყოველთაო კულტუ-  
რის გარეშე ჩვენ ვერც დემო-  
კრატის მივალწევთ, ვერც სა-  
ჯაროობას. დემოკრატისაც და  
საჯაროობასაც ჯერჯერობით  
ბრძანების წესით ვამყარებთ.  
ეს ჯერ კიდევ არ არის ბუნე-  
ბრივი, გულიდან მომავალი  
ჩვენი ნება-სურვილის გამოვლ-  
ენის შედეგი. ვიდრე გორბაჩო-  
ვი ხელს უჭერს, ვიდრე ცენტ-  
რალური კომიტეტი ხელს უჭ-  
ერს, ვიდრე გაზეთები ხელს  
უჭერენ, საზოგადოების შეცვ-  
ლის პროცესი მიმდინარეობს.  
ვამბობთ, რომ ვეწინააღმდეგე-  
ბით ადმინისტრაციულ-მბრძა-  
ნებლურ მეთოდებს, მაგრამ  
სწორედ მათი დახმარებით ვნე-  
რავთ დემოკრატისაც და სა-  
ჯაროობასაც, რატომ? იმიტომ,  
რომ საყოველთაო კულტურა  
დაბალია.

ავილოთ თუნდაც პატარა  
პროვინციული ქალაქი, ან სო-  
ფელში წაყიდეთ, იქ რაიკომის  
მდივანმა ბრძანა — და კარგად

მეყოლოთ! გეტყვი, რომ მე  
ახლაც დიდი შიში მაქვს პი-  
რველი მდივნისა...  
ვმჯდომარის თუნქებზე...  
თავსების გამო. იმიტომ, რომ  
„პირველი“ ისედაც თავადია,  
მაგრამ როდესაც მას გაუჩნდ-  
ება ადმინისტრაციულ-განმ-  
კარგულებელი ძალაუფლება  
ფინანსური საფუძვლით? ეს  
ორმაგად საშიშია, რამდენადაც  
კანონი კონსტიტუციაში შესწ-  
ორებების შესახებ ხსნის იმ  
„ორმაგ შემოწმებას“, რაც გა-  
თვალისწინებულია XIX პარ-  
ტიკონფერენციის რეზოლუცია-  
ში. სახელგატეხილი პარტიული  
ხელმძღვანელი, ვისაც არ გაუ-  
ვლია არჩევნებში საარჩევნო  
ოქის მიხედვით, შეიძლება  
პირდაპირ აირჩიოს პარტიულმა  
ორგანიზაციამ, რომელსაც სა-  
ბჭოში აქვს წარმომადგენლობ-  
ის ნორმა. უფრო მეტიც, მას  
იჩვენებ საბჭოს პრეზიდიუმში,  
სადაც ის თავმჯდომარედ მოდ-  
ის. ის დასაბამიდანვე იღებს  
პრივილეგიას. მე ხომ მთელი  
ქვეყანა შემოვიარე, როცა კო-  
მკავშირულ და სახელმწიფოე-  
ბრივ სამუშაოზე ვიყოფებოდი  
და ვიცი, რაივ საშინელია,  
როდესაც საოქლო კომიტეტის  
პირველი მდივანი ძალაუფლე-  
ბის მოყვარულია და ამასთან  
ერთად გონებაშეზღუდულიც  
გახლავთ.

კ. სვეტიციკი,  
ს. სოკოლოვი.  
(„ოპონიონი“, № 24, 1989 წ.)  
თარგმან ოთარ პირვილიძე.

იღებდა მისგან ესეთ ყურადღებას. ან სა-  
იდან უნდა სცოდნოდა, ამას თავად არ გა-  
უმხელია და იქნებ არც არასდროს ეთქვა.  
ეკ, აი, ამიტომ ვითხარი წელან, ყველანი  
თავ-თავიანთი გზით წავლენ და ის, სად-  
ღაც ჩამოცილებული, რაც წლები გაივ-  
ლის, მით უფრო დაშორდება ყველაფერს,  
გაუფერულდება ოდესმე იმისი ყოფა-  
მეთქი.

ოთახში ისევ სიჩუმე დადგა. ნანა აღარ  
ლაპარაკობდა. ამ მყუდროებაში ბავშვის  
რიტმული სუნთქვა და საათის ჩუმი, გაუ-  
ბედავი წიკწიკი უფრო მთენთავდა. დაორ-  
თქლილი შუშის პირებიდან შიშველი ხის  
ტოტები და მოფარფატე წვრილი ფანტე-  
ლები მოჩანდა. თოვა დაიწყო. საღამოს  
ბინდი უფრო ამუქებდა მოპირდაპირე მხა-  
რის სახლებს. საათს შევხედე. თუმცა ნა-  
ნა ისე არ მიშვებდა, სანამ გურამს არ  
ვნახავდი, მაგრამ უკვე წასვლის დრო იყო.

— თოვს, — თქვენი და წამოვდექი.  
— რა კარგია... მოიცა, მიდიხარ? დაგე-  
ცადა რა გურამისთვის, ეწყინება.

— მატარებელი გამასწრებს.  
— აა... — თქვა და ისიც ადგა. — რო-  
მელზე ვადის, ცოტახნითაც არ შეგიძლია  
დარჩენა, იქნებ მოვიდეს. ისე კი თქვა, ამ-  
ხანაგს უნდა გავუაროო, მაგრამ რა ვიცი,  
იქნებ მოვიდეს.

— სხვა დროს ვნახავ, — გავუღიმე და  
პალტოს სახელოში გავყავი ხელი.

— აბა, რა არის, არც არაფერი ჰამე,  
მზიერს გიშვებ, — წყენით მითხრა.

— ეგ არაფერი. ვაჟაკი დამიოცნე, —  
ბავშვზე მიუახიშნე, საბანი და ქული ნა-  
ხევრად რომ უფარავდა მსხვილ, თეთრ-  
წითელა ლოყებს.

— აუცილებლად. — გამიღმა მანაც და  
რადგან კარისკენ წავედი, უკან გამომყვა.  
— გამოიარე ხოლმე, როცა ჩამოხვალ. ისე  
ხშირად ვახსენებთ, „ნეტა სად არის, სად  
დაიკარგა“. ცოლი მოიყვანე, იცოდე.

— ვეცდები. არ გამოხვიდე, შეგცივა...  
კარგად, — ვუთხარი და გარეთ გამოსულ-  
მა. ფრთხილად გამოვიხურე კარი.

— კარგად, — შიგნიდან დაგუბული ხმა.  
სადარბაზოში სინათლე აენთოთ. გარეთ  
ბინდი იდგა, ოდნავლა შერჩენოდა დღის  
შუქი. უკვე ბარაქიანად თოვდა, წვრილი  
ფანტელები ლამაზონებთან თეთრი პე-  
პლებივით ფარფატებდნენ. გზაჯვარედინ-  
ზე მანქანის შუქები ერთმანეთში ირეო-  
დნენ. ხმაურს მთლიანად დაეპყო ის ადგი-  
ლი. ვიწრო ქუჩას დაუწყევი გაჩერებამდის  
ჩასასვლელად და ხმაურიც თანდათან  
მიწყდა. ძალზე დამიძიმდა გული იმ ამბის  
გაგებამ და სინანული, რომელიც მეძალე-  
ბოდა, არ მაძლევდა საშუალებას, არ მე-  
ფიქრა. ტაქსის გაჩერება ცვადა, მაგრამ  
არაფერი ჩანდა, ისევე ფეხით გავავრძელე.  
ჯერ კიდევ იყო დრო, ტროლეიბუსითაც  
მოვასწრებდი ვაგზამდის მისვლას —  
საწყალი, — ვფიქრობდი, — რა უბრა-  
ლოდ მოაკლდა ქვეყანას. ცხოვრება კი  
ისევე ისე გრძელდება. მისი მარადიული

შფოთვისთვის მნიშვნელობა არა აქვს, თუ  
ერთ-ერთი სახლის კედელზე შავი ნაჭერი  
ეკიდება. ის ისე იკარგება ამ მრავალფე-  
როვნებაში, თითქოს არც არსებულებოდა.  
სად გაქრნენ მისი ოცნებები, რომლებშიც  
ქვეყნიერების მშენებლებს ხედავდა. იქნებ  
არც გამქრალან, დარჩნენ უპატრონოდ,  
გაუფერულდნენ და მიიკარგნენ. მაწუხე-  
ბდა სევდა, თოვლივით მსუბუქი, ამ ქვე-  
ყნიდან კაცის უბრალოდ გადაგებაზე.

თოვამ უმატა, ადგილ-ადგილ გაათეთრა  
კიდევ. ტროლეიბუსი ნელა მიიწევდა. სა-  
რკმელთან ვიჩქევი. გაჩერებაზე ამოდიოდ-  
ნენ და ჩადიოდნენ. მათი საუბარი ერთ სა-  
ერთო ხმაურს ქმნიდა. ქუჩებში უკვე სი-  
ბნელე იყო. მოედნებზე აუარებელ მანქა-  
ნებს მოეყარა თავი. მაღალი სახლები წე-  
სიერად აღარ ჩანდნენ და ჰაერში, ირგვ-  
ლივ, მხოლოდ უთვალავი სინათლის წერ-  
ტილები გაბნეულიყვნენ. ვიტრინების შუ-  
ქზე გაშიშვლებულ ხეებს ეხედავდი. მა-  
ლაზიებში ხალხი ირეოდა. წამოვდექი და  
სალაროში ფული ჩავუშვი. მალე იქნებო-  
და ჩემი გაჩერება. ფიქრით კი თავისთავად  
ვუბრუნდებოდი იმ ამბავს.

გავიხედე. ნელა ვუახლოვდებოდი ვა-  
გზის შენობას. წინ აუარებელი მანქანა  
ეყენა, უკან კი, ვერცხლისფერ დარბაზე-  
ბში, შავად ირეოდა ხალხი.





ვენი ეპოქის უგონობამ დაკარგა რაფიელ ივანიცის სახელი, ლამის ამოძირკვა ხალხის მეხსიერებიდან. მაგრამ დარჩა საბუთები, გადარჩნენ ადამიანები, რომელიც შეუძლიათ, შუქი მოჰფინონ მის დამსხვრეულ, ტრაგიკულ ბედს.

შვილის — ირაკლი ივანიცის ნაამბობიდან:

— დედაჩემისაგან, მამაჩემის ხსოვნის სხვა ერთგული ადამიანებისაგან გამიგონია, რომ, როცა იგი სამშობლოს ტოვებდა, იცოდა, რა ბედი ელოდა, მაგრამ თავი ვაჟკაცურად ეჭირა და ამაყობდა თავისი საქციელით. მან არ უღალატა იდეალებს, რომელიც იწამა.

ყურადღებით ვუსმენ მას, ვუსმენ ინგილოს ბიძის შვილიშვილს (დენის მხრიდან), ჯანაშიას სახელობის საქართველოს ხელოვნების მუზეუმის უფროს მეცნიერ თანამშრომელს, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატს ვალერიან ტარტარაშვილს (რომელიც ახლახანს გარდაიცვალა), და მასთან ერთად განვიციდი სპეტაკი და ნათელი ადამიანის ბედს.

რაფიელ ალექსანდრეს ძე ივანიცე-ინგილო იყო გამოჩენილი ქართველი საზოგადო მოღვაწე, ისტორიკოსი, მთარგმნელი, მისიონერი, ღვთისმეტყველი. ვერ შეხვდა გულგრილად უკანონობას, დაკანონებულ დანაშაულებებს.

დაიბადა 1886 წლის 23 ივლისს სოფელ კახში (საინგილო). თელავის სასულიერო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ გაემგზავრა პეტერბურგში, სადაც წარჩინებით ჩააბარა მისაღები გამოცდები უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე. სწავლის დასრულების შემდეგ სამშობლოში — საინგილოში დაბრუნებული თავის ძმებთან აპოლონთან, ტარასისთან და ვლადიმერთან ერთად იწყებს ქადაგებას ინგილოთა შორის ქრისტიანობის დაცვა-განმტკიცებისათვის, ეძებს „ცხოვრების გზებს“ პირად ზნეობრივ თვითდამკვიდრებაში. ერთხანს ადგილობრივ გიმნაზიაში ასწავლიდა, იურისტად მუშაობდა, შემდეგ ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის გაზეთის „საქართველოს“ თანამშრომელი, მისი ფაქტობრივი რედაქტორი გახდა.

რაფიელ ივანიცის შემოქმედება შეიცავს ათობით პუბლიცისტურ, ფილოსოფიურ, საღვთისმეტყველო, ისტორიულ და ლიტერატურულ-კრიტიკულ ნაშრომს. მას უსაფუძვლოდ როდი მიაკუთვნებენ იმ წლების ყველაზე განათლებულ მწერალთა და კრიტიკოსთა რიცხვს. რაფიელ ივანიცის რთულ და წინააღმდეგობებით აღსავსე შემოქმედებაში ერთმანეთს ეხამება ცოდნის, ჰუმანიტარული აზრისა და ლიტერატურული საქმიანობის სხვადასხვა ასპექტი. თავის ნაწარმოებებში იგი მკითხველებს წარმოუდგება, როგორც დაკვირვებული ისტორიკოსი, გამჭრიახი ფილოსოფოსი, დახვეწილი იურისტი და პუბლიცისტი. ზოგჯერ მისტიკოსია, რომელიც სწვდება ღვთისმეტყველების ილუმინაციას, ხან კი ჯანსაღად მოაზროვნე სოციოლოგი. იგი წარმატებით სწავლობს გერმანულ, იტალიურ, ესპანურ, ფრანგულ ენებს. ირჩევს საქართველოს საპატრიარქო საბჭოს წევრად და მდივნად. 1917 წლიდან რაფიელ ივანიცე აქტიურად იცავს ადამიანის ღირსებას, ამხელს ცალკეულ პიროვნებათა თვალთმაქცობას. მისი პრინციპია: არ იოცნებონ მომავალზე, ჯერ კრიტიკულად ჩასწვდენ თანამედროვეობას.

ყველა დოკუმენტის გვარის გრაფაში იგი წერს: ივანიცე, ხოლო ეროვნების გრაფაში — ქართველი. თითქოს რაღაც გაუგებრობაა — ივანიცე და ქართველი?!

აი, რა გვიამბო ვალერიან ტარტარაშვილმა:

— XIX საუკუნის 80-90-იან წლებში საინგილოში გახსნილ სკოლებში მასწავლებლად უმთავრესად სასულიერო პირები იყვნენ. ეს სხვანაირად არც შეიძლებოდა, რაკი სკოლები „უწ. სინოდის“ იყო.

მასწავლებელთა შორის იყვნენ ქართველი ივანიცეებიც, ინგილოები. მათ ეს გვარი მისცა პოლკოვნიკმა ივანიცემ, რომელმაც XIX საუკუნის 50-იან წლებში იშვილა შამილის ბანაკიდან გამოქცეული 22 წლის ახალგაზრდა მიურიდი, წარმოშობით ინგილო, სოფელ ფარნალოდან. თვით პოლკოვნიკ ივანიცის იმ დროს მეფისნაცვალ ვორონცოვის ამაღლებაში უმსახურია. ჩემი ბაბუა, რაფიელ ივანიცე, იყო იმ ივანიცეების შთამომავალი.

საინგილოს მოსახლეობამ მთელი გულით შეიყვარა ივანიცე და ერთსულოვნად აირჩია იგი სრულიად საქართველოს დამფუძნებელი კრების დეპუტატად. დადგა 1921 წელი. ბევრ ახალ კანონს არ ეთანხმება ივანიცე, პროტესტის ნიშნად იგი ემიგრაციაში გაემგზავრა ჯერ გერმანიაში, შემდეგ ავსტრიაში, იქიდან — იტალიაში, როგორც საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ელჩი რომის პაპთან. მისი ახლობლები და ნათესავები დააპატიმრეს და შორეულ მხარეში გადახვეწეს...

1941 წელს რომში გამოდის რაფიელ ივანიცის-ინგილოს წი-

# რაფიელ ივანიცე

## ქართველი

გნები საქართველოსა და შოთა რუსთაველის შესახებ. იტალიელმა მკითხველმა პირველად რაფიელ ივანიცისაგან შეიტყო დაწვრილებით საქართველოს მდიდარი ისტორიის, მისი ძველი ქალაქებისა და ციხესიმაგრეების — გელათის, მცხეთის, ანანურის, ალავერდის შესახებ. მან გააცნო შესანიშნავი ადამიანები — წმინდა ნინო, ქეთევანი, გიორგი მთაწმინდელი, დავით აღმაშენებელი, თამარ მეფე, ვახტანგ VI, ერეკლე II, გიორგი XII, მარიამი, (ციციშვილი), კათალიკოსები ანტონ II, კალისტრატე, ეკლესიის სხვა მოღვაწეები, ბაგრატიონთა სახელოვანი დინასტიის გმირთა სახელები. წიგნი ლამაზად იყო ილუსტრირებული და გაფორმებული რომის ოპერის ცნობილი მხატვარ-დეკორატორის გიორგი აფხაზის მიერ. ამშვენებდა იმ ღირსეული ადამიანების პორტრეტები, რომლებზეც წიგნში იყო საუბარი. ამ წიგნში შევიდა „ვეფხისტყაოსნის“ მოკლე თარგმანიც, რომელიც პირველად განხორციელა იტალიურ ენაზე რაფიელ ივანიცემ.

ამ გამოცემამ იტალიელი მკითხველის დიდი ინტერესი გამოიწვია. მოითხოვეს „ვეფხისტყაოსნის“ სრული თარგმანი. ამ საპატიო საქმეს ხელი მოჰკიდა რუსთაველოლოგმა, ნეაპოლის უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის კათედრის გამგემ, პროფესორმა შალვა ბერიძემ. მისი სრული პროზაული თარგმანი მიღწევაში დაბეჭდა პრესტიჟულმა გამომცემლობამ — „ბიანკა ჯოვანიმი“, ხოლო იტალიელი პოეტის მარიო პიკის პოეტური თარგმანი გამოსცა სხვა არანაკლებ ცნობილმა გამომცემლობამ — „სალვატორო შამამ“.

რაფიელ ივანიცის მოღვაწეობის შესახებ საქართველოს მთავრობასა და ხალხს პირველად აუწყა ვასილ ჩაჩანიძემ, რომელიც 1945-50 წლებში იტალიის საბჭოთა დიპლომატიურ მისიაში მუშაობდა. მასვე აცნობა ივანიცე, რომ ვატიკანის, კაპუცინთა ორდენის, დომინიკელების, სხვათა ტაძრების არქივებში ინახება საქართველოდან გატანილი მრავალი დიდად საინტერესო დოკუმენტი, ხელნაწერი, წიგნი. განსაკუთრებით ბევრი დოკუმენტი დადიან-მიურატების ფონდებიდან. რომის პაპის პირად ბიბლიოთეკაში, ივანიცის მტკიცე რწმენით, არის უკვდავი „ვეფხისტყაოსნის“ ორიგინალთან ახლო მდგომი ხელნაწერი; აგრეთვე დღემდე უცნობი პორტრეტი შოთა რუსთაველისა, რომელიც ანთიმურმა მხატვარმა შეასრულა.

1943 წელს ივანიცე გადასახლდა პარიზში და მთელი თავისი უმდიდრესი ბიბლიოთეკა, რომელსაც ჯერ კიდევ საქართველოში აკრებდა, წინასწარ გადასცა რომის მონასტერს „რუსიკუმს“. პარიზიდან კვლავ, ამჯერად დიდი ხნით, მიემგზავრება ესპანეთში, განაგრძობს იქ თავის საეკლესიო მოღვაწეობას, თანამშრომლობს ესპანური ლიტერატურისა და კულტურის ცენტრებთან. ცდილობს, ესპანელებს გააცნოს საქართველოს ისტორია, მისი კულტურა. მისიონერულ მოღვაწეობას, რომელიც მიმდინარე საუკუნის დამდეგს დაიწყო, იგი თითქოს საქართველოდან ათიათსობით კილომეტრის დაშორებით განაგრძობს. მადრიდში, თვით პრემიასის კურთხევით, რაფიელ ივანიცე-ინგილოს ჯერ მართლმადიდებელი ეკლესიის საბჭოს წევრად ირჩევენ, შემდეგ კი მის რექტორადაც. ეს იყო უპრეცედენტო შემთხვევა მთელი ესპანური ეკლესიის ისტორიაში.

1966 წელს რაფიელ ივანიცე ავად გახდა და კვლავ პარიზში დაბრუნდა. იქ ჯერ კიდევ ძლიერი იყო ქართული თემი, რომელთანაც მას არასდროს გაუწყვეტია კავშირი. ხანდაზმულობამ (80 წელი), ავადმყოფობამ, საშინელმა გულისტკივილმა, რომ სამუდამოდ მოწყდა სამშობლოს, სადაც ცხოვრობენ მისი შვილი, სხვა ნათესავები და მეგობრები, თავისი გააკეთა. რაფიელ ივანიცე გარდაიცვალა და საფლავში ჩაიტანა უსახლგრო სიყვარული საქართველოსი. დასაფლავებს ლევიოს ქართველთა სასაფლაოზე. ის, რაზეც იგი ოცნებობდა სიცოცხლეში, რაზეც გული სტკიოდა, სამუდამოდ დარჩა მის წიგნებში, ხელნაწერებში, ნათესავებისა და მეგობრების ხსოვნაში, სენის სანაპიროზე მდებარე მის სახლში...

იქნებ დადგეს ბედნიერი დრო და ივანიცე-ინგილოს კეთილი ხსოვნის აღსანიშნავად ყველა მისი ნაშრომი, მთელი მისი საგანძური და სულიერი სიმდიდრე დაუბრუნდეს საქართველოს.

რამ ღაპილოვი

საქ. სსრ კ. მარქსის სახ. სახ. ც. სპეტ.

19038





# სპუდეზური სათვისსპუდეზური



უსეთის იმპერიაში იურიევის (ტარტუს, დერპტის) უნივერსიტეტს, როგორც გამო-  
ნაკლისი, მინიჭებული ჰქონდა ავტონომი-  
ური უფლებები. ამ სასწავლებელში სხვა  
უნივერსიტეტებიდან „მგლის ბილეთით“

გარიცხულებსაც ღებულობდნენ. ამიტომაც აქ თავი მოიყარეს  
მეფის ხელისუფლების მოწინააღმდეგე ახალგაზრდებმა, რომელ-  
თათვის სხვა უმაღლესი სასწავლებლების კარები დახუჭული იყო.  
გასული საუკუნის მიწურულს იურიევის უნივერსიტეტში მრავ-  
ალი ქართველი ახალგაზრდა ჩაირიცხა. მათ იქ შექმნეს ქართველ  
სტუდენტთა სათვისტომო ამ ეროვნული ორგანიზაციის შესახებ  
ცნობებს ვხვდებით ი. ტატიშვილის და თ. დეკანოზიძის წიგნში  
„მოსკოვის უნივერსიტეტი და ქართველი ახალგაზრდობა“  
(1969 წ.). ტარტუს ქართულ სათვისტომოზე ვახეთ „ლიტერატურ-  
ულ საქართველოში“ ვრცელი წერილი გამოაქვეყნა ვიოლეტა  
გაგუამ (2 ოქტომბერი, 1978 წ.), მაგრამ როგორც თვით ავტორი  
აღნიშნავს იგი ძირითადად სათვისტომოს ბიბლიოთეკაზე ამხვეი-  
ლებს მკითხველის ყურადღებას, თუმცა წერილში სხვა მრავალი  
საინტერესო საკითხიც არის გაშუქებული.

ტარტუს ქართველთა სათვისტომოს უფრო ვრცლად შეეხო ეს-  
ტონელი მეცნიერი სერგეი ისაკოვი თავის წიგნში „წლებსა და  
მანძილს შორის“ (1971 წ. რუსულ ენაზე). სათვისტომოს საქმიან-  
ობის შესასწავლად 1970, 1977 და 1980 წლებში სპეციალურად

ვიმოგზაურე ესტონეთის ქალაქებში. ჩემ მიერ მიკვლეული მასა-  
ლები წარვადგინე ბალტიისპირეთის რესპუბლიკების სამეცნიერო  
კონფერენციებზე და წავიკითხე სამი მოხსენება.

რუსეთის პირველ რევოლუციამდე ტარტუს ქართველთა სათვი-  
სტომო არალეგალურად არსებობდა, ამიტომ ცნობები მისი მო-  
ღვაწეობის შესახებ არაა შემონახული. ამავე მიზეზით ჩვენთვის  
ჯერჯერობით ცნობილი არაა სათვისტომოს დაარსების ზუსტი  
თარიღი. როგორც ცნობილია, 1892 წელს ტარტუს უნივერსიტე-  
ტში სწავლობდა ერთადერთი სტუდენტი ზ. გ. აბდუშელიშვილი,  
1897 წელს სტუდენტთა რიცხვი 10-მდე გაიზარდა, ხოლო ერთი  
წლის შემდეგ 30-ს მიაღწია.

ჩვენი აზრით, ტარტუს უნივერსიტეტის ქართველ სტუდენტთა  
სათვისტომო დაარსდა 1898 წლის 14 თებერვალს, ე. ი. სწორედ  
მაშინ, როცა ქალაქის ბიურგერმუსეს დარბაზში გაიმართა პირ-  
ველი ქართული საღამო, რომლის საერთო ხელმძღვანელობა ცნო-  
ბილმა ქართველმა კომპოზიტორმა მელიტონ ბალანჩივამ გასწია.  
საღამოს ჩატარებაზე პასუხისმგებლობა იკისრა ესტონელმა პრო-  
ფესორმა ლეონჰარდ მანინგმა, რომელიც, სხვათაშორის, ქართულ  
ენასაც ფლობდა.

ქართველთა სათვისტომოს გარდა ტარტუს უნივერსიტეტში  
არსებობდა იურისტ სტუდენტთა წრე, მედიკოს სტუდენტთა სა-  
ზოგადოება, რუს სტუდენტთა საზოგადოება, კავკასიელ სტუდენტ-  
თა საზოგადოება, სომეხთა სათვისტომო, ებრაელთა სამზარეუ-  
ლო და სხვ., მაგრამ მათ შორის განსაკუთრებული აქტიურობით,  
მდიდარი სამოქმედო პროგრამით გამოირჩეოდა ქართველ სტუ-  
დენტთა სათვისტომო.

ჩვენს თანამემამულე ახალგაზრდებს ჰქონდათ საკუთარი წეს-  
დება, რომლის მიხედვით სათვისტომოში შესვლა შეეძლოთ მხო-  
ლოდ ქართველ სტუდენტებს. თუ სხვა ერის წარმომადგენლები  
გამოთქვამდნენ ქართველთა სათვისტომოში გაერთიანების სურ-  
ვილს, საკითხს ვადაწყვეტდა სათვისტომოს საერთო კრება.

სათვისტომოს მუშაობის მრავალფეროვნებაზე მეტყველებს  
მისი მიზნები და ამოცანები: ღარიბ სტუდენტებზე მატერიალური

პირველ საშუალო სკოლაში  
მოღვაწეობდა ცნობილი პედა-  
გოგი, რესპუბლიკის დამსახუ-  
რებული მასწავლებელი **ბაბო  
მჟვადლიძე**. შესანიშნავი პედა-  
გოგი იუმორით იყო სავსე და,  
რაც მთავარია, თავისი დაბნე-  
ულობით გამოწვეულ კურიოზ-  
ულ ამბებზე თვითონვე ყვებო-  
და. ქვემოთ იბეჭდება, მისი ნა-  
ამბობიდან რამდენიმე ამბავი.

⊙ ქალბატონი ბაბო სახელმ-  
წიფო კონსერვატორიის წინ  
კუთხის სახლში ცხოვრობდა,  
მესამე სართულზე. მისი აივანი  
წულუკიძის ქუჩას გადმოყურ-  
ებს.

ეს ამბავი 1947 წელს მოხ-  
და. პურის წიგნაკები ახალი  
გაუქმებული იყო და წულუკი-  
ძის ქუჩის დასაწყისში მოთავ-  
სებულ პურის მაღაზიასთან  
რიყრაყიდან დიდი რიგები  
დგებოდა. ერთ დღეს ქალბატ-  
ონი ბაბო ცუდ ხასიათზე დაბ-  
რუნდა შინ. აქ მას თავისი ძმა  
ბატონი ბიძინა (ცნობილი კი-  
ნორეჟისორის ნანა მჭედლიძის  
მამა) და ახლობლები დახვდნენ.

ბაბოს ყველამ შეამჩნია უხა-  
სიათობა. ბატონი ბიძინა არ  
მოეშვა:

— რა დაგემართა, ბაბო, გვი-  
თხარი, რატომ ხარ ასეთ ცუდ  
განწყობილებზე?

— რატომ და ქალაქის დე-  
პუტატად მიპირებენ არჩევას.

— მერედა, ცუდი რა არის  
ამაში?

— ეს რომ კარგი საქმე იყ-  
ოს, უთუოდ მე არ ამირჩევდ-  
ნენ. ახლა ათას საქმეს გამომი-  
ჩენენ.

ასე დამთავრდა ის დღე.  
დილით, რიყრაყზე, ბატონი  
ბიძინა აღვიძებს ქალბატონ ბა-  
ბოს:

— ბაბო, გამოიხედე, რა ხდე-  
ბა ქუჩაში, უამრავი ხალხი მო-  
სულა და გთხოვენ, დეპუტატ-  
ობაზე დათანხმდე.

ქალბატონმა ბაბომ აივნიდან  
ქვევით ჩახედა და მართლაც  
ხალხი დაინახა, მაგრამ იმას  
უცებ ვერ მიხვდა, რომ ყველა  
პურის რიგში იდგა.

ბატონი ბიძინა აქეზებდა:

— უთხარი რამე ახლა ამ  
ხალხს, სირცხვილია, ხომ ხე-  
დავ, რამდენი კაცი მოსულა.

ქვევიდან მართლაც ყაყანი  
და ხმაური ისმოდა. ბაბომ გუ-  
ლზე ხელი დაიდო და ვადას-  
ძანა.

— კი, ბატონო, თანახმა ვარ,  
თანახმა!

ქვევით ლაზღანდარებმა რომ  
დაინახეს, აივანზე გამოსული  
ქალი ყვიროდა „თანახმა ვა-  
რო“, უფრო ახმაურდნენ. ეს  
ქალბატონმა ბაბომ უფრო მეტ  
თხოვნად მიიღო და ისევ და  
ისევ იმეორებდა:

— თანახმა ვარ, ბატონო, თა-  
ნახმა!

ბატონმა ბიძინამ მოჰკიდა  
ხელი, შეიყვანა ოთახში და და-  
ამშვიდა:

— ახლა უკვე ყველაფერი  
კარგადაა, ხალხი დარწმუნდა,  
რომ დათანხმდი და დამშვიდე-  
ბულები წავიდნენ შინ.

კოტა ხნის შემდეგ შეწყდა  
ხმაური.

⊙ ქალბატონი ბაბო მივიდა  
პურის მაღაზიაში, სულ რამდ-  
ენიმე ადამიანი იდგა რიგში.

— თუ შეიძლება, ერთი პუ-  
რი მომეცით, — მიმართა გამ-  
ყიდველს.

ნოქარმა მიაწოდა პური.

ბაბოს დაავიწყდა ფულის  
ვადახდა და შინ წავიდა. მის  
უკან მდგომი ქალი აღელდა:

— შეხედეთ! ასეთი სერიო-

ზული ქალია და ფული კი არ  
გადაიხადა, ისე წავიდა.

გამყიდველმა დაამშვიდა:


— ქალბატონო, თქვენ რა-  
ტომ ღელავთ. ეგ ქალი ხან  
ფულს მიტოვებს და პური არ  
მიაქვს, ხან პური მიაქვს და  
ფულს არ მაძლევს. ასე რომ  
ბარიბარშია.

⊙ ერთ დილას, გაკვეთილე-  
ბის დაწყებამდე, ქალბატონი  
ბაბო აღრე მივიდა სკოლაში,  
ღირექტორის ოთახიდან ტელე-  
ფონით ვილაცას დაელაპარაკა.  
შემდეგ აიღო წიგნები და გა-  
სწია კლასისაკენ. იმ დღეს ექ-  
ვისი გაკვეთილი ჩაატარა. წიგ-  
ნები ყოველ კლასში შეჰქონდა  
და გამოჰქონდა. მხოლოდ გა-  
კვეთილების შემდეგ დახედა  
და აღმოჩნდა, რომ ღირექტ-  
ორის კაბინეტში შემთხვევით  
აუღია ტელეფონების წიგნი  
და მთელ დღეს მას დაატარე-  
ბდა.

ამის შემდეგ თუ ტელეფონის  
წიგნი დაიკარგებოდა, სკოლის  
ღირექტორი ჯაჭუ ჯორჯიკია,  
საქმეთა მმართველს თამარ  
აბაშიძეს ასე ამშვიდებდა:

— თამარ, შენი არ მიკვირს?!  
— მაგას ბევრი ძებნა რად უნ-





დახმარების გაწევა; სალამო-კონცერტების გამართვა; სტუდენტების დაახლოება და მათ შორის მეგობრული ურთიერთობის განმტკიცება; სასწავლო ნივთებით, სახელმძღვანელოებით და სხვა წიგნებით სტუდენტთა უზრუნველყოფა; სტუდენტებზე დახმარების გაწევა მათი ავადმყოფობის ან მშობლებისა და ახლობლების გარდაცვალების შემთხვევაში; არაქართველი საზოგადოებრიობისათვის საქართველოს ისტორიის, კულტურისა და ეთნოგრაფიის გაცნობა; სტუდენტთა იდეურ-პოლიტიკური მომზადება და მათთვის რევოლუციური იდეალების შთაგონება.

ს. ისაკოვი თვლის, რომ ტარტუს ქართველთა სათვისტომოში თავისი არსებობის მანძილზე ჩარიცხული იყო 110 სტუდენტი. თავად ავტორი ამ ციფრს არასრულს უწოდებს. მართლაც, გამოირკვა, რომ ამ სიაში შეტანილი არ არის მრავალი ქართველი, მართლმამაველიცინო ფაკულტეტიდან გამოტოვებულია 20 ახალგაზრდა. ჩვენ მიერ შეგროვილი არასრული ცნობებით სათვისტომოში ჩარიცხულ სტუდენტთა რიცხვი 160-მდე გაიზარდა.

სათვისტომოს თავის შემადგენლობაში ჰყავდა 14 საპატიო წევრი. მათ შორის იყვნენ: აკაკი წერეთელი და ვაჟა ფშაველა, დავით კლდიაშვილი, იაკობ გოგებაშვილი, ივანე ჯავახიშვილი, ნიკო მარი, კამბოზიტორი კოტე ფოცხვერაშვილი, პუბლიცისტი არჩილ ჯორჯაძე და სხვ.

ქართულ ვაზნებში გამოქვეყნებული ცნობებით მტკიცდება, რომ ტარტუს ქართველთა სათვისტომო მატერიალურ დახმარებას უწევდა არა მარტო ტარტუს უნივერსიტეტის სტუდენტებს, არამედ სტიქიური უბედურებით დაზარალებულ საქართველოს მოსახლეობასაც.

1899 წელს ქართველმა სტუდენტებმა ტარტუსში გახსნეს ბიბლიოთეკა, რომელიც შემდგომში წიგნებით შეავსეს ქართული გაზეთების „ივერიის“, „კვალის“, „აკაკის კრებულის“, „ცნობის ფურცლის“, „მოამბის“, „ჯეჯილის“ და სხვათა რედაქციებმა, აგრეთვე მწერლებმა და მეცნიერებმა.

ტარტუს უნივერსიტეტის სტუდენტთა კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის ძირითადი ფორმა იყო ქართველი ხალხის კულტურისა და ისტორიის შესწავლა. ამ მიზნით 1900 წელს დაარსდა სამეცნიერო წრე, რომლის სხდომებზე (თვეში ერთხელ) ისმენდნენ რეფერატებს, მოხსენებებს, აწყობდნენ დისკუსიებს. 1913 წელს წრეს ეწოდა ცნობილი ქართველი პუბლიცისტისა და საზოგადო მოღვაწის არჩილ ჯორჯაძის სახელი.

ქართველ სტუდენტთა ტრადიციულ საღამოებს ესწრებოდნენ არამარტო ესტონელები, არამედ გერმანელები, რუსები, ებრაელები, ლატვიელები, ლიტველები, სომხები და სხვა ერის წარმომადგენლები. „ამ საღამოების გავლენით ისინი ბევრს ფიქრობდნენ ქართველი ხალხის ბედზე და ამ ხალხის ცხოვრებას თავი-

სას აღარებდნენ“. — წერს ს. ისაკოვი. ქართული საღამოების მოწყობაში დიდ ორგანიზატორულ მუშაობას ატარებდა ტარტუს უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის სტუდენტი, შემდგომში ცნობილი ქართველი პოზიტორი კოტე ფოცხვერაშვილი. იგი გასამრჯელოს ხელმძღვანელობდა გუნდსა და ორკესტრს.

ქართველთა სათვისტომოს მიერ 1911 წელს მოწყობილ მე-8 საღამოში მონაწილეობა მიიღო გამოჩენილმა ქართველმა მომღერალმა ვანო სარაჯიშვილმა. საღამოს დაწყებამდე მონაწილეთა დიდი ნაწილი დააპატიმრეს, მაგრამ ბიურგერმუსეს დარბაზი მაინც ხალხით გაივსო.

ასეთივე დიდი წარმატებით ჩატარდა მე-9 საღამო 1912 წელს. ამის შესახებ შავრუშვილი გვხვით „იურივესკი ლისტოციც“ წერდა: „ქართული საღამო დიდი პოპულარობით სარგებლობს და ეს იურივესკის სეზონის მართლაც ერთ-ერთი ყველაზე ბრწყინვალე, ხალხმრავალი და მდიდარი საღამო იყო როგორც შინარსით, ისე მონაწილეთა შემადგენლობით“.

1914 წლის 13 თებერვალს მოწყობილ ქართულ ტრადიციულ საღამოზე თბილისის „ხაკავაზსკაია რეჩ“ წერდა: „ტრადიციული ქართული საღამოები ტარტუსში განსაკუთრებული წარმატებით ტარდება იმიტომ, რომ ისინი გამოირჩევიან თავისი მშვენიერებით, ზემოქმედებით, აგრეთვე ქართული ეროვნული კოლორიტით, რომლებიც ჩრდილოეთის ხალხებისათვის, რა თქმა უნდა, ახალი და ორიგინალურია. 13 თებერვალს გამართული საღამო სწორედ ასეთი იყო. აღმოსავლურად მოწყობილ ოთახებში ცოცხალ ნახატებზე წარმოდგენილი იყო მე-5 საუკუნის საქართველოს ისტორიის ერთ-ერთი თვალწარმატებული და სევდიანი ეპიზოდი (წამებულის სიკვდილი), ტრადიციული საზანდარი, ცეცხლოვანი ცეკვები, ლეკური, შესანიშნავი გუნდი, რომელიც გამოსცემდა ხან სევდიან ხალხურ მელოდიებს, ხან კი ლირიკული პოეზიის მომხიბლავ და ნაზ ჰანგებს... იქმნებოდა გრანდიოზული პანორამა, რომელსაც მაყურებელი მიჰყავდა შორს, საღამო კავკასიის მთებში მწვერვალზე... მდლობა ქართველთა სათვისტომოს ჭეშმარიტი კმაყოფილების იშვიათი წუთებისათვის“.

ქართველთა სათვისტომო რეგულარულად მართავდა ლიტერატურულ საღამოებს. ამ შეხვედრების დროს მაყურებელთა წინაშე გამოდიოდნენ კიკნა ფშაველა (სიმონ ბადურაშვილი), აკაკი პაპავა, დიმიტრი გულისაშვილი, დავით ჟღენტი, ვლადიმერ ჩი-

(დასასრული 22-ე გვერდზე.)

# უენი არ მოკვირს?

და, დაურევთ ბაბო მკვდლიძეს; ის წაიღებდა. მართლაც, რამდენჯერმე აღმოჩნდა ტელეფონების წიგნი ქალბატონ ბაბოსთან. **●** ქალბატონი ბაბო როგორც კი ხელფასს მიიღებდა, ასევე დაუთვლელად ჩაყრიდა დიდ ჩანთაში და არც დაკეტავდა, ისე გასწევდა შინისაკენ. ვიდრე შინ მივიდოდა, ვინმე ჯიბის ქურდი ჩუმად ამოუტოვებდა ხოლმე ღია ჩანთიდან ფულს. ეს არც ისე ძნელი საქმე იყო. ასეთი ისტორია ხში-

რად მეორდებოდა. გოცებულ ქალბატონი ბაბო ამბობდა: — საკვირველია, მე არასოდეს არ ვიცი, როდის უნდა ავიღო ხელფასი და ჩემმა ქურდებმა საიდან იციან, სისტემატურად რომ მისუფთავებენ ჩანთასო. **●** ერთხელ კიბეზე ჩავდივართ მე და ქალბატონი ბაბოს დისშვილი ვაჟა მელიქიშვილი (ამჟამად ცნობილი მოქანდაკე). ქალბატონ ბაბოს მოეწონა ვაჟა, ალბათ, რადაც ახლობლური ივრძნო და მოეფერა:

— ვისი ხარ ასეთი კარგი ბიჭი, — გოცებულმა ვაჟამ უპასუხა: ვაჟა ვარ, ვაჟაო. — ვაჟა ხარ? უი, რა ვითხრა, შე ლაზღანდარავ შენა! — ასეთი „შექებაც“ დაიმსახურა ვაჟამ. **●** ერთხელ რუსთაველის პროსპექტზე მივდივარ. — თქვენ, თქვენ! — მეძახის ვილაც. მივიხედე, ქალბატონი ბაბო მომდევს, მივხვდი, რომ ჩემი სახელი დაავიწყდა და შევაშველე: — ჯიმშერი. — ოჰ, არა, მე მუჯირი მინდოდა, — ჩაიქნა ხელი გულდაწყვეტილმა და გამშორდა. თუმცა, გვარი მშვენივრად გაიხსენა, მაგრამ უცებ ჩემი სახელი და გვარი ერთმანეთს ვერ დაუკავშირა. **●** ქალბატონი ბაბო უბადლოდ ხსნიდა „ვეფხისტყაოსანს“. ხანდახან მის მოსასმენად სულ უცხო ხალხიც მოდიოდა ხოლმე. ერთხელაც, როდესაც იგი გატაცებით ხსნიდა, ერთ-ერთმა მოსწავლემ აღარ მოასვენა, გამუდმებით ეწეოდა ხელს შე-

კითხვის მისაცემად. — რა გნებავთ, ბრძანეთ! — რადა, ბაბო მასწავლებელი, ტარიელი და ასმათი გამოქვაბულში ამდენ ხანს რომ ერთად ცხოვრობდნენ, მათ ერთმანეთი ხომ არ შეუუყვარდათ, ხომ არაფერი მოხდა! ბაბო აფეთქდა: — როგორ იფიქრე ასეთი რამ. გაბრძანდით გარეთ, ამის შესახებ დირექტორს მოველაპარაკებო. გაკვეთილის შემდეგ აღელვებული ბაბო მკვდლიძე შევიდა ჯაჭუ ჯორჯიასთან და მოუყვა ამ ინციდენტის შესახებ. — უნდა გაირიცხოს ის თავხედი, — დაასკვნა ქალბატონმა ბაბომ. — ეგ შეიძლება, რა თქმა უნდა. — მაგრამ, ქალბატონო ბაბო, მაგ საკითხზე მეც ვფიქრობ ავერ ოცდაათი წელია და დასკვნა ვერ გამომიტანია, — მშვიდად უპასუხა ჯაჭუ ჯორჯიამ. გამწარებულმა ქალბატონმა ბაბომ ხელი ჩაიქნია და კაბინეტიდან გავიდა.

ჯიშვარ მუჯირი.





ამსახურიდან დაბრუნებულს, პატარა ირაკლი შემომეგება და გაბრწყინებული სახით მახარა: — პაპა, გიული ბაბოსთან ვიყავით და ახალი სიმღერა ვისწავლე.

ჩემს პასუხს არ დაუცადა, სკამზე ახტა და წკრიალა ხმით აავსო ოთახი: — ქალი დავინახე, თვალი მომანათა...

ოჰ, ეს სიმღერა, რამდენი წლის წინათ გაგონილი... ნაცნობმა მელოდიამ ერთბაშად შეაღვია მესხიერებაში მთვლელარე სტრიქონები და ამ სიმღერასთან დაკავშირებული ერთი დღე გამახსენა.

ნახევარი საუკუნის წინანდელი თბილისი...

სადგურის ქუჩაზე ყველასათვის ნაცნობი მანდილოსანი მოდის. მოდის მოხდენილად, ღიწვად და გარშემო ყველაფერი ნათდება.

ხალხი ორად იყოფა, გზას თავაზიანად უთმობს. ზოგიერთი ჩერდება, ღიმილით უკრავს თავს და თვალებით აცილებს.

მის უკან მომავლები წამოეწევიან თუ არა, ფეხს ანელებენ.

მარტო მე და კარლომ, ჩემმა თანაკლასელმა და მეზობელმა, გავბედეთ მისი ფრთხილად გადასწრება. კარლომ ჩუმიად წამჩურჩულა:

— სწრაფად, სახლისაკენ. ისეთი რაღაც მოვიფიქრე...

— ქაქანით მივირბინეთ ეზოში. კარლომ ჩემი ოთხი წლის დაიკო მოძებნა, საიდუმლო ჩუმიად გაანდო და ჭისკრისაკენ წაიყვანა.

და, აი, ისიც, ნაცნობი მანდილოსანი ჩვენი ეზოს წინ გამოჩნდა. კარლომ ჩემს დას ხელის ბიძგებით ნიშანი მისცა.

ქალი დავინახე, თვალში მომანათა. ვინ არის ეს ქალი, ვაჩნაძეა ნატა, —

გაისმა მისი კისკისა სიმღერა. ნატომ გაიღიმა, გოგონა თავისკენ მიიზიდა, გადაკოცნა, ჩანთიდან ვაშლი ამოიღო და ხელში ჩააჩეჩა.

— გმადლობთ, დეიდა ნატო!

— რა გქვია, ჩემო პატარა?

— გიული მქვია. ეს კი ჩემი ძმაა.

— გიული?! — ნატო წამით ჩაფიქრდა.

ეტყობა, ის წლები გაახსენდა, როცა „გიულის“ იღებდნენ. მერე გარშემორტყმულ ხალხს თვალი შეავლო.

— გიული, გიული... ბედნიერი იყავი შვილო, — თქვა და ჩვენსკენ შემოტრიალდა. ხელი ღიმილით დაგვიქნია.

მასხოვს ასეთი რამეც. კინოსტუდიის ალაცაფის კართან მორიგე დარაჯს რამდენიმე ბიჭი შემოსევია და რაღაცას უმტკიცებს.

— გაიგეთ, რომ არ არის ახლა პიპინაშვილი აქ, — უტევს დარაჯი ბავშვებს.

— აქ კი სწვრია. მსურველების გასინჯვა ათიდან ოთხ საათამდის იქნებოდა. — ბიჭე-

ბიდან ყველაზე უფროსი ცხვირწიწ უკრიალებს გაზეთს.

— როგორ ფიქრობ, ალარც უმსვენებელი სჭირდებათ და ალარც სალონისკენ ხალხს? — არ თმობს დარაჯი.

— ორი საათია აქ გვაყურუტებ და მაინც არ ვათავდა ეგ შესვენება? არც ყველაზე უმცროსს სურს უკან დახვევა.

— თქვენისთანების გადამკიდეს ორი საათი რას ეყოფა სულის მოსათქმელად, — წამოიწყო დარაჯმა მკაცრად, მაგრამ უცბად კარებს მივარდა. ფართოდ გამოიღო და მახლობლებს მანდილოსანს ღიმილით შეეგება:

— მობრძანდით, ქალბატონო ნატო, მობრძანდით!

ქალბატონმა ნატომ, ალბათ, შორიდან დაინახა ყოველივე ეს. ბიჭებს ხელები მხრებზე მოხვია და წინ წაიმძვარა:

— წამოდით, ბიჭებო, წამოდით. მარტო რეჟისორები კი არა, მეც ვეძებ პატარა პარტნიორებს.

და მართლაც იმ ჩვენს ჯგუფში აღმოჩ-

# ქალი დავინახე

გოდერძი

ტალახაძე



დასავლეთ გერმანიელი მწერალი ვოფლგანგ ბორხერტი სულ ახალგაზრდა — 26 წლისა გარდაიცვალა (1921 წ. 20 მაისი — 1947 წ. 20 ნოემბერი). მოთხრობების მხოლოდ ერთი პატარა წიგნი დატოვა. ამ წიგნმა დიდი აღიარება მოიპოვა და მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა ომისშემდგომი წლების გერმანული ლიტერატურის განვითარებაზე. მკითხველს ვთავაზობთ ერთ-ერთ მოთხრობას ამ კრებულიდან.

გაცივდე...

ქალი ზედ არ უყურებდა იმიტომ, რომ არ შეეძლო მისი სიკრუის ატანა. დიახ, იმის გამო, რომ უკვე ოცდაცხრამეტი წელი შეუღლებულები იყვნენ და მაინც ატყუებდა.

— მომეჩვენა, რომ აქ ვილაც იყო, — ისევ გაიმეორა კაცმა და კვლავ უმიზნოდ დაიწყო აქეთ-იქით ყურება. — რაღაც მომესმა და გავიფიქრე, ვინმე

ხომ არ არის-მეთქი.

— მეც მომეყურა მაგრამ თურმე არავინ ყოფილა, — მაგლიდან საპურე აიღო და სუფრიდან ნამცეცები გადაბერტყა.

— ჰო, თურმე არავინ ყოფილა, — გაიმეორა კაცმა გაუბედვად. ქალმა გადაწყვიტა გაემხნევიებინა.

— წავიდეთ, — უთხრა, ქუჩიდან ხმაური შემოდის. წამო,

მთულოდნელად გავლვიდა. ღამის სამის ნახევარი იყო. ვერასვლით წარმოედგინა, რამ გამოაღვიდა. აჰ, აი, რამ! სამზარეულოში ვილაც წაეჯახა სკამს.

მიაყურადა. სიჩუმე იყო. ზომაზე მეტი სიწყინარეც კი. გვერდით საწოლზე ხელი გადაყო, ცარიელი დახვდა. აი, თურმე ოთახში ასეთი უჩვეულო სიწყინარე რატომ სუფევდა: მისი სუნთქვა არ ისმოდა. წამოდგა. სიბნელეში ხელების ცეცებით სამზარეულოსაკენ წაჩანჩალდა. სამზარეულოს კარდასთან რაღაც თეთრად მოჩანდა. უუქი ანთო. ახლა ისინი ერთიმეორის პირისპირ იდგნენ ღამის პერანგებში. ღამით. სამის ნახევარზე. სამზარეულოში.

სამზარეულოს მაგიდაზე საპურე დაინახა. იმწამსვე მიხვდა, რომ მას პური მოეჭრა. დანაჯერ ისევ საპურის გვერდით იდო. ხოლო სუფრაზე ნამცეცები ეყარა. დასაძინებლად დაწოლამდე ყოველთვის გადმობერტყავდა ხოლმე ნამცეცებს. ყოველ საღამოს ასე იქცეოდა, მაგრამ ახლა მაგიდაზე ნამცე-

ცები იყო მიმობნეული. დანაც იქვე იდო. იატაკის ფილები ცივი იყო და მას მოეჩვენა, რომ სიცივე თანდათან ზემოთ ამოდიოდა და მთელ ტანზე ედებოდა. საპურეს თვალს არიდებდა.

— მომეჩვენა, რომ აქ ვილაც იყო, — თქვა დამხედურმა მამაკაცმა და გაიხედ-გამოიხედა.

— მეც რაღაც მომესმა, — მიუგო ქალმა. და თანაც მოეჩვენა, რომ იგი ღამით პერანგის ამარა მთლად მოხუცი ჩანდა. ახლა მას თავისუფ ნაკლებ წლოვანებას ვერ მისცემდი. ისე კი სამოცდასამი წლისა იყო. ზოგჯერ დღისით უფრო ახალგაზრდადაც კი გამოიყურებოდა და მანაც ქალზე იგივე გაიფიქრა: როგორ დაბერებულა, პერანგის ამარა საკმაოდ მოხუცებული ჩანს. თუმცა, შეიძლება თმის ამბავია. ქალები ღამით მუდამ თმადუფარცხნელები არიან, რის გამოც უცებ საშინლად მოხუცდებიან ხოლმეო.

— ფეხსაცმელი მაინც ჩაგეცვა. შეიძლება განა ცივფილებიან იატაკზე ფეხშიშველი სიარული. ისლა გვაკლია, რომ



ნდა ერთი ბიჭი, შოთა ჰქვია სახელად. „ქაჯანაში“ ათამაშეს: ჭიკოცონობა ღამე რომაა, იქ ცეკვავს...

ს შეხვედრა კი, რომელსაც ახლა მოვყვები, გასტრონომში მოხდა, რკინიგზის სადგურის წინ.

ცოცხალი კალმახი იყიდებოდა. წყლით სავსე მარმარილოს აუზთან მყიდველთა პატარა რიგი ვაჩნდა.

— აბა, მიბრძანეთ, როგორი ავიწონოთ, მიმართა ვამყიდველმა რიგის თავში მდგომ მამაკაცს და ხელში ჩოგანბადე მოიმარჯვა.

— ყველაზე დიდი და მსუქანი! — ჩაიციხა მამაკაცმა. რიგს ღიმილით გადახედა და:

— მოითმინეთ, მოითმინეთ. ჯერ ამ ქალბატონს მოემსახურეთ.

— ურიგოდ არავის არ ეკუთვნის...

— გეუბნებიან, მეგობარო, ამ ქალბატონს მოემსახურო და ასე მოიქეცი.

— ქალბატონი ნატო, ქალბატონი ნატო, — ნიავეით გადაიარა ჩურჩულმა.

ვხედავ, აგერ, რიგში, ნატო ვაჩნაძე დგას.

— არა, არა, — იუარა ნატომ. — დროს ნუ დაგვარგავთ და უფრო სწრაფად წავა რიგიც.

ვამყიდველმა სათვალე შეისწორა. ნატოს ერთი კი გამოხედა და სახე ერთბაშად გადაეხსნა:

— მამაბატო, ვერ გიცანით. მობრძანდით, მობრძანდით. მე თვითონ ამოგიჩვენებ. ოღონდ მითხარით, მოსახარბად გნებავთ თუ შესაწავად.

— ნუ წუხდებით, ბატონო. ღმერთმანი, უხერხულიც კია ამაზე ლაპარაკი.

არაფერმა არ გასჭრა. ხალხი შუაზე გაიბო და თავის საფიცარ ადამიანს გზა დაუთმო...

ხოლო, როდესაც მან ყველას მადლობა გადაუხადა და წავიდა, ხალხმა ღიმილით გააცილა იგი.

დავიძინოთ. თორემ შეიძლება გაცივდე კიდევაც, იატაკი საშინლად ცივია.

კაცმა ფანჯარაში გაიხედა.

— ჰო, ეტყობა ქუჩაში ვიღაც ხმაურობდა. მე კი მომეჩვენა, რომ აქ...

ქალმა ამომრთველისაკენ ხელი გაიშვირა და თანაც გაიფიქრა: „მე ახლავე უნდა ჩავაქრო შუქი, თორემ თავს ვერ შევიკავებ და სააურეს თვალს

შევაგლებ. საპურის შეხედვა კი ჩემთვის არ შეიძლება“.

— წავიდე, — უთხრა კვლავ ქმარს და თან სინათლე გამორთო. ქუჩაში ხმაური ისმოდა. როცა ქარი ქრის, სახურავზე წყალსადინარი ღარი კედელს ეჩეთქება. ეს ნამდვილად წყალსადინარი ღარია. ის ქარის დროს ყოველთვის რაკუნობს.

ისინი ხელების ცეცებით გაუყენებენ ბნელ ღერეფანს და

სხვანაირია ეს ღიმილი. ნათელი, გონიერი, მადლიერი ხალხის ღიმილი ჰქვია მას. ასეთი ღიმილით ადამიანები ავიღოვებენ იმათ, რომლებიც ზემოდან ვაბდინძულდაჯერებულები კი არ იცქირებიან... ხალხის ცხოვრებით ცხოვრობენ და პატივისცემას და ყურადღებასაც სწორედ ამის გამო იმსახურებენ.

ასეთი ღიმილი, რატომღაც, დეფიციტური გახდა ამ ბოლო დროს.

ერთხელაც ჩემს თანაკურსელთან ერთად ვახტანგოვს თეატრში „თივა და ავი ძალოს“ წარმოდგენას ვესწრებოდი.

შესვენებისას, ფოიეში სეირნობის დროს, თანაკურსელმა ხელი ჩუმად მიმიძვია და ხმადაბლა მითხრა:

— შეხედე ამ მშვენიერ ქალს. ღმერთო ჩემო, რა ნაცნობი სახე აქვს.

შემოვტრიალდი და... ნატო ვაჩნაძე დავინახე.

— დეიდა ნატო, — უნებურად წამომცადა.

ნატო შეჩერდა და ცნობისმოყვარეობით შემთვალღერა:

— გამარჯობათ, ახალგაზრდა... ბოდიში, მაგრამ ვერ გიცანით.

— დეიდა ნატო, ამ ოციოდე წლის წინათ თბილისში, სადგურის ქუჩაზე, პატარა გოგონამ სიმღერით რომ ვითხრათ ლექსი...

სიტყვა არ დამამთავრებინა და თვითონვე განაგრძო: მახსოვს. პატარა გიულის რა დამავიწყებს. ერთდროს მეც ხომ გიული ვიყავი.

— თქვენი „გიულის“ პატივისცემით დარქვა დედამ ეგ სახელი ჩემს უმცროს დას.

— რას აეთებს პატარა გიულის ძმა მოსკოვში?

— პატარა გიულის უკვე ორი წლის გოგონა ჰყავს. ხოლო მისი ძმა ერთ თვეში ამთავრებს ინსტიტუტს და მალე იწყებდა

დაუბრუნდება თავის ქვეყანას.

— და აუცილებლად შეწვევით ხომ გილისთან ერთად, ბინაში. მპირდებით თუ არა?

— გმადლობთ, ქალბატონო ნატო!

— პირიქით, მადლობა თქვენ, რომ თქმის მივიწყებული ის დრო გამახსენებთ

— ყველაზე თბილი, დაუვიწყარი, მუდამ მოსაგონარი.

ეს იყო პარასკევი დღე...

ორშაბათს ღინა მოვეძებნე, ჩვენი მესამეკურსელი. მან ჯერ კიდევ ცამეტი წლისამ კინოფილმში („გამარჯობა, მოსკოვო“) მთავარი როლი ითამაშა. ნატოს თაყვანისმცემელი გახლდათ. ხოლო მისი დეიდა, თვითონაც ხელოვანი, ნატოს უახლოესი მეგობარი იყო.

— ღინა! — ვახარე. — შენ იცი, რომ პარასკევს დეიდა ნატო ვნახე ვახტანგოვის თეატრში? ვესაუბრე კიდევ!

მისი საპასუხო რეაქცია იმდენად მოულოდნელი იყო ჩემთვის, რომ ღიმილი სახეზე შემაშრა. ღინას სახემ და თვალებში აკიაფებულმა ცრემლმა, თავგზა ამირია.

— ნუთუ შენ ჯერ კიდევ არაფერი იცი? როგორც პურანში, ისე მომესმა ღინას ხმა.

— თვითმფრინავი, რომლითაც ნატო ვაჩნაძე თბილისში ბლუნდებოდა, დაიღუპა. დღევანდელ „პრავდაში“ ნეკროლოგიცაა გამოქვეყნებული.

— ვინ არის პაპა, ნატო ვაჩნაძე? — შვილიშვილის ხმამ მოგონებებიდან გამომიყვანა:

— აბა, რა ვითხრა, ჩემო კარგო, როგორ გაგაგებინო. სხვა ქალი იყო... სხვანაირი, გამორჩეული. აი, ზუსტად ისეთი. შენთვის, რომ ლექსი უსწავლელია გიულს ბაბოს: დაინახავდი, გული გაგინათლებოდა.

დინჯად ლეჭავდა, რომ მასზე მიყურადებულ ქალს ნამდვილად ჩაეძინა.

მეორე საღამოს კაცი შინ რომ დაბრუნდა, ქალმა მისკენ ოთხი ნაჭერი პური გაჭაღო. უწინ მხოლოდ სამი ნაჭერი უწევდა.

— შეგიძლია ოთხივე შეჭამო, — უთხრა ქალმა და ლამბას მოსცილდა. — მე, სულერთია, ცუდად ვიტან ამ პურს.

ჯობს შენ შეჭამო ზედმეტი ნაჭერი. მე ეს პური თითქოს მწყინს.

ქალმა შენიშნა, რომ მან თეფმისაკენ ღრმად დახარა თავი. ცოლს არ უყურებდა. აი, ამ წუთას ქალს შეეცოდა იგი.

— ასე არ ივარგებს, შენ ხომ სულ ორი ნაჭერიღა დაგრჩება, სულ ორი ნაჭერიღა დაგრჩება, — თქვა ქმარმა ისე, რომ თავისი თეფშიდან თვალები არ აუწვევია.

— მერე რა? ღამით პური ჩემთვის მავნებელია. ჭამე, ჭამე.

კარგა ხანმა განვლო, სანამ ის კვლავ მაგიდასთან დაჯდებოდა, ლამპის სიახლოვეს.

— მერე რა? ღამით პური ჩემთვის მავნებელია. ჭამე, ჭამე.

კარგა ხანმა განვლო, სანამ ის კვლავ მაგიდასთან დაჯდებოდა, ლამპის სიახლოვეს.

ბარბანულიდან თარბანა შოთა ამირანაშვილია.

# პური





რადე და სხვები. საღამოებს აწყობდნენ საქართველოს გამომჩენილი მწერლების ნიკოლოზ ბარათაშვილის, აკაკი წერეთლის, ვაჟა ფშაველას ხსოვნის აღსანიშნავად. 1916 წლის 30 ოქტომბრის საღამო მიეძღვნა სათვისტომოს წევრების, ტრაგიკულად დაღუპული კიკნა ფშაველას და გრიგოლ ხერხეულიძის ხსოვნას. ამ საღამოზე სიტყვებით გამოვიდნენ პარმენ კვიციანი, ვახტანგ კოტეტიშვილი, ვლადიმერ თოხაძე, გიორგი მარგველაშვილი, პოეტის ძმა მიხეილ ხერხეულიძე.

ტარტუს უნივერსიტეტის სტუდენტთა სათვისტომო უშვებდა ხელნაწერ იუმორისტულ გაზეთს „კოლო“, რომლის ერთადერთი ცალი შემორჩა თბილისის საჯარო ბიბლიოთეკას.

ქართველი სტუდენტები აწყობდნენ გაფიცვებს, რითაც ეხმარებოდნენ ხელისუფლების წინააღმდეგ ამხედრებულ მუშებს, ინტელიგენციას და სტუდენტებს. 1899 წლის გაფიცვის მიზეზი იყო პეტერბურგში პოლიციის მიერ მოწყობილი სტუდენტთა დარბევა. იმავე წელს ტარტუსში ჩამოყალიბდა „სათვისტომოთა გაერთიანება“, რომელშიც აქტიურად მონაწილეობდნენ ქართველი სტუდენტები. ეს გაერთიანება არაღვალურად ხელმძღვანელობდა სტუდენტთა რევოლუციურ მოძრაობას. აქ განსაკუთრებული აქტიურობით გამოირჩეოდნენ: ვ. ალშიბაია, ნ. მრეველიშვილი, ნ. მელიქიშვილი, დ. სულუხია, მ. ჩხენკელი, გ. ნათიშვილი, გ. მახარაძე, დ. ახმეტელი, მ. ელიაშვილი, ა. კვიციანიშვილი, ვ. ხელაშვილი, ზ. ედილაშვილი და სხვ.

საყურადღებოა, რომ ამ გაერთიანებამ 1901 წელს კავშირი დაამყარა რსდმპ თბილისის კომიტეტთან და გაავრცელა კომიტეტის მიერ ჰექტოგრაფზე გამრავლებული მოწოდება „ამხანაგო ჯარისკაცებო!“ მასობრივი გამოსვლების შემდეგ სტუდენტთა ნაწილი დააბატიმრეს. რუსეთის პირველ რევოლუციურ მოწოდებას დაეკისრა სტუდენტთა ახალ ორგანიზაციას — დევეგატთა კრებას, რომლის წევრი იყო გ. ხირსელი. რეაქციის წლებში უანდარმერიათ გააძლიერა რეპრესიები. 1910-11 წლებში დააბატიმრეს: ყ. შერვაშიძე, ი. მეზურიშვილი, გ. ხირსელი, რ. არსენიძე, ლ. კოდურაძე და სხვ. ვ. დალაქიშვილის, ა. პაპავას, მ. ჩხეიძის, ი. გეგელაშვილის და ნადეჟდა ბახტაძე-შერვაშიძის ბინებში ჩხრეკა ჩაატარეს.

დაბატიმრებულ სტუდენტებს გამოესარჩლა იმპერატორის ლენიტირურგი პროფესორი ციოგე ფონ მანტიფელი და უნივერსიტეტის რექტორი, რის შემდეგ სტუდენტები გაათავისუფლეს.

ქართველთა სათვისტომოში ძირითადად გაერთიანებული იყვნენ სოციალ-დემოკრატები, ხოლო კავკასიელ სტუდენტთა საზოგადოებაში სოციალ-დემოკრატები. მათ განსხვავებული სამოქმედო პლატფორმა ჰქონდათ, რის გამოც ამ ორ ორგანიზაციას შორის ხშირი იყო უთანხმოება, რაც ზოგჯერ მტრულ ურთიერთობაში გადაიზარდებოდა ხოლმე. მიუხედავად ამისა, საღ აზრს ყოველთვის უპირატესი ადგილი ეჭირა და სათვისტომოც დიდ როლს თამაშობდა რევოლუციურ მოძრაობაში, სხვადასხვა ერის შვილებთან ქართველი სტუდენტების შეგობრობის განმტკიცებაში.

პირველი მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ, 1916 წელს, ტარტუს უნივერსიტეტის ქართველ სტუდენტთა სათვისტომომ არსებობა შეწყვიტა, რის გამოც საქართველო-ესტონეთის კულტურული და ლიტერატურული ურთიერთობაც შეწყდა. 1920 წლის დასაწყისში ტალინში მოქმედებდა ქართველ მოქალაქეთა გაერთიანება, რომელშიც ირიცხებოდნენ ქართველი ემიგრანტები და ის პირები, რომლებმაც ვერ მოასწრეს სამშობლოში დაბრუნება. ამ გაერთიანებას საქართველოსთან არავითარი ურთიერთობა არ ჰქონდა და იგი არც იცნებოდა ახალი წევრებით, რის გამოც მალე შეწყვიტა არსებობა.

ტარტუს უნივერსიტეტის ქართველ სტუდენტთა სათვისტომოს მრავალმხრივი და ნაყოფიერი საქმიანობა ახალგაზრდობის ეროვნული სულისკვეთებით აღზრდის შესანიშნავი მაგალითია.

რამაზ სურგანიძე.



# ნუთუ მართალია?

კარდინალი გუზუაძე მეცოფანტი (1774-1849), ვატიკანის ბიბლიოთეკის მთავარი მცველი, ცნობილი ლინგვისტი იყო. თარგმნიდა 144 ენიდან, მათ შორის, 72 დიალექტიდან. 27 ენაზე თავისუფლად ლაპარაკობდა.

ახალწელანდელი პაროლდ ულიამსი, რომელიც 1928 წელს გარდაიცვალა, 28 ენას თავისუფლად ფლობდა.

მსოფლიოში ყველაზე ბევრი ენა იცოდნენ გაერთიანებული ერების ტერმინოლოგიური განყოფილების ხელმძღვანელმა ჯორჯ ჰენრი შმიდტმა (1965-1971) და ბრიტანეთის რადიო-გადაცემათა კორპორაციის თანამშრომელმა ჯორჯ კამპელმა. შმიდტი მოღვაწეობის დროს თავისუფლად ლაპარაკობდა 31 ენაზე, როდესაც სამხატვრო განათავსდა, 39 ენას პრაქტიკულად იყენებდა.

ყველაზე მრავალშევილიანი დედა, რუსი გლეხი ქალი ვასილისა, ცხოვრობდა გასული საუკუნის შუა წლებში, როცა ბავშვთა სიკვდილიანობა მაღალი იყო. მან სამოცდაცხრა — 16 წველი ტყუბი, შეიღებო სამსამი, ოთხჯერ ოთხ-ოთხი შვილი გააჩინა. მაგრამ არც ერთი არ იყო ცალად დაბადებული და მხოლოდ ორმა მიაღწია სრულწლოვანებას. ვასილისამ ისეთი აღიარება მოიპოვა, რომ მიიპყრო დედოფლის ყურადღება და მიწვეულ იქნა აღექსნადრე მეორის კარზე.

ბრაზილიელ მწერალმა ჟოზე რინაუბას ჰყავს 37 შვილი (რჩენილი) — ლანი ერთად სასერიზოდ გადიან, ორი ავტობუსი სჭირდება მთელ ოჯახობას — შვილებსა და შვილიშვილებს.

დადგინდა, რომ გაერთიანებული სამეფოს 2900 ახლოვანთა შორის 2360 ქალია და 54 კაცი.

მარტორიელმა (მასაჩუსეტის შტატი) სამტყუპმა ფითმა, ჰოუფმა და ჩარტი კოვლინმა პირდაპირ სასწაული მოახდინეს, როდესაც (1961 წ.) სამივემ დაბადების 98 წლის იუბილე იზეიმა. თუ ეს დაუჭერებელია, მაშინ რაღას იტყვიან ფიქსებზე — 1803 წელს ვირჯინიის შტატში დაბადებულ ტყუპებზე, რომლებმაც საუკუნისა მოიყარეს? ტყუპები კარგად გრძნობდნენ თავს, სანამ ელი 108 წლის ასაკში არ გარდაიცვალა, როცა მისი ძმა ჯონი ჯერ კიდევ ცოცხალი იყო.

გაუგონარ ასაკს მიაღწია იპონელმა შიგეჩიო იძუმიმ. დაიბადა 1865 წლის 29 ივნისს. მისი ხნოვნება ზუსტად ცნობილია, რადგან ერთადერთი მომხსრეა ოდესღაც იპონიაში ჩატარებული მოსახლეობის პირველი აღწერისა. მაშინ ექვსი წლისა უოფილა. 114 წლის იუბილეზე სურათიც გადაუღია. თანამედროვე ტექნოლოგია არ აწუხებს. ყოველდღე ტელევიზორს უყურებს. ჯერ კიდევ ძველმოდურ იპონურზე ლაპარაკობს. თავის ნებაზე სვამს. მხოლოდ ართრიტსა და მხედველობას უჩივის, მისი აზრით, ადამიანი უსიამოვნებას უნდა მოერიდოს, ამაშია მთელი საიდუმლო. ბანძაი! — ასე ესალმება მნახველებს, რითაც ყველას დღეგრძელობას უსურვებს.

თარგმანი მამიკონე თამარიანმა.

## პანორამა

პამბურგელმა იოზეფ გალიამ 74 წლის ასაკში სირბილი დაიწყო. თავისი დებიუტის წლისთავზე მან 1 საათსა და 7 წუთში 10 კილომეტრი გაიბრინა. შემდეგ მართონშიც მიიღო მონაწილეობა, მაგრამ მოკრძალებულმა შედეგმა არ დააკმაყოფილა დამწყები სპორტსმენი და ინტენსიური ვარჯიში გააგრძელა.

როცა ორი წლის შემდეგ იოზეფ გალიამ შემდეგი დრო აჩვენა. 100 კილომეტრი 13 საათსა და 37 წუთში. იგი ეშხში შევიდა და ველოსპორტს, ტანვარჯიშს, ცურვას მიჰყო ხელი.

112 წლის მარნ ბოლდერ ტორპი ქალაქ ოსლოს ფეხბურთელთა გუნდის ყველაზე დაუღალავი და თანმიმდევრული გულშემატკვარია. ამ ნენრტიული ქალის ხანგრძლივი სიცოცხლის საიდუმლოება, მისივე აზრით, ცხოვრების ჩანსალი ნირი და დიდი ცნობისმოყვარეობაა.

შვეიცარია სახელგანთქმულია არა მხოლოდ ბუნების სილამაზით, არამედ ღონიერთა ტურნირებითაც.

ქალაქ მაგლიტენში სისტემატურად ტარდება შეჯიბრებები 150 კილოგრამიანი ქვის ტყორცნაში. გამარჯვებულებს უჩვეულო პრიზით — ძროხით აჯილდოვებენ.

ამ საოცარ ტურნირში საკუთარი ძალის გამოხატვლად მონაწილეობა მიიღო მსოფლიო ჩემპიონმა ზადროს ტყორცნაში ვერნერ გიუნტერმა, მაგრამ მისდა გასაოცრად მხოლოდ მეხუთე ადგილი დაიკავა. პირველობა ერგო სრულიად უცნობ ძალოსანს ოტო კაშმანს, რომელმაც 150 კილოგრამიანი ჯვა 3,65 მეტრზე ტყორცნა და დათქმული პრიზი — ძროხა სახლში წაიყვანა.

90 წლის იოზეფს აქვს ათლეტური აღნაგობა. ახალგაზრდული იერი, და იუმორის საოცარი გრძნობა. სვამს რძეს, ჩაის, ძირითადად ჯამს ბოსტნეულს, შვრიას, ხორბლეულს, სიმინდს. ასეთი მენიუ მას ენარება ფორმის შენარჩუნებაში.





# აღაპიანი


ყველაფერი იმით დაიწყო, რომ ერთ-ერთ სოფელში ქორწილი იყო და მეორე სოფლიდან სტუმრები მიიწვიეს. ქორწილში არეულობა მოხდა, რამდენიმე სტუმარი მოკლეს. მას შემდეგ ამ სოფლებს შორის შუღლი და მტრობა ჩამოვარდა. სადაც კი ერთმანეთს გადაეყრებოდნენ, დაუნდობლად ხოცავდნენ.

ერთხელ სოფლიდან კაცი ტყეში წავიდა შეშის მოსატანად. შემოაღამდა და გზა დაეხანა. მოჰყვა ტყეში ხეტიალს, იქნებ როგორმე გზა ვიპოვო და სამშვიდობოს გავიდეო. ასე გადიოდა დღეები, კვირეები, თვეები. კაცი გზის პოვნას აღარ დაეძებდა, მას აღაპიანი ენატრებოდა. სულ იმის ფიქრში იყო, ნეტავი, აღაპიანი დამანახაო. ეს ფიქრი უმძაფრეს სურვილად გადაექცა, თანდათან იპყრობდა მთელ მის არსებას. კაცი დაჭრილი მხეცივით ბლაოდა.

იხეტიალა, იხეტიალა და ტყის პირას გამოვიდა, სულ ახლოს სოფელი დალანდა. ისიც დაინახა, რომ ვიღაც მისკენ მოეშურებოდა. კაცმა სიხარულსაგან შეშლილივით შეჰყვირა: „აღაპიანი!“ და მისკენ გაქანდა. ამ დროს თოფმა იგრაილა. კაცი უსულოდ დაეცა მიწაზე.

თამაზ კორაძე.

# მუშური სინდისით



ქრონიკალი  
სინდისით

სასიგნალო ეგზემპლარი! როგორი მოუთმენლობით მოველით მის გამოჩენას. აი, ხელთა გვაქვს ჩვენი ჟურნალის ახალი სასიგნალო ნომერი. სიაშოვნებით ვფურცლავთ, ვათვალეერებთ, ვკითხულობთ. უფრო იშვიათად თუ ჩაუფიქრდებით იმას, თუ რამდენი აღაპიანის ხელი უნდა მიესათუთოს მის ყოველ ბგერას თუ ბჭკარს, ყოველ გვერდსა თუ ფურცელს, სანამ სრულყოფილ სახეს მიიღებდეს. რამდენი, ერთი შეხედვით, უჩინარი პროფესიის აღაპიანი ემსახურება მის „დაბადებას“.

ერთ-ერთი მათგანია თენგიზ თომაძე — საამკინძაო საამქროს სასიგნალო განყოფილების ოსტატი, თავისი საქმის უზადო სპეციალისტი.

სამუშაო მისი მეორე ოჯახიაო, — ეს სიტყვები ზოგჯერ ლიტონ გამოთქმად ქდერს ხოლმე, მაგრამ როცა გავიგებთ, რომ ორმოცდაათ წელს მიღწეული კაცი, თვრამეტი წლისა, სწორედ აქ, ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბაში, ეზიარა პირველ შრომით ნათლობას, უთუოდ ვირწმუნებთ, რომ ეს ნამდვილად ასეა.

მას შემდეგ სამ ათეულ წელზე მეტი გავიდა, მაგრამ თენგიზს ერთხელაც არ გადაუხვევია არჩეული გზიდან. პირიქით, დღითიდღე ხვეწდა და იმაღლებდა შრომით ჩვევებს, ერთგულად და პატიოსნად,

მუშური სინდისით ემსახურებოდა მეტად საპატიო საქმეს.

ვინ მოთვლის, რამდენი მაღლიერი აგტორისა თუ რედაქტორის შექება და მაღლობა დაუშასურებია, რამდენისთვის უჩუქებია სასიგნალო ეგზემპლარის ხელის შეხებით გამოწვეული სიხარული.

შრომასა და ჯაფაში ვერც კი გაიგო, როგორ წამოეპარა ცხოვრების შუადღე. მისი გადასახედიდან თვალს ადვილად უსწორებს განვლილ წლებს. საამაყოც ბევრი აქვს. კარგი ოჯახის მეუღლეს, სამი შვილის მამასა და მოსიყვარულე ბაბუას, შრომის კეტერანის საპატიო წოდებასთან ერთად კულტურის დამსახურებული მუშაკის წოდება და მრავალი სიგელი და მაღლობაც აქვს მიღებული.

— თენგიზი ძალიან უყვართ მეგობრებს, ყოველდღე სიხარულით მოველით მის გამოჩენას და საერთოდ ეს უბანი ვერც წარმოგვიდგენია მერი ფანჯავიძისა და მის გარეშე. ისინი ხომ დიდი ხანია ერთმანეთის გვერდით შრომობენ და ერთ კეთილ საქმეს ემსახურებიან, — ამბობს საამქროს უფროსი მერაბ დონაძე. ასეთი ნათქვამი კი ყველაზე დიდი ჯილდოა მშრომელი კაცისათვის.

ჩვენი ჟურნალის კოლექტივი გულთბილად ულოცავს თენგიზ თომაძეს დაბადებიდან ორმოცდამეათე წლისთავს.

დავით


აღაპიანის

გამზირი





იპ, სადაც კარიერი არ არის



თარგუმად: 6. სპორტული სირბილი დაბრკოლებების გადალახვით; 7. ბელის სინონიმი; 9. უცნაური მსჯელობა, რომელიც ეწინააღმდეგება საღაჯრს; 10. ხმელეთზე ამოწევილი ნაწილი, ბორცვზე მაღალი; 12. კომპის სინონიმი; 13. ბალახოვანი მცენარე პარკოსანთა ოჯახისა; 14. შავი ლევისპირა კურორტი; 16. ბუჩქოვანი მცენარე; 18. სოფელი მცხეთის რაიონში; 19. მცირე ზომის ცული; 20. ერთგვარი ხის სოკო; 24. თეატრალური ხელოვნების სახეობა; 25. ინგლისური სიგრძის საზომი ერთეული; 26. მცენარე, რომელსაც აქვს გრძელი ხორცოვანი ფოთლები და მრავალუჯვარიანი მტევანი; 28. მსახიობის სახის შეცვლა სპეციალური საღებავებით; 30. პატარა ხის სახლი ფეხებზე შემდგარი; 33. პატარა ბურთულებად გაქვებულნი წამალი; 34. ძნელად გასარჩევი, გაუგებარი ნიშანი, ასო, ნაწერი; 35. სასპორტო ან სასეირნო-ტურისტული გეგმა; 36. ახალგაზრდა ხემცენარე.

შვეულად: 1. რაიმე მოქმედების, საქმიანობის შეთანხმება; 2. მწვავე ვირუსული დაავადება; 3. აფრიკის სახელმწიფო; 4. უვარგისი ლითონი, რომელიც ხელშეორედ გადაშუშავებას საჭიროებს; 5. მსუბუქი ორთვალისანი ეტლი, რომელიც შებმულია ადამიანი (გამოიყენება მგზავრთა გადასაყვანად); 6. შინაური ცხოველი; 8. რაიმე მანქანის, მექანიზმის დაზიანება, რაც სახიფათოა ადამიანის სიცოცხლისათვის; 11. მტაცებელი ფრინველი (ქორცის სინონიმი); 12. თხელი ცომისაგან ტფაზე მომწვარი პატარა ლავაში; 15. ძლიერი მამაკაცის ქანდაკების სახის ვერტიკალური საყრდენი; 16. მწვანელი; 17. კავკასიონის მწვერვალი; 18. ქათმის დასაჯდომი ხარისა; 21. გულის მოძრაობის გრაფიკული გამოსახულება; 22. ასპარეზი, სარბიელი; 23. ევროპის სახელმწიფო; 24. თევზის სახეობა; 27. სამკურნალო მცენარე; 28. დიდი რუსი მწერალი; 29. ცისარტყელას სინონიმი; 31. სიო; 32. მწვანელი.

შეადგინა ალექსანდრე გორგბიშვილმა

სტომატოლოგების ჩვეუი იმყოფებოდა ლადაქის უღელტეხილზე, ტიბეტის მონასტრებში, რომელიც მდებარეობს 4000 მეტრზე ზღვის დონიდან და აი რამ მოიყვანა ისინი, ჩრდილო-ინდოეთში, ამ მიდამოებში თითქმის არ გვხვდება კბილების კარიეზი. ექიმებმა გასინჯეს რამდენიმე ასეული, მონასტრის მკვდრის კბილები, მოზარდებიდან დაწყებული და ღრმად მოხუცებულთა ბით დამთავრებული. და მართლაც 70%-ზე მეტს არ აღმოჩნდა არც ერთი სამკურნალო კბილი. დანარჩენებს კი ერთი ორი კბილი რომელსაც კარიეზი ოღნავ შეეხო. ამავე დროს, ერთ-ერთი მონასტრიდან რამდენიმე კილომეტრში განლაგებულ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საქველმოქმედო დაწესებულებაში მცხოვრებ 300-მდე ბავშვს ტიბეტური ეროვნებისა, კბილები ძლიერ სავალალო მდგომარეობაში ჰქონდათ. ასე, რომ ეთნოლოგიური ფაქტორის (პიპოთეზა, იმის შესახებ, რომ ამ ეროვნებისათვის კარიეზი არ არის დამახასიათებელი) არსებობა გამოიცხადდა. მთის წყალში თითქმის არ არის ფტორი, რომელიც ამგვარებს კბილის ემალს და გამოიყენება კარიეზის პროფილაქტიკისთვის, არაფერ შუაშია ჰიგიენაც. კბილის ჭაგრისი ტიბეტებისათვის უცნობია, თუმცა ხანდახან ისინი იწმინდავენ კბილებს რბილი ხის ჩხირით, რომლის ბოლოსაც წინასწარ არ ღებვენ.

მკვლევარები მივიდნენ დასკვნამდე, რომ ყოველივე დამოკიდებულია კვებაზე. მთების მკვიდრთა მთავარი კერძია — ცნობილი ტიბეტური ჩაი, რომელშიც უმატებენ მონაღულ ჭერს, ფქვილს, სოდას და კარაქს იაკის რძისგან. ზაფხულის რაციონს ემატება: ტაფაილი, კარტოფილი, თაღგამი და ხანდახან ცოტა ბრინჯი. ხორცს არ ჭამენ, შაქარი არასდროს არ უნახიათ. ხოლო ბავშვები რომლებსაც დაავადებული კბილები აქვთ, იკვებებიან ევროპულად, მითმევენ ხორცს, კონსერვებს, ტკბილეულს და სვამენ ჩაის შაქართან ერთად.

ადრიენა ლეკურერი

ცნობილი ფრანგი მსახიობი ადრიენა ლეკურერი (1692—1830 წ.) თავიდან მრეცხავი იყო. მეზობლების დახმარებით ის აწუბდა ქუჩის წარმოადგენებს, მოგვიანებით თამაშობდა ზოგიერთი პროვინციული ქალაქების სცენაზე და ბოლოს პარიზში „ფრანსე კოლია“-ში

ის არ იყო მზეთუნახავი, მაგრამ თამაშობდა პათოსით და ბუნებრივად. ყველასათვის ცნობილი იყო მისი კავშირი მორიცდე საქსთან, ვისი გულისთვისაც მან გაყიდა მთელი თავისი ძვირფასეულობა და ქონება და დახარჯა ფული. მაგრამ ამისდა მიუხედავად მორიც დე საქსმა მიიტოვა იგი ჰერცოგინია დე ბუიონის გამო. ფიქრობენ, რომ ადრიენა ლეკურერი მოწამლა ჰერცოგინიამ. სამღვდლეობამ უარი განაცხადა მის პარაკლესზე ეკლესიაში და იგი დამე ჩუმად დაახაფლავეს მდ. სენის ნაპირზე.

ადრიენა ლეკურერის ცხოვრება დაედო საფუძვლად ამავე სახელწოდების ოპერას.

მათა ნომერი გამოქვეყნებული კრესკორდის კასუხები:

თარგუმად: 2. ბა. 3. ოდა. 6. პალეონტოლოგია. 12. დაირა. 13. ბილინგვა. 15. ტანჯანია. 17. ირონია. 19. ნიკეა. 20. ვალდაი. 22. ბიკარბონატები. 24. არტიკლი. 25. ერი. 27. ბამბახია. 29. ბერნი. 30. ბარიტი. 32. ილმენი. 34. ბიოგეოცენოლოგია. 38. გნოლი. 39. მეტეორიტი. 40. გაგრა. 41. შტილი.

შვეულად: 1. პროექტორი. 2. ბალი. 4. ალოე. 5. ტარანი. 7. აირი. 8. ოზონი. 9. ლინჯა. 10. იოდი. 11. დოლარი. 14. ვენერნი. 16. ალაჯანი. 18. ოზონატორი. 21. დოკუჩაევი. 22. ბირკა. 23. ირემი. 24. ატოლი. 25. ეგერი. 26. იანდი. 28. ანოდი. 31. იდეა. 33. მილი. 35. ოქრო. 36. ეკოლოგია. 37. გოთა.

შეადგინა ციური ბალაშვილი.

გარეკანის პირველ გვერდზე დაბეჭდილია თბილისის სახალხო დემუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის და საქართველოს სსრ არქიტექტორთა კავშირის მიერ გამოცხადებული კონკურსის მონაწილის მხატვარ ემირ ბურჯანაძის ნამუშევარი — თბილისის გერბი, დროშა და სიმბოლური გასაღები.

გარეკანის მეოთხე გვერდზე: აბანოთუბანი. ფოტო ბ. დვალის-შვილისა.

გადაეცა წარმოებას 17.08.89. ხელმოწერილია დასაბეჭდად 2.11.89. უე 09473. ქალაქის ზომა 70x1081/8. გარეკანი, ჩანართი და ტექსტი იბეჭდება ოფსეტური წესით. ფიზიკური ფურცელი 3, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 4,2, სააღრიცხვო-სავაშომცემლო თაბაბი 5,89. ღირაუი 50.000. შეევეთა 1886. ფასი 35 კაპ.

380098, თბილისი, ლენინის ქ. № 14, საქართველოს კბ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა.



Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал «Дроша» («Знамя»), (на грузинском языке). 380096, Тбилиси, ул. Ленина, 14. Типография издательства ЦК КП Грузии.

Адрес редакции: 380008, Тбилиси, 8, пр. Руставели, 42.

380008, თბილისი 8, რუსთაველის პრ. 42. ტელეფონები: მთავარი რედაქტორის — 99-54-66, პ/მგ. მდივნის — 99-82-69, განყოფილებათა გამგეების 93-28-42, 99-01-39, რედაქციის სამდივნოსი — 99-54-66.

რედაქციაში შემოსული მასალა ავტორს არ უბრუნდება.





# მერაბ კოსტავა

მერაბ კოსტავა

## ღირსს მამა ლავითს

პოი, თბილისო, შენს დიდებად მთაწმინდაც კმარა, იმისი მადლით ხამს სატანა შენგან განვიდეს, მთაწმინდის ზეცა თავადაა ლოცვა ანკარა, ლოცვა წართქმული წმინდა ბაგით მამა დავითის.

წმინდა ალაგო, შენს კვარცხლბეკზე ამაღლებულმა, თავად ღმერთკაცმა ტანთ აგასხა რწმენის აბჯარი, დაიგიზგიზა შენში ცეცხლმა მინავლებულმა, ოდეს ზეგარდმო გადაგსახა მძლეველი ჭვარი.

მთაო, შობილო იმ ზეკაცურ ნატერფალებით, ნაოცნებარით თუ ცრემლებით ხარ დაღარული, მზერაუქცეველ აღმართხედვით ნამწვერვალეები ჩუმი ფიქრების საკმეველით შემოჯარული.

მთაო მეტყველო, რაკი მისი ფიქრი გაცრიდა, სწორედ ამადაც, სწორედ ამაღ გეწოდა წმინდა.

იღუმალია იმ მაგიის საშინელება, სიმაღლეების უტეხელის ნებით მძლეველი, უმანკოების ღვთაებრივი გამოღევაბა და მადლი ცისა, მოუწვეელი, დაუღეველი.

გარდუვალია წამი იგი იღუმალების, გულდაწრეტილი ოდეს ღმერთთან რჩები ეული, მხოლოდ ერთისთვის გახელილი გრჩება თვალები და მოგაქვს მსხვერპლი, უანგარო, სისხლხორციული.

ქურნალ „დროზის“ კოლექტივი მრავალათასიან მკითხველზეთან ერთად, ღრმა მწუსარებას გამოთქვამს მამულისათვის თავგანწირული უვილის

## მერაბ კოსტავას

ტრაგიკულად დაღუპვის გამო





638/143

